

რევოლუცია რომ არ ყოფილიყო...

A4



მონაკო ევროპის უხუცეს მონარქს ემშვიდობება

A5




თინეიჯერული სიტკბო

B8

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი — ოთხშაბათი, 13 აპრილი, 2005 წელი. №83 (943) — ფასი 50 თეთრი

## თქვენი აფხაზეთი

### როგორ დააქორწინა ბაგაფში კომკავშირმა



ამირან აბესაძე წარმოშობით ქუთაისელია. იქ დაამთავრა საშუალო სკოლა, შემდეგ - სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. იყო აქტიური კომკავშირელი. ყამირზე რამდენჯერმე სტუდენტთა სამშენებლო რაზმს ხელმძღვანელობდა. წლების მანძილზე მუშაობდა სხვადასხვა კომკავშირულ და პარტიულ თანამდებობებზე. მეგობრობდა ჟიული შარტავასთან და სერგო ბაგაფშთან.

A8

**იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"**

**ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.**

A7

**მიიღეთ მონაწილეობა "24 საათის" და მისი პარტნიორი ავიაკომპანია "ბრითიშ ეარვეიზის" ერთობლივ კონკურსში – ვიქტორინა-ლატარიაში და მოიგეთ ორი ბილეთი ლონდონის მიმართულებით!**

**ვიქტორინის შეკითხვები და კონკურსში მონაწილეობის პირობები იხილეთ B5 გვერდზე.**

## ამინდი

| | 13/4 | 14/4 | 15/4 |
|---|---|---|---|
| თბილისი | 27 | 24 | 23 |
| ქუთაისი | 26 | 26 | 24 |
| ბათუმი | 25 | 23 | 24 |
| სოხუმი | 25 | 26 | 24 |
| ფოთი | 26 | 25 | 24 |
| თელავი | 26 | 23 | 22 |
| ზუგდიდი | 28 | 28 | 25 |
| გორი | 23 | 21 | 20 |
| ახმეტა | 26 | 24 | 22 |
| ჭიათურა | 23 | 23 | 22 |
| გაგრა | 24 | 23 | 24 |
| სამტრედია | 27 | 26 | 24 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8350 |
| ევრო | 2.3845 |
| ბირჟანქა სტერლ. | 3.4718 |
| რუბლი | 0.0661 |


| A | | B | |
|---|---|---|---|
| ამბები | A2 | რევიუ | B2 |
| პოლიტიკა | A3 | რევიუ | B3 |
| საზოგადოება | A4 | სპორტი | B4 |
| უცხოეთი | A5 | სპორტი | B5 |
| ეკონომიკა | A6 | ევროისტორია | B6 |
| სამართალი | A7 | სხვადასხვა | B7 |
| პროექტი | A8 | სხვადასხვა | B8 |


# შედგება შეხვედრა სეპარატისტ ლიდერებთან?

### ჯორჯ ბუშმა თბილისში, შესაძლოა, სერგეი ბაგაფშსა და ედუარდ კოკოითს "უმასპინძლოს"

საქართველოში აშშ-ს პრეზიდენტის ვიზიტის "მოსამზადებელი სამუშაოები" აქტიურად მიმდინარეობს. როგორც ჩანს, ამ კონტექსტში მოიაზრება ევრაზიის საკითხებში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მრჩევლის, სტივენ მანისა და საქართველოში აშშ-ს ელჩის რიჩარდ მაილსის სტუმრობა აფხაზეთში, სადაც ისინი თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტ სერგეი ბაგაფშსა და პრემიერ-მინისტრ რაულ ხაჯიმბას შეხვდნენ.

მასმედიის მიერ გუშინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სტივენ მანმა სერგეი ბაგაფში საქართველოს დედაქალაქში მიიწვია ჯორჯ ბუშთან შეხვედრაზე. პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის გივი თარგამაძის მტკიცებით, **"სტივენ მანს გაცილებით გაუადვილდა ურთიერთობა სერგეი ბაგაფშთან, ვიდრე ყოფილ პრეზიდენტ არძინბასთან."**

თუმცა, აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის უშიშროების საბჭოს მდივანი სტანისლავ ლაკობა ირწმუნება, რომ სოხუმში ვიზიტის დროს სტივენ მანს პრეზიდენტი ბაგაფში თბილისში, პრეზიდენტ ჯორჯ ბუშთან შეხვედრაზე არ მიუწვევია. სტანისლავ ლაკობას განცხადებით, სტივენ მანთან შეხვედრის შემდეგ პრეზიდენტ ბაგაფშს მასთან არ უსაუბრია, თუმცა მან **"დანამდვილებით იცის იმ ადამიანებისგან, ვინც შეხვედრას ესწრებოდა, რომ ბაგაფშსა მანს შორის ჯორჯ ბუშთან შეხვედრის თემაზე საუბარი საერთოდ არ ყოფილა."**

ასეა თუ ისე, ამერიკელი დიპლომატის აფხაზეთში ჩასვლამ და თვითაღიარებული რესპუბლიკის ლიდერებთან მისმა შეხვედრამ ოფიციალური მოსკოვის შეშფოთება და გაღიზიანება გამოიწვია: სათანადო ინსტრუქციების მისაღებად, ბაგაფში უმალ გამოიძახეს რუსეთის დედაქალაქში. აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების ლიდერიც გუშინვე, ორდღიანი ვიზიტით მოსკოვს ეწვია.

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, რუსეთის დედაქალაქში ბაგაფშის სტუმრობა მოსკოვში პრემიერ-მინისტრ ალექსანდრე ანქვაბის სამუშაო ვიზიტს უკავშირდება, რომელიც **"მნიშვნელოვანი**

გაგრძელება A3 გვერდზე



სტივენ მანს გაცილებით გაუადვილდა ურთიერთობა სერგეი ბაგაფშთან, ვიდრე ყოფილ პრეზიდენტ არძინბასთან.

## ვიცე-გუბერნატორებს კორუფციულ გარიგებებში ადანაშაულებენ

მაია მეცხვარიშვილი
*ქუთაისიდან*

"ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" სტუმრობამ ბაღდათში პროტესტისა და ხმაურის ფონზე ჩაიარა. პარტიის აღმასრულებელმა მდივანმა დავით კირკიტაძემ და პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ბაღდათის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეობა იმერეთის ვიცე-გუბერნატორს შალვა დათუაძეს უბოძეს. შალვა დათუაძე ბაღდათის არასამთავრობო ორგანიზაციებმა რაიონის კლანურ მმართველობასა და კორუფციულ გარიგებებში დაადანაშაულეს.

**"მართალია, ნიკო ჟვანია გადადგა ბაღდათის გამგებლის თანამდებობიდან, მაგრამ ის სახელისუფლებო ვერტიკალი, თუ კლანი, რომლის შემადგენლობაშია შალალო (ასე ვიცნობთ ჩვენ შალვა დათუაძეს), ნიკო ჟვანია, გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი გია რობაქიძე და მისი ძმა, საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე გიზო რობაქიძე, კვლავ მოქმედებაშია. შალვა დათუაძე ცდილობს, რომ მისი კლანის წევრი გია რობაქიძე დანიშნოს გამგებლად მაშინ, როცა გია რობაქიძე თანამდებობრივად კურირებდა ისეთ სახელგატეხილ დარგებს, როგორიც არის ხე-ტყის დამზადება, კეთილმოწყობა. ხე-ტყის არაოფიციალურ მეთვალყურედ და ფულის ამკრეფად ითვლება გიზო რობაქიძე, რომელიც დილიდან-საღამომდე იდგა ხერგილზე. ალბათ, ეს საქმე იმიტომ მიანდეს, საარჩევნო კომიის თავმჯდომარეა და თვლა კარგად ეცოდინებაო,"** - აცხადებს არასამთავრობო ორგანიზაციის "ბაღდათის სათათბირო დარბაზის" წარმომადგენელი მურად კიკნაველიძე "24 საათთან" საუბარში.

გაგრძელება A2 გვერდზე

## ლუკა 2005

### კურტანიძემ ათენური წარუმატებლობის შემდეგ ჯავრი ოლიმპიურ ჩემპიონზე იყარა

გიგა გურასაშვილი

*2005 წელი ქართულ საჭიდაო სამყაროში ისე დაიწყო, რომ ძალაუნებურად ფედერაციის შიდა სამზარეულოს გამომზეურება გვიწევდა. საუბარია, ფედერაციის ახლად არჩეული პრეზიდენტის, ბაკურ გოგიტიძისთვის დროებით უფლებამოსილების შეწყვეტაზე და შემდგომ უფლებამოსილების გაგრძელებაზე...*

*ახლა, როდესაც ვნებათაღელვა ჩამცხრალია, წმინდა სპორტული ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილების დროც დადგა, რაც ბევრად საინტერესო და მნიშვნელოვანია ქართული ჭიდაობის გულშემატკივართათვის. ერთი სიტყვით, გუშინ ვარნაში (12-17 აპრილი) თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატი დაიწყო. ლუკა კურტანიძემ კი ევროპის ჩემპიონობა მეხუთედ მოიპოვა!*

გაგრძელება B4 გვერდზე



## უკრაინა ერთიანი ეკონომიკური სივრცის ზესახელმწიფო სტრუქტურებში მონაწილეობას არ მიიღებს

უკრაინის პრეზიდენტი ვიქტორ იუშენკო არ დაუშვებს, რომ უკრაინა, ერთიანი ეკონომიკური სივრცის ფარგლებში, ზესახელმწიფო სტრუქტურებში შედიოდეს. ამის შესახებ თავად იუშენკომ გუშინ ვარშავის უნივერსიტეტის სტუდენტების წინაშე გამოსვლისას განაცხადა.

მან პირობა დადო, რომ გააგრძელებს ევროინტეგრაციის კურსს და მეგობრულ ურთიერთობებს რუსეთთან, მაგრამ უკრაინა ერთიანი ეკონომიკური სივრცის ზესახელმწიფო სტრუქტურებში არ შევა.

იუშენკოს თქმით, მას შემდეგ, რაც უკრაინამ თავისუფლება მოიპოვა, "არ იქნებოდა სწორი მისი სუვერენიტეტის საბიუჯეტო თუ ეკონომიკურ სფეროებში დევალვირება; ერთიანი ეკონომიკური სივრცე უკრაინის ევროინტეგრაციის კურსთან წინააღმდეგობაში არ უნდა მოდიოდეს", - აღნიშნა უკრაინის პრეზიდენტმა.

ერთიან ეკონომიკურ სივრცეში ოთხი ქვეყანა შედის - რუსეთი, უკრაინა, ბელორუსი და ყაზახეთი.

თავის მხრივ, პოლონეთის პრეზიდენტმა ალექსანდრ კვასნევსკიმ განაცხადა, რომ ახლა ვიქტორ იუშენკო რთული ამოცანის წინაშე დგას. "იუშენკოს უკრაინა ევროპის კავშირისა და ნატო-სკენ მიჰყავს და ამავდროულად მეგობრულ ურთიერთობას ინარჩუნებს რუსეთთან. ეს ძალზე რთული ამოცანაა. მაგრამ, იუშენკო ის ადამიანია, ვისაც ამის გაკეთება და ყველა დასახული ამოცანის მიღწევა შეუძლია", - თქვა კვასნევსკიმ. **ინტერპრესი**

# მერიაში წინასაგამოცდო ციებ-ცხელებაა

*აბიტურიენტების მსგავსად, კარგი უნარ-ჩვევების გამოვლენა მერიის თანამშრომლებსაც მოუწევთ. გუშინ მერიის 1 700 თანამშრომელს თანამდებობა უკვე დაატოვებინეს. საკრებულოსა და მთავრობის აპარატის ახალი სტრუქტურის დამტკიცების შემდეგ, საატესტაციო გამოცდებზე გამოვლინდება, თუ ვინ გააგრძელებს მერიის სტრუქტურებში მუშაობას, ანუ ვინ გამოავლენს კარგ უნარ-ჩვევებს. თანამდებობის დატოვება, სავარაუდოდ, 1000 თანამშრომელს მოუწევს.*

თამარ დვალი

მერიის თანამშრომლები მათი მოსალოდნელი გათავისუფლების შესახებ მარტის თვეში გააფრთხილეს და განცხადებებიც დააწერინეს. ვინაიდან ერთთვიანი ვადა უკვე ამოიწურა, დღეს მერიის თანამშრომლები სამსახურში აღარ გამოცხადდებიან. გუშინვე თბილისის საკრებულომ, საკრებულოსა და მთავრობის აპარატის ახალი სტრუქტურა დაამტკიცა, რომელიც რამდენიმე ძირეულ ცვლილებას ითვალისწინებს.

თბილისის საკრებულოსა და მთავრობის აპარატის ახალ სტრუქტურაში ბუღალტერია გამოეყო საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის სამსახურს და დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულად ჩამოყალიბდა. ანალოგიური ცვლილება განხორციელდა საიდუმლო-სამობილიზაციო განყოფილებასთან მიმართებაშიც - საკადრო რესურსების განყოფილება და საიდუმლო-სამობილიზაციო განყოფილება აპარატის სტრუქტურაში დამოუკიდებელ ერთეულებად შევიდა.

ცალ-ცალკე სტრუქტურულ ერთეულებად გაიყო საქმის წარმოებისა (საოქმო) და კორესპონდენციების განყოფილებები.

გარდა ამისა, საკრებულოსა და მთავრობის აპარატს ორი ახალი სტრუქტურული ერთეული - საზოდაგოებასთან ურთიერთობისა და კომპიუტერული უზრუნველყოფის განყოფილებები დაემატა. აღსანიშნავია, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების პარალელურად, აპარატის შემადგენლობაში არსებობას გააგრძელებს საკრებულოსა და მთავრობის პრესსამსახური. თბილისის საკრებულოსა და მთავრობის აპარატი სულ 23 სტრუქტურულ ერთეულს მოიცავს.

როგორც მერიისა და მთავრობის აპარატის უფროსმა გივი ორდენიძემ «24 საათთან» საუბრისას აღნიშნა, გუშინ ყველა თანამშრომელი, ვინც მერიის აპარატში მუშაობდა, გათავისუფლებულ იქნა თანამდებობიდან. რეორგანიზაცია არ შეხებიათ: ქალაქის მერს, პრემიერს, ვიცე-პრემიერსა და გამგებლებს.

**ამჟამად მიმდინარეობს მერიის აპარატის, გამგეობებისა და საქალაქო სამსახურების ახალი საშტატო ერთეულის დამტკიცება. მისი დამტკიცების შემდეგ, მოხდება შემცირებულ თანამდებობებზე გათავისუფლებული თანამშრომლებიდან მოვალეობის შემსრულებლების დანიშვნა. მხოლოდ ნაწილი დაინიშნება, ნაწილი კი გათავისუფლდება. მოვალეობის შემსრულებლებად დაინიშნებიან ის პირები, რომლებსაც, კანონის თანახმად, "უპირატესი დარჩენის უფლება" აქვთ. ასეთ კატეგორიას განეკუთვნებიან: ფეხმძიმეები, იმ ქალთა კატეგორია, რომლებსაც სამ წლამდე შვილი ჰყავთ და ოჯახში სხვა არავინ არის ფინანსების შემომტანი, ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლები და სხვა. მოვალეობის შემსრულებლად დარჩება ისიც, ვისი შტატიც არ გაუქმებულა. თუკი სამსახურში იყო 4 სპეციალისტი და აქედან მხოლოდ ორი უნდა დარჩეს, ამ შემთხვევაშიც, კანონის თანახმად, ის ადამიანები შეირჩევიან, რომლებსაც უფრო მეტი მუშაობის სტაჟი და კვალიფიკაცია ექნება,"** - აღნიშნა გივი ორდენიძემ.

შეგახსენებთ, რომ ახალი საშტატო ერთეულის დამტკიცების შემდეგ, მაისში ყველას შეეძლება მონაწილეობა მიიღოს საკვალიფიკაციო გამოცდებში. საკვალიფიკაციო გამოცდებისას, ხალხი შეირჩევა ცოდნის, კვალიფიკაციის და კარგი უნარ-ჩვევების შესაბამისად. რამდენეტაპიანი იქნება კონკურსი, ჯერჯერობით უცნობია. **"ჯერ უნდა დამტკიცდეს ახალი საშტატო ნუსხები და როცა გვეცოდინება, თუ რა თანამდებობი დარჩება, შემდეგ მათ მივუსადაგებთ გამოცდებს,"** - განაცხადა ორდენიძემ. მისივე თქმით, ის ხალხი, რომლებიც სამსახურიდან გათავისუფლდებიან, კომპენსაციას ვერ მიიღებენ, თუმცა მათ ყველას მიეცემათ შესაძლებლობა, კონკურსის წესით დაბრუნდნენ თავიანთ თანამდებობებზე. მერიის სტრუქტურებში დაწყებულ რეორგანიზაციას ფრაქცია "ახლები"-ს თავმჯდომარე გიორგი მოსიძე უარყოფითად აფასებს.

**"მათ 1 700 ადამიანი უკვე გაუშვეს თანამდებობიდან და ჯერ უცნობია, რამდენ მათგანს დააბრუნებენ. ჩვენთვის გაუგებარია, რა პრინციპით შეარჩევს კადრებს ქალაქის მერი. ჩვენ ყოველთვის პროტესტს გამოვხატავდით ასეთი ქმედებისადმი,"** – განაცხადა მან.

# ვიცე-გუბერნატორებს კორუფციულ გარიგებებში ადანაშაულებენ

პირველი გვერდიდან

ნიკო ჟვანიამ, იმერეთის მაშინდელი გუბერნატორის გია გეწაძის მითითებით, თანამდებობა 2 მარტს დატოვა. ჟვანიას გათავისუფლების მოტივად, არაოფიციალურად, ხე-ტყის ბიზნესში მისი მონაწილეობა დასახელდა.

**"არც ერთი გამგებლის დროს იმდენი ხე-მასალა არ მოჭრილა და არ განადგურებულა ხის მასივები ბაღდათში, როგორც ნიკო ჟვანიას და მისი კლანის მმართველობის დროს. მას აქვს საკუთარი სახერხები. რაიონში ისეთი კატასტროფული მდგომარეობაა, რომ მალე შეიძლება საირმის და ზეკრის უნიკალური წყლები დაიკარგოს. საირმის ირგვლივ, ფაქტობრივად, ხე აღარ დარჩა,"** - აცხადებს მურად კიკნაველიძე.

ბაღდათის არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ამბობენ, რომ ნიკო ჟვანიას ბიზნეს-ინტერესებს ლობირებას უწევდა და დღემდე უწევს ვიცე-გუბერნატორი შალვა დათუაძე.

**"გასული წლის 28 აგვისტოს ჩვენ ფირზე აღვბეჭდეთ ხე-ტყით დატვირთული ათი მანქანა, რომელსაც ნიკო ჟვანია, შალვა დათუაძე და გია რობაქიძე მიაცილებდნენ. ჩვენი ორგანიზაციის წევრმა ხვიჩა ცინცაძემ გადაუღო მათ ფოტოები, როცა ისინი, ნასვამ მდგომარეობაში, ეჩხუბებოდნენ და ემუქრებოდნენ ვანის პოლიციის თანამშრომლებს, რა უფლებით გააჩერეთ ჩვენი ხე-ტყეო. როცა დაგვინახეს, რომ ფოტოებს ვუღებდით, შალვა დათუაძემ თქვა, ეს ხე-ტყე პარლამენტარ ბეჟან ხურციძისააო. მეორე დღეს ხვიჩა ცინცაძეს ადგილობრივმა პოლიციამ, ყველანაირი კანონის უხეში დარღვევით, ჩხრეკა მოუწყო სახლში, მაგრამ ფირი ვერ აღმოუჩინეს, რადგან მე მქონდა წაღებული. სამაგიეროდ, ორი კვირის შემდეგ, განმეორებითი ჩხრეკა ჩაუტარეს და შინ მთელი საბრძოლო არსენალი "აღმოუჩინეს". ყველამ იცის ბაღდათში, რომ ტუბერკულოზით დაავადებული ხვიჩა ცინცაძე ნიკო ჟვანიას პირადი პატიმარია. ჟვანია მეც მემუქრებოდა: ის ხომ დავაჭერინე და ახლა 10 000 დოლარს გადავიხდი, ან დაგიჭერ და ან ვინმეს მოვაკვლევინებ შენს თავსო,"** - აცხადებს გოჩა თხელიძე "24 საათთან" საუბარში.

ბაღდათის სამედიცინო ცენტრის ყოფილი დირექტორი ლენგო კოჩაძე ამბობს, რომ ნიკო ჟვანიამ დევნა მას შემდეგ დაუწყო, რაც მისთვის 140 000 ლარის მიტანა ვერ შეძლო.

**"ბაღდათში კეთილმოწყობილი რაიონული საავადმყოფოს შესაქმნელად" ორი წლის წინ, ცენტრალურმა ხელისუფლებამ ბიუჯეტში 1 მილიონ 470 ათასი ლარი ჩასვა. გადმოირიცხა კიდეც პირველი ტრანში 100 000 ლარის ოდენობით. ამასობაში გამგებლად დაინიშნა ნიკო ჟვანია, რომელმაც დაიანგარიშა და გამოთვალა, რომ 10 პროცენტი ეკუთვნოდა. ერთ დღესაც ირიბად მაგრძნობინა, რომ ღამის განმავლობაში 140 000 ლარი უნდა მიმეტანა მისთვის. თავიდან ეს ხუმრობად ჩავთვალე, მაგრამ ამის შემდეგ მითხრეს, რომ თანამდებობიდან გამათავისუფლეს იმ მოტივით, თითქოს მე ყალბი დოკუმენტების გამოყენებით ბიუჯეტიდან თანხა მივითვისე,"** - აცხადებს ლენგო კოჩაძე.


"ნაციონალური მოძრაობის" ბაღდათის ორგანიზაციის დაფუძნებაზე.

ბაღდათის არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების თქმით, აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით მათ სამართლადამცავ სრტუქტურებს არაერთგზის მიმართეს, მაგრამ უშედეგოდ.

**"სამართალდამცავების კუთხით ინფორმაციის დაბლოკვაში შალვა დათუაძეს მეორე ვიცე-გუბერნატორი გიგა შუშანია ეხმარებოდა,"** - აცხდებს მურად კიკნაველიძე.

ლენგო კოჩაძე კი გასულ ზაფხულს მომხდარ ერთ ასეთ ფაქტს იხსენებს: **"საღამოს 12 საათი იქნებოდა, როცა რესტორან "ტირიფებში" მივაკითხე შვილს მანქანით და იქვე ეზოში ნიკო ჟვანია და გია რობაქიძე დავინახე. ეს ის პერიოდი იყო, როცა გია გეწაძემ ნიკო ჟვანიას ორი მანქანა გააჩერა ხე-ტყით დატვირთული და ამის თაობაზე ტელევიზიითაც გადმოიცა. მაშინ მთელმა ბაღდათმა ამოისუნთქა, ახლა მაინც მოგვშორდება ეს გამგებელიო, რადგან გახსოვთ, ერთი მანქანა დაიჭირეს აჭარაში და ამას ორი გამგებლის დაჭერა მოჰყვა. მაგრამ იმ ღამით, დავინახე, რომ ჟვანიამ და რობაქიძემ დაუძახეს შალვა დათუაძეს და იქვე, ჭიშკართან რაღაც შეკვრა გადასცეს. შალვა დათუაძესთან ერთად იმ დღეს რესტორანში იყო გიგა შუშანია. მეორე დღიდან შეწყდა ნიკო ჟვანიას ტვირთის საქმის გამოძიება და ის თანამდებობაზეც დარჩა".**

**"იყო მასეთი რაღაც. მართლა ჩამოვუტანე თბილისიდან შალვას რაღაც, ქაღალდში გახვეული, რომელიც მისმა მეგობარმა გამომატანა, მაგრამ არ ვიცი, შიგნით რა იყო, ხომ არ გავსინჯავდი? ფულის მიცემა თუ მინდოდა შალვასთვის, ვერ ვნახულობდი ქუთაისს იქით თუ რა?"** - აცხადებს ნიკო ჟვანია "24 საათთან" საუბარში.

ნიკო ჟვანია არც იმას მალავს, რომ ხე-ტყის სახერხს ფლობს: **"სახერხზე ვმუშაობდი სამი წელი, აბა, ქუჩაში უნდა დავმდგარიყავი? ხელფასი მქონდა 500-დან 600 ლარამდე, ოჯახი მყავს და სტუდენტი შვილები. ვმუშაობდი ფიზიკურად, ეს მთელმა ბაღდათმა იცის. მაგრამ, როცა გამგებელი გავხდი, მერე როგორღა ვიქნებოდი სახერხში? კარგი, ვთქვათ, ვარ ამ სახერხის წილში, რა უშავდება ამით რაიონს? შეამოწმეს ის სახერხი, მაგრამ ვერანაირი დარღვევა ვერ აღმოაჩინეს,"** - აცხადებს ნიკო ჟვანია.

სამაგიეროდ, ხე-ტყის ბიზნესში ინტერესებსა და ნიკო ჟვანიასაგან ფულის აღებას კატეგორიულად უარყოფს "24 საათთან" საუბარში ორივე ვიცე-გუბერნატორი.

**"ეს გახლავთ უაზრო განცხადებები. ეს ადამიანები არიან გაბრაზებული იმის გამო, რომ მე მთხოვეს მხარდაჭერა, რათა ერთ-ერთი მათგანი - მურად კიკნაველიძე დაგვენიშნა ბაღდათის რაიონის გამგებლის პირველ მოადგილედ. როცა მე ვუთხარი, რა დამსახურების გამო-მეთქი, კიკნაველიძემ მითხრა, საჩივარს აღარ დავწეროო. ამის გამო კი ნამდვილად ვერ დაინიშნება ხალხი თანამდებობეზე,"** - აცხადებს შალვა დათუაძე.

გიგა შუშანია კი ამ კამპანიას ქუთაისის ახალ ხელისუფლებასთან დაპირისპირებით ხსნის: **"ეს არის პასუხი ჩემს გუშინდელ მკაცრ შენიშვნებზე ქუთაისის ახალი ხელისუფლების მიმართ. როცა მე გამოვააშკარავე მათი ინტერესები და ვთქვი, რომ ჯერ არ მოსულან ხელისუფლებაში და უკვე კონკრეტული ინტერესები გააჩნიათ-მეთქი, ამით მიპასუხეს. მე ვიცი, რომ ბაღდათის ამ არასამთავრობო ორგანიზაციების უკან, ამ შემთხვევაში, დგას "თავისუფლების ინსტიტუტის" კოორდინატორი გოჩა ჩხეტია, რომელიც ამ ორგანიზაციისგან დამოუკიდებლად მოქმედებს და ერევა მერიის საქმიანობაში. აღმოჩნდა, რომ სწორედ გოჩა ჩხეტიას სიძეს აქვს იჯარით 30 ლარად აღებული სკვერი იმ უბანში, რომლის მუნიციპალიტეტის თანამშრომელიც თავად არის."**

"ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ბაღდათის ორგანიზაციის თავმჯდომარის შალვა დათუაძის დისკრედიტაციის მცდელობას ქუთაისის მერიაში "დავანებული" არაჯანსაღი ძალების კამპანიად აცხადებს ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანიც: **"ტალახის შესხმა ჩვენმა მეგობრებმა ძალიან კარგად ისწავლეს. ფრთხილად იყვნენ ეს ადამიანები, რადგან ვნახეთ მაგათგან გამოსული ადამიანები, როგორ მუშაობენ სხვადასხვა თანამდებობებზე, მათ შორის ქუთაისშიც".**

შალვა დათუაძის უმანკოებაში ეჭვი არც დავით კირკიტაძეს ეპარება, მაგრამ ისე, ყოველი შემთხვევისთვის, ამბობს: **"ფინანსურ გარიგებასთან დაკავშირებით, ნამდვილად არ ვიცი, მაგრამ გარწმუნებთ: ვინმეს რომ რაიმე დაერღვია, ფინანსური პოლიცია ამას ნამდვილად არავის აპატიებდა".**

ბაღდათელი არასამთავრობოელებისგან შექმნილი უხერხულობების მიუხედავად, "ნაციონალური მოძრაობის" რაიონულმა კონფერენციამ შალვა დათუაძე რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარედ აირჩია, ნიკო ჟვანიას კი ამჯერად პარტიული საბჭოს წევრობა ხვდა წილად, ცხადია, ახლო მომავალში სახელმწიფო სამსახურის მიღების იმედით. ნიკო ჟვანიამ იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციაში დაწინაურების წინადადება უკვე მიიღო, მაგრამ, როგორც თავად ამბობს, მშობლიური რაიონისგან მოწყვეტა არ სურს. სამხარეო ადმინისტრაციის წარდგენით კი, მალე რაიონის გამგებლად გია რობაქიძე დაინიშნება, რომელიც "24 საათთან" საუბარში არ გამორიცხავს ჟვანიას ადგილზე დაწინაურებას.

# საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის განკარგულება

2005 წლის 11 აპრილი N10

## სს "თბილუნივერსალბანკისათვის" საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების შესახებ

სს "თბილუნივერსალბანკის" სს "საქართველოს ბანკთან" შერწყმასთან დაკავშირებით, სს "საქართველოს ბანკის" 2004 წლის 17 დეკემბრის აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების (ოქმი N21) და სს "თბილუნივერსალბანკის" 2005 წლის 8 თებერვლის აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების (ოქმიN50) გადაწყვეტილებებისა და ქ. თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 11 აპრილის დადგენილების საფუძველზე, აგრეთვე "კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის "გ" ქვეპუნქტის მე-3 აბზაცისა და "საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-2 და 59-ე მუხლების შესაბამისად:

1. გაუუქმდეს საბანკო საქმიანობის ლიცენზია სს "თბილუნივერსალბანკს".
2. საქართველოს ეროვნული ბანკის საოპერაციო სამმართველომ სს "თბილუნივერსალბანკის" საკორესპონდენტო ანგარიშზე და რეგულირების ფონდის ანგარიშებზე რიცხული თანხები შესაბამისად ჩარიცხოს სს "საქართველოს ბანკის" საკორესპონდენტო და რეგულირების ფონდის ანგარიშებზე და დახუროს სს "თბილუნივერსალბანკის" ანგარიშები.
3. საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო სამმართველომ სს "თბილუნივერსალბანკის" სავალუტო საკორესპონდენტო ანგარიშებზე რიცხული თანხები ჩარიცხოს სს "საქართველოს ბანკის" სავალუტო საკორესპონდენტო ანგარიშზე და დახუროს სს "თბილუნივერსალბანკის" ანგარიშები.
4. საქართველოს ეროვნული ბანკის საგადამხდელო სისტემების სამმართველომ უზრუნველყოს საბანკო ცნობარებში შესაბამისი ცვლილებების შეტანა.
5. საქართველოს ეროვნული ბანკის საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და უშიშროებისა და ინფორმაციის დაცვის სამმართველოებმა უზრუნველყონ სს "თბილუნივერსალბანკის" გამოყვანა (გამორთვა) ყველა საერთაშორისო სწრაფი გადარიცხვების სისტემიდან.
6. სს "თბილუნივერსალბანკი" ვალდებულია ლიცენზიის გაუქმებიდან 10 დღის ვადაში საქართველოს ეროვნულ ბანკს დაუბრუნოს სალიცენზიო მოწმობა.
7. ეს განკარგულება გამოქვეყნდეს საქართველოს ეროვნული ბანკისა და სხვა ბეჭდვით ორგანოში.
8. ამ ადმინისტრაციული აქტის გასაჩივრება შეიძლება გაცნობიდან ექვსი თვის განმავლობაში თბილისის საოლქო სასამართლოში ( თბილისი, რობაქიძის 7ა).

*რ. გოცირიძე*

Germania
Germania Fluggesellschaft mbH

თბილისი - კიოლნი/ბონი
ახალი განრიგი
აპრილი - ოქტომბერი 2005
www.gexx.de
ყოველ ხუთშაბათს
ST 1140 CGN-TBS 22:15/05:05
ყოველ პარასკევს
ST 1141 TBS-CGN 05:45/08:35
sales@valley.ge
Georgien@GermaniaAirline.de
ერთი გზა 255 EURO
ორი გზა 390 EURO

საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA
სიახლე!!!
გთავაზობთ ახალ, დაბალ ტარიფებს საერთაშორისო საუბრებზე
უქმე და სადღესასწაულო დღეები
24.00-09.00სთ.
ევროპა 70თ
აშშ 50თ
რუსეთი 50თ
40თ.
35თ.
30თ.
ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები!
8-10
რუსთაველის გამზ. 31 ტელ: 44 18 10; 44 28 28 www.telecom.ge

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** პარლამენტარები ფინანსური დეკლარაციის წარდგენის გადავადებას ითხოვენ. აღნიშნული მოთხოვნით დეპუტატი კოტე გაბაშვილი გუშინ პარლამენტის ბიუროს სხდომაზე გამოვიდა. მისი განცხადებით, ფინანსური დეკლარაციის ახალი ფორმები საკმაოდ რთულად შესავსები და სქელტანიანია.

გაბაშვილს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ნინო კალანდაძე გამოეხმაურა. მისი თქმით, თუ პარლამენტართა მოთხოვნა იქნება, იურიდიულ საკითხთა კომიტეტი შესაბამისი ცვლილების პროექტს შეიმუშავებს, რომელსაც პარლამენტი დაამტკიცებს და ფინანსური დეკლარაციების წარდგენის ვადა, რომელიც 30 აპრილით იყო განსაზღვრული, გადაიწევს.

პარლამენტართა მოთხოვნას დეპუტატი გიგა ბოკერია არ დაეთანხმა. მისი განცხადებით, ფინანსური დეკლარაციის ძველი ფორმები არ იყო სრულყოფილი და გარკვეულ ეჭვებს ბადებდა, ახალი ფორმები კი სრულყოფილებას მიუახლოვდა. ამდენად, დეკლარაციების წარდგენის გადავადებას საფუძველი არ აქვს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ქართველი რეზერვისტები და ამერიკელი ინსტრუქტორები დღეს ერთმანეთს ბეისბოლში შეეჯიბრებიან. ღონისძიების ორგანიზებას სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე, რეზერვისტთა პირველი ბატალიონის შტაბის უფროსი დავით ნამგალაური განახორციელებს. როგორც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში განაცხადეს, ამხანაგური შეხვედრა დღეს 16.00 საათზე მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე გაიმართება. შეჯიბრში მონაწილეობას ის ამერიკელი ინსტრუქტორები მიიღებენ, რომლებიც საქართველოში რამდენიმე დღის წინ, რეზერვისტთა ბატალიონების შტაბის უფროსებისთვის სწავლებების ჩასატარებლად ჩამოვიდნენ. შეხვედრის ბოლოს საუკეთესო მოთამაშეებს სამახსოვრო პრიზები გადაეცემათ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში გიორგი ბარამიძე გუშინ, სამდღიანი ვიზიტით ხორვატიის დედაქალაქ ზაგრებში გაემგზავრა.

13-15 აპრილს ზაგრებში "კრანს მონტანას ფორუმი" გაიმართება. ფორუმში მონაწილეობას ევროკავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მაღალი დონის წარმომადგენლები მიიღებენ და ევროკავშირის გაფართოების საკითხებს განიხილავენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ბიზნესმენები მთავრობისგან წვრილი აქციონერების უფლებების დაცვას მოითხოვენ. დღეს მეწარმეებმა, ბიზნესმენთა ფედერაციაში გამართულ შეხვედრაზე, რეფორმების კოორდინაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის კახა ბენდუქიძის მრჩეველ ქეთი ქოქრაშვილს, მინისტრის აპარატის მიერ მომზადებულ "მეწარმეთა შესახებ" კანონპროექტთან დაკავშირებით შენიშვნები წარუდგინეს. ბიზნესმენებისთვის მიუღებელია კანონპროექტის ზოგიერთი მუხლი. "შემოთავაზებული კანონპროექტი სამეთვალყურეო საბჭოს როლის დაკნინებას და უმცირესობაში მყოფ აქციონერთა უფლებების შესუსტებას იწვევს. ეს კი კორპორატიული მართვის პრინციპით დაუშვებელია," - აცხადებენ ბიზნესმენები და აღნიშნავენ, რომ წარმოდგენილი კანონპროექტი სერიოზული დარტყმა იქნება მეწარმეებისთვის. **ინტერ-პრესი.**

**თბილისი.** საქართველოს საფონდო ბირჟაზე დღეს 667 167 ლარის ღირებულების ფასიანი ქაღალდები გაიყიდა. როგორც "ინტერ-პრესს" საქართველოს საფონდო ბირჟაზე განუცხადეს, სავაჭროდ წარდგენილი 8 კომპანიის აქციებიდან გარიგება ოთხის აქციებზე დაიდო. კერძოდ, გარიგება დაიდო "საქართველოს ბანკის", ქარხანა "ელექტროძრავის", "თბილღვინოს" და "კრისტალი 1887"-ის აქციებზე. გარიგებების ჯამურმა მოცულობამ – 264 509 ფასიანი ქაღალდი, საერთო ღირებულებამ კი 667 167 ლარი შეადგინა. საფონდო ბირჟაზე რიგით N26-ე ვაჭრობა გაიმართა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "საქართველოს რკინიგზას" რესტრუქტურიზაციისა და განვითარების პროექტზე მუშაობაში, ფინანსური, ქონებრივი მდგომარეობისა და მენეჯმენტის რადიკალურ გაუმჯობესებაში ამერიკული კომპანია "ბუზ ალენ ჰამილტონი" დაეხმარება. **ინტერ-პრესი**

## ფოტო-რეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან

რადიო მწვანე ტალღის ეთერში **FM 107.4** ყოველ სამშაბათს და შაბათს 11-დან 12 საათამდე უსმინეთ გადაცემას დილის სასამართლო. გადასამართლდება ხელისუფლება, ისტორიული პირები და ლიტერატურული პერსონაჟები. გამოიტანეთ თქვენი ვერდიქტი, რადგანაც 12 ნაფიცი მსაჯული იქნებით თქვენ.





**სამართლდება თბილისის ქუჩებში ხეების გადაბელვა**

მოსარჩელე მოსამართლე — გაგა გოზრორიძე

ბრალმდებელი — ლაშა ჩხარტიშვილი, გარემოსა და ცხოველთა უფლებების დამცველი კავშირი „ლობი". პრეზიდენტი: „ქალაქის ხელმძღვანელობა, როგორც ყოველთვის მოქმედებს და შემდეგ ფიქრობს. ანალოგიური სიტუაციაა მაშინაც, როდესაც საქმე ეხება ქალაქის გარემოს დაცვის საკითხებს და მოქალაქეთა ჯანმრთელობას. გარემოს დაცვის კომიტეტი მხოლოდ ჩეხავს და ბირჟავს (ასე [illegible]), ხოლო ახალი ხეების დარგვაზე არც კი ფიქრობს.

ადვოკატი — ზაურ თაბაგარი, თბილისის გარემოს დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გამწვანების დარგში. თბილისის გამწვანების კურატორი: თუკი ხეების არასწორ გადაბელვაში მედავებით, გეტყვით, რომ ქალაქის ცენტრში სიმაღლის და პერიოდის სტანდარტს ვარღვევთ მხოლოდ ფორსმაჟორულ პირობებში. უბედური შემთხვევები, რომლებსაც ხეების წაქცევა იწვევს, არასაკმაო დაფინანსების ბრალია.

ბრალდება — ხეების გადაბელვა თბილისის ქუჩებში არასწორედ მიმდინარეობს

ვერდიქტი — 12 ნაფიცი მსაჯულის გადაწყვეტილებით (9 ხმა 3-ის წინააღმდეგ) თბილისის მერიის მიერ ხეების გადაბელვა დამაკმაყოფილებლად გამოცხადდა

ანონსი
ხუთშაბათს, 14 აპრილს, 13 საათიდან რადიო „მწვანე ტალღა" გთავაზობთ რიგგარეშე სასამართლო პროცესს.
სამართლდება დღევანდელი ქართული [illegible].
დასწრება სავალდებულოა

## საზოგადოების ჩართვა დაავიწყდათ...

### კითხვები ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციასთან დაკავშირებით

*ეროვნული უშიშროების საბჭოს საერთაშორისო უსაფრთხოების დეპარტამენტის დირექტორის ვიქტორ დოლიძის ინფორმაციით, ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია საქართველოს უკვე მაისში უნდა ჰქონდეს.*

ვერიკო თევზაძე

იმის გამო, რომ არ არსებობს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, დღემდე შეუმუშავებლია ახალი სამხედრო დოქტრინა. ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაზე მუშაობა ჯერ კიდევ 90-იან წლებში დაიწყო. შემუშავდა პროექტის რამდენიმე ვარიანტი, მაგრამ მათგან ამ ხნის განმავლობაში სამოქმედო დოკუმენტის მიღება ვერ მოხერხდა. **"ზოგიერთ ქვეყანას, მაგალითად - გერმანიას, ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია საერთოდ არ გააჩნია. მაგრამ საქართველოს მსგავსი პატარა და სუსტი ქვეყნისთვის, რომელსაც ეროვნული უშიშროება უზრუნველსაყოფელი და განსამტკიცებელი აქვს, შესაბამისი კონცეფცია უნდა ჰქონდეს,"** - განუცხადა "24 საათს" ექსპერტმა უსაფრთხოების საკითხებში არჩილ გეგეშიძემ. მისი თქმით, კონცეფციის მიღებას რამდენიმე გარემოება უშლიდა ხელს, მათ შორის იგულისხმება შევარდნაძის პერიოდის ხელისუფლებაში არსებული შიდა უწყებრივი და პიროვნული დაპირისპირებებიც.

იდეა, რომ ქვეყანას აუცილებლად სჭირდება უსაფრთხოების კონცეფცია და იგი, რაც შეიძლება, მოკლე დროში უნდა შემუშავდეს, თავის დროზე ხელისუფლებას და საზოგადოებას კავკასიურმა ინსტიტუტმა მიაწოდა. **"ამ საკითხთან დაკავშირებით, შევარდნაძემ სახელმწიფო კომისიაც კი შექმნა. 1996-1998 წლებში რამდენიმე პროექტი დაიწერა, რომელთა ავტორები იყვნენ მაშინდელი პარლამენტის დეპუტატთა ჯგუფი, თავდაცვის საკითხებში საერთაშორისო მრჩეველთა საბჭო (რომელიც საგარეო საქმეთა სამინისტროსთან თანამშრომლობდა), სასაზღვრო ჯარებშიც კი შექმნეს თავიანთი ვერსია. 2000-2002 წლებში გამოჩნდა ახალი პროექტები. ეს დოკუმენტები პროექტების დონეზე დარჩა. ვარდების რევოლუციის შემდეგ, როცა უშიშროების საბჭოს მდივნის პოსტზე ვანო მერაბიშვილი იმყოფებოდა, აღნიშნული უწყების აპარატმა წარმოადგინა კიდევ ერთი პროექტი, რომელიც 2003 წელს იყო დაწერილი. ჩვენ, რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა, შენიშვნები გამოვთქვით და იგი უშიშროების საბჭოს აპარატს გადავუგზავნეთ,"** - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას ექსპერტმა, ფონდ "ღია საზოგადოება – საქართველო"-ს დირექტორმა დავით დარჩიაშვილმა და დასძინა, რომ იგი იმ პერიოდში კავკასიურ ინსტიტუტში მუშაობდა და როგორც იდეის ერთ-ერთი ავტორი, მთელ ამ პროცესებს თვალყურს ადევნებდა.

პროექტის საბოლოო ვარიანტის შესახებ, რომელზე მუშაობაც უშიშროების საბჭოში დასრულდა, დავით დარჩიაშვილს არანაირი ინფორმაცია არ მოეპოვება. იგივე განგვიცხადა არჩილ გეგეშიძემაც.

"24 საათის" კითხვაზე: უშიშროების საბჭოში ახლახან შემუშავებული ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის პროექტი წინა პროექტების შეჯერებულ ვარიანტს წარმოადგენს თუ ახალი ტიპის დოკუმენტია? - ვიქტორ დოლიძემ უპასუხა: **"საკმაოდ კარგად გამოვიყენეთ წინა ვარიანტები, თუმცა, სტრუქტურა მთლიანად შეიცვალა და, აქედან გამომდინარე, ეს პროექტი ახალია. მაქსიმალურად ვეცადეთ, ჩვენი ძირითადი ღირებულებების და პრიორიტეტების გათვალისწინებით, დოკუმენტი სტანდარტებში მოგვექცია."**

**გახდება თუ არა ხსენებული პროექტი საჯარო განხილვის საგანი? -** ვიქტორ დოლიძის განმარტებით, ეს საკითხი მისი კომპეტენციის ფარგლებს სცილდება. **"ჩემი პირადი მოსაზრება ასეთია: ეს არის ფუძემდებლური დოკუმენტი, რომლის საფუძველზე დარგობრივი სტრატეგიები უნდა შემუშავდეს. იგი საზოგადოებისთვის დაფარული არ უნდა იყოს,"** - დასძინა დოლიძემ ჩვენთან საუბრისას.

**"ეს არის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სასიცოცხლო ეროვნულ ინტერესებს და, აქედან გამომდინარე, ამ სასიცოცხლო ინტერესების მიმართ შესაძლო თუ რეალურად არსებულ საფრთხეებს, რისკებს. ჯერ კიდევ 1998 წლიდან მოყოლებული, უცხოელი ექსპერტები აღნიშნავენ, რომ დოკუმენტი უნდა იყოს ღია. თუ პროექტი მაისში უნდა დამტკიცდეს, გამოდის, რომ პროექტის განხილვის პროცესში საზოგადოების ჩართვა დაავიწყდათ,"** - განუცხადა "24 საათს" დავით დარჩიაშვილმა.

იმის გათვალისწინებით, რომ დოკუმენტის მიღება მაისის თვეშია დაგეგმილი, საეჭვოა, მისი სრულყოფილი საჯარო განხილვა მოესწროს.

## ჩინეთის ელჩი საქართველოს გაცნობას სტალინის სამშობლოდან იწყებს

თეა თედლიაშვილი
გორიდან

გუშინ გორს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ვან კაივენი და მისი მეუღლე გუ ფი ესტუმრნენ. ჩინელებმა დაათვალიერეს სტალინის სახლ-მუზეუმი, გორის ღვინისა და საკონსერვო (სააქციო საზოგადოება "გორკონი") ქარხნები. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად ეწვივნენ შიდა ქართლის ისტორიულ ძეგლებს-ატენის სიონს და კლდეში ნაკვეთ ქალაქ უფლისციხეს.

ჩინელებმა დააგემოვნეს "გორკონისა" და ღვინის ქარხნის პროდუქცია და აღფრთოვანებული დარჩნენ.

შიდა ქართლი მესამე რეგიონია ქუთაისისა და მცხეთის შემდეგ, სადაც ჩინელები ჩავიდნენ.

**"ჩვენ გვინდა, კარგად შევისწავლოთ საქართველოს ეკონომიკური და კულტურული მდგომარეობა. მიგვაჩნია, რომ იმ ქვეყანაში, სადაც ზღვაც არის და მთებიც, მშვენივრად შეიძლება, მაღალ დონეზე განვითარდეს ტურიზმი,"** - აღნიშნა ჩინეთის ელჩმა ვან კაივენმა. ჩინელმა სტუმრებმა საგულდაგულოდ გამოჰკითხეს სტალინის სახლ-მუზეუმის გიდს მისი ბიოგრაფია, ყველა ექსპონატის წარმოშობა და ისტორია.

**"გორი ჩვენთვის საინტერესოა იმდენად, რამდენადაც აქ დაიბადა სტალინი, რომელმაც დიდი როლი ითამაშა კაცობრიობის ისტორიაში,"** - დასძენს კაივენი.

ჩინეთის ელჩი მიიჩნევს, რომ რევოლუციის შემდეგ საქართველოში სიტუაცია გაუმჯობესდა და კარგი პირობები შეიქმნა ეკონომიკური ურთიერთობების დასამყარებლად.

ჩინელები გაოცებული დარჩნენ უფლისციხით და ატენის სიონის სიდიადით.












## შედგება შეხვედრა სეპარატისტ ლიდერებთან?

პირველი გვერდიდან

**ეკონომიკური პროექტების გასახილველად"** რუსეთის დედაქალაქში წინა დღით ჩავიდა. თუმცა, რეალობასთან უფრო ახლოს უნდა იყოს ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, სერგეი ბაგაფშის მოსკოვში დაუგეგმავი გამგზავრება სოხუმში აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მრჩევლის სტივენ მანის ვიზიტს უკავშირდება.

ძნელი სათქმელია, რამდენად მოხერხდება სეპარატისტული რეგიონების ლიდერების ჯორჯ ბუშთან შეხვედრის ორგანიზება - მოსკოვი, ალბათ, ყველა ღონეს იხმარს, რომ ბაგაფში და კოკოითი აშშ-ს პრეზიდენტთან "პირდაპირ კონტაქტზე" არ გავიდნენ. თუმცა, სტივენ მანის აფხაზეთში ჩასვლამ ერთი დადებითი შედეგი უკვე გამოიღო: გივი თარგამაძის თქმით, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა აფხაზეთის თვითგამოცხადებული ხელისუფლებისგან, გალის რაიონში დევნილთა დაბრუნების უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, დამატებითი გარანტიები მიიღო.

როგორც ქართველი პარლამენტარი აღნიშნავს, აფხაზურმა მხარემ სტივენ მანს გარანტია მისცა არა მხოლოდ იმ დევნილების უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, რომლებიც უკვე ცხოვრობენ გალის რაიონში, არამედ მათზეც, ვინც საკუთარ სახლებს, შესაძლოა, მომავალში დაუბრუნდნენ.

**"გარკვეული პერიოდის განმავლობაში აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი და საქართველოს ხელისუფლება დააკვირდებიან, როგორ შეძლებს ბაგაფში საკუთარი პოლიტიკის განხორციელებას აფხაზეთში და მხოლოდ ამის შემდგომ გადაიდგმება ქმედითი ნაბიჯები. არ არის გამორიცხული, აფხაზურ მხარესთან ერთობლივი ეკონომიკური პროექტები ამოქმედდეს,"** - შენიშნავს გივი თარგამაძე.

ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მრჩეველი სოხუმიდან კვლავ თბილისში დაბრუნდა და საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილსა და პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელს შეხვდა. პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინფორმაციით, მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრაზე მხარეებმა **"საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოების და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მოგვარების შესახებ იმსჯელეს."**

*24 საათი*

## მოკლედ

### ნატო-ს გენერალური მდივანი საქართველოში IPAP-ის მიმდინარეობას მაღალ შეფასებას აძლევს

ნატო-ს გენერალური მდივანი იაპ დე ჰოოპ სხეფერი საქართველოში IPAP-ის მიმდინარეობას, როგორც საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის გზაზე ერთ-ერთ წინგადადგმულ ნაბიჯს, მაღალ შეფასებას აძლევს.

ამგვარი განცხადება ნატო-ს გენერალურმა მდივანმა გუშინ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან ბრიუსელში გამართულ შეხვედრაზე გააკეთა.

როგორც პარლამენტის პრესსამსახურში განაცხადეს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ ნატო-ს გენერალურ მდივანს IPAP-ის მიმდინარეობასთან დაკავშირებით კონკრეტული შენიშვნების გამოთქმა სთხოვა. პარლამენტის თავმჯდომარეს აინტერესებდა, ასრულებს თუ არა საქართველო ნატო-ში გაწევრიანებისთვის აუცილებელი პირველი ეტაპის - ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის პირობებს, რათა საქართველოს პარტნიორობის სამოქმედო გეგმაზე მუშაობა წლობით არ გაუგრძელდეს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ნატო-ს გენერალურ მდივანს საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის წერილი და დაბადების დღის მილოცვა გადასცა.

*ინტერ-პრესი*

### სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში პრეზიდენტის რწმუნებულის ვინაობა ორ დღეში გახდება ცნობილი

სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში პრეზიდენტის რწმუნებულის ვინაობა ორ დღეში გახდება ცნობილი. ამის შესახებ გუშინ სახელმწიფო კანცელარიაში გამართულ საგანგებო პრესკონფერენციაზე პრეზიდენტის პრესსპიკერის მოადგილემ ალანა გაგლოევამ განაცხადა.

გაგლოევას თქმით, პრეზიდენტმა უკვე მიიღო გადაწყვეტილება და რუსეთის ფედერაციაში საქართველოს ელჩი ირაკლი ჩუბინიშვილი გახდება. მიხეილ სააკაშვილმა სპეციალურ განკარგულებას უკვე მოაწერა ხელი და დასამტკიცებლად პარლამენტს წარუდგინა.

ირაკლი ჩუბინიშვილის ადგილს პრეზიდენტის რწმუნებული სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში გიგი უგულავა დაიკავებს, ხოლო ვინ გახდება რწმუნებული, პრეზიდენტს ჯერ არ გადაუწყვეტია.

*ინტერ-პრესი*

### სასაზღვრო უსაფრთხოების კონფერენცია დასრულდა

სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" გუშინ დასრულდა ორდღიანი კონფერენცია, რომელიც სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის განვითარებისა და საქართველოს სასაზღვრო უსაფრთხოების ერთიანი ხედვის ჩამოყალიბების საკითხებს ეძღვნებოდა.

კონფერენციის მუშაობაში, საქართველოს სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების გარდა, ევროპის ქვეყნების სასაზღვრო უწყებების ხელმძღვანელებიც მონაწილეობდნენ, რომლებიც თბილისში სპეციალურად აღნიშნულ კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდნენ.

საქართველოს სასაზღვრო უწყების ხელმძღვანელებმა კონფერენციაზე წარმოადგინეს მოხსენება დეპარტამენტში მიმდინარე რეფორმების, არსებული მდგომარეობისა და მისი მომავალი განვითარების კონცეპტუალური ხედვის შესახებ.

ქართულმა მხარემ კონფერენციაზე ცალსახად დააფიქსირა, რომ რეფორმის მიზანს ევროპული სტანდარტების შესაბამისი უწყების ჩამოყალიბება წარმოადგენს, რომელიც არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით, არამედ მის ფარგლებს გარეთ არსებულ საფრთხეზე სათანადო რეაგირებას შეძლებს.

აღნიშნულის მისაღწევად დეპარტამენტმა რეფორმის მიმართულებები და განხორციელების ეტაპები განსაზღვრა. ამასთან, აღინიშნა, რომ საქართველოს სასაზღვრო უწყების ეფექტური საქმიანობისთვის შემაფერხებელ ფაქტორს მწირი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და დაფინანსება წარმოადგენს. თუმცა, კონფერენციის პირველ დღეს შინაგან საქმეთა მინსტრმა ვანო მერაბიშვილმა განაცხადა, რომ დეპარტამენტის დაფინანსება წინა წლებთან შედარებით, გაიზარდა, მომავალ წელს კი კიდევ გაიზრდება.

კონფერენციის ორგანიზატორები იყვნენ საქართველოს და გერმანიის სასაზღვრო უწყებები, ფინანსური უზრუნველყოფა კი შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული კონტროლის საერთაშორისო ცენტრმა (DCAF) და საიმიგრაციო პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო კომიტეტმა (ICMPD) განახორციელეს.

*ინტერ-პრესი*

### "წინ, საქართველო" ხელისუფლების ეკონომიკურ პოლიტიკას აკრიტიკებს

ხელისუფლების ოპოზიციაში მყოფმა ძალებმა გუშინ მორიგი ერთობლივი შეკრება გამართეს. "მომავლის მთავრობის", "ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის" და "ლეიბორისტული პარტიის" წარმომადგენლები აკაკი ხორავას სახელობის მსახიობთა სახლში "წინ, საქართველოს" ორგანიზებით შეიკრიბნენ და ამჯერად ხელისუფლება ეკონომიკური პოლიტიკის გამო გააკრიტიკეს.

საქართველოში შექმნილი სოციალურ-ეკონომიური კრიზისის, ახალი საგადასახადო კოდექსის, საგადასახადო და ხარჯვით სფეროებში გატარებული პოლიტიკის შეფასების საფუძველზე ოპოზიციონერები აცხადებენ, რომ დღეს ქვეყანაში სახეზეა საკმაოდ სერიოზული ეკონომიკური სტაგნაცია.

მოძრაობა "წინ, საქართველომ" ღონისძიებაზე, ოპოზიციური ძალების გარდა, ხელისუფლების წარმომადგენლებიც, კერძოდ კი, სახელმწიფო მინისტრი კახა ბენდუქიძე და პარლამენტარი გიგი წერეთელი მიიწვია, თუმცა, ისინი შეხვედრაზე არ მისულან.

*ინტერ-პრესი*

# რევოლუცია რომ არ ყოფილიყო...

**ჩვენი პოლიტიკური კალენდრით, გასული კვირადღე რიგითი დღე არ იყო**

აპოლონ სილაგაძე

ყველაფერი რომ ჩვეულებრივად ყოფილიყო (რაც კატეგორიულად არ გვიყვარს ქართველებს), ჩვენ გასულ კვირას, და არა გასულ წელს, გვეცოდინებოდა, ვინ არის საქართველოს ახალი, რიგით მესამე, პრეზიდენტი. მიხეილ სააკაშვილი და მისი გუნდი, სანამ ახალი მოვალეობების შესრულებას შეუდგებოდა, მადლობას ეტყოდა ყოფილ პრეზიდენტს, რომელიც, კონსტიტუციის თანახმად, არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებდა და გზას დაულოცავდა ახალ ხელისუფლებას. ახალი ხელისუფლება ძირფესვიანად გარდაქმნიდა კურსს და ამისთვის მას არ დასჭირდებოდა ყველას იმათი ვადამდელი დასაფლავება, ვინც მე-20 საუკუნეში დაიბადა. ყოველი მოქალაქე მშვიდად დაიძინებდა, რათა შეხვედროდა მომდევნო დილას, რომლის ამოცანების გადაჭრაში მასაც ექნებოდა წვლილი და წილი.

მაგრამ 21-ე საუკუნეს თავისი მოთხოვნები აქვს და თავისი ტემპი. მასდემოკრატიზაციის პროცესმა – დემოკრატიის მასობრივი ვარიანტის ექსპორტის და მისი გლობალური დამკვიდრების პროცესმა – მთელი პლანეტა უნდა მოიაროს, რათა ჰარმონიზდეს თავისუფალი და არათავისუფალი სამყარო და საყოველთაო უსაფრთხოება დასადგურდეს. შეიძლება ყველაზე დიდ ამოცანას ამ პროცესის წინაშე რუსეთი და ყოფილი საბჭოთა სივრცე აყენებს – ამ ამოცანის გადაჭრა პროცესისთვის ალბათ ერთ-ერთ საბოლოო ეტაპს შექმნის. ყველა შემთხვევაში, პროცესის ამ (მთავარი) შემადგენლის განხორციელება უნდა დაწყებულიყო, ხოლო დაწყება ისეთი სტარტის აღებას ნიშნავდა, რომელიც სამოდელო საფუძველს ჩამოაყალიბებდა შემდგომი განვითარებისათვის, რადგან შემდგომ რიგი იდგა – უკრაინა, ყირგიზეთი... სტარტი და ექსპერიმენტი აუცილებლად წარმატებული უნდა ყოფილიყო, ხოლო ქვეყანა, რომელიც სტარტისა და ექსპერიმენტის სუბიექტი და ობიექტი იქნებოდა, ისეთი უნდა ყოფილიყო, რომ ყველაფერთან ერთად ჰქონოდა თვისება შემდგომშიც საერთო ინტერესებით ეცხოვრა და არ ხსომებოდა საკუთარი. ვინ? რომელი ქვეყანა, რომელი ხალხი? – საკითხი ასე იდგა.

რა თქმა უნდა, ის ხალხი, ვინც ბერლინის კედელი დაანგრია 1991 წელს. ვინც ოქტომბრის რევოლუცია მოახდინა 1917 წელს. ვინც დააარსა პეტერბურგი 1703 წელს. ვინც პირველმა გამოაცხადა (აღიდგინა) სუვერენობა 1918 წელს და მერე, ორი დღის შემდეგ, თბილისში (!) გამოაცხადებინა დამოუკიდებლობა აზერბაიჯანსა და სომხეთს.

მკითხველს ვთხოვ, მთელ ზემოთა პასაჟში არავითარ შემთხვევაში არ დაინახოს ირონია (ან მხოლოდ ირონია არ დაინახოს). ყველაფერი ეს მართლაც ასეა ან დაახლოებით ასეა. მასდემოკრატიზაცია მართლაც წარმოადგენს დღევანდელი მსოფლიოს წინსვლის აუცილებელ პირობას – ეს განვითარების კანონზომიერებაა. ჩვენს ეროვნულ თვისებებსა და ისტორიულ როლს რაც შეეხება, ესეც დაახლოებით ასეა. პლუს გარემოებათა დამთხვევა.

ჩვენ აღმოვჩნდით პროცესების ავანგარდში. კარგია ეს თუ ცუდი? საკითხის ასე დასმაც კი არ შეიძლება, რადგანაც ეს ფაქტია, რომელიც პროცესმა განაპირობა და არა ვინმემ. ამიტომ დღეს მთავარია დინჯად და ზუსტად განისაზღვროს ყველაფერი, პირველ რიგში – რა მოვიგეთ და რა წავაგეთ შედეგად.

რევოლუცია რომ არ ყოფილიყო, ჩვენ არა უბრალოდ პასიური, არამედ უროლო მონაწილე ვიქნებოდით განვითარების გლობალური პროცესებისა; ეს დამღუპველი არა, მაგრამ მინიმუმ ძალიან ცუდი იქნებოდა ჩვენთვის. ჩვენ არ გვექნებოდა ის საერთაშორისო ავტორიტეტი, რომელიც ბევრად აღემატება იმ შესაძლებლობებს, რასაც ჩვენი ფართობი და მოსახლეობის რაოდენობა განსაზღვრავს. ჩვენ არ გვექნებოდა საერთაშორისო ფუნქცია, რომლის ქონის შანსი მცირე ერებს ადვილად არ ეძლევათ. რევოლუცია და იმ სივრცის თავისებურებები რომ არა, რომელსაც ჩვენ, საუბედუროდ, განვეკუთვნებით, ჩვენ არ გვექნებოდა ისეთი ლიდერობა, როდესაც ჩვენთან შეგირდებივით ჩამოდიან უკრაინიდან, მოლდავეთიდან, ყირგიზეთიდან... და კიდევ ჩამოვლენ. პირადად ჩემთვის საერთოდ რევოლუცია უკიდურესად უსიმპათიო ცნებაა, რადგანაც ნგრევასთანაა დაკავშირებული, მაგრამ უნდა ვაღიაროთ: რევოლუცია რომ არ ყოფილიყო, ჩვენ ჩამორჩენილთა რიგებში აღმოვჩნდებოდით. რაც მიუღებელია ორი გარემოების გამო: ჯერ ერთი, ჩამორჩენილობა არავისთვის არ ვარგა საერთოდ; მეორეც, ეს არ ივარგებდა კონკრეტულად ჩვენთვის იმიტომ, რომ მასთან წინააღმდეგობაში მოვიდოდა ჩვენი ისტორიული modus vivendi-ც და modus procedendi-ც, რადგანაც ჩვენ არა მარტო ჩამორჩენილები არ ვიყავით და არ უნდა ვყოფილიყავით არასდროს, არამედ ყოველთვის ვიყავით ან ვცდილობდით ვყოფილიყავით პირველები ან სადღაც პირველთა შორის. ძველ ისტორიას თავი რომ დავანებოთ, ასეთები ვიყავით ჩვენ ახალ და უახლეს ეტაპებზეც: 1918 წელს, რუსეთის იმპერიის დაშლის შემდეგ, მხოლოდ ჩვენ შევქმენით არა უბრალოდ დამოუკიდებელი სახელმწიფო, არამედ დემოკრატიული რესპუბლიკა; 1990 წელს და იმის წინ ჩვენ არა უბრალოდ ვუცდიდით და ვაცხადებდით თავისუფლებას, არამედ განუწყვეტლივ და, ერთი შეხედვით, სრულიად უმიზნოდ, ვებრძოდით საბჭოთა ცენტრს, რომელიც, როგორც ასეთი, მარტო ჩვენი ცენტრი არ იყო; 1992 წლის 6 იანვრის პირქუშ დილას ჩვენ პირველებმა გადავლახეთ პოსტსაბჭოთა მდგომარეობა და შევედით პოსტპოსტსაბჭოთაში. ამის შემდეგ ჩვენ ბუნებრივად უნდა ვყოფილიყავით რევოლუციების სასტარტო ქვეყანა და ამის ალტერნატივა ჩვენი განვითარების ხაზის საწინააღმდეგო სიარული იქნებოდა, რაც, როგორც ცნობილია, დამღუპველია ყოველთვის.

ამიტომ ჩვენი ავანგარდში ყოფნა, ჯერ ერთი, ობიექტური კანონზომიერება იყო, მეორეც, კარგი იყო ჩვენთვის. (სხვა თემაა, მაგრამ მაინც ვიტყვი მოკლედ: და ამაში ჩვენ ყველანი, როგორც ამ და არა სხვა ქვეყნის შვილები, ვიყავით მონაწილეები, მათ შორის – ყოფილი პრეზიდენტი).

რაც შეეხება მეორე მხარეს – რა წავაგეთ.

რევოლუცია რომ არ ყოფილიყო, ჩვენ არ ვიცხოვრებდით უარყოფისა და ნგრევის ცხოვრებით, როდესაც ყველაფერს, რაც გვქონდა ჩვენ და ჰქონდათ ჩვენს წინაპრებს, ბულდოზერმა უნდა გადაუაროს, და ამ გზაზე ყველაფერი შეიძლება, თანაც ანონიმურად; ყველაფერი ქართული შეტევის ობიექტი არ გახდებოდა, ხოლო ყველაფერი არაქართული – არა უბრალოდ მისაბაძი მაგალითი, არამედ სავალდებულო ეტალონი; არ იქნებოდა საყოველთაო ნევროზისა და ფსიქოზის ატმოსფერო, როდესაც ვილაცა (უმრავლესობა) უნდა მოშორდეს, ხოლო ვილაცა (უმცირესობა) უნდა დარჩეს; ჩვენ ყველას, შეიძლება, რეკეტისთვისაც დაგვეკრა ტაში, მაგრამ ხანდახან მაინც გაგვახსენდებოდა, რომ არსებობს ისეთი ცნებაც, როგორიცაა ეკონომიკა; ისიც გაგვახსენდებოდა, რომ ზოგი რამ საქართველოსაც ეკუთვნის და ამიტომ არ შეიძლება ყველაფრის გაყიდვა და განიავება; და ა.შ. და ა.შ.; საბოლოოდ: ყველასთვის მისაღები იქნებოდა აზრი, რომ ქვეყნის ცხოვრება სერიოზული საქმეა და თამაშ-თამაშ მხოლოდ დაღუპვასთან შეიძლება მისვლა.

ამგვარად – ერთი მხრივ და მეორე მხრივ.

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ შეიქმნა წინააღმდეგობა? ნიშნავს. მაგრამ შეიქმნა მხოლოდ იმისთვის, რომ დაიძლიოს, - ჩვენ მხოლოდ ასე აზროვნების უფლება გვაქვს.

მაგრამ სანამ დაძლევის თემას უშუალოდ შევეხებით, უნდა ითქვას შემდეგი. როგორც ჩანს, მთელმა ამ ისტორიამ ერთი უზუსტობა დაუშვა. ის, რომ სტარტი ჩვენ უნდა აგვეღო, იდეოლოგია ჩვენ უნდა დაგვემუშავებინა და მაგალითი ჩვენ უნდა მიგვეცა, ალბათ აბსოლუტურად სწორია. მთავარია, რატომაა სწორი. სწორია იმის გამო, რატომაც მეორე რამ არ არის სწორი. არ არის სწორი კი ის, რომ ჩვენს მაგალითზე ინერციით რევოლუციისშემდგომი გადაკეთების (წაიკითხე: უხეში გადაკეთების) მოდელის შექმნაც დაიწყო. ჩვენ ამისათვის ტიპურ – სამოდელო თუ საბაზო – მაგალითს ვერ შევქმნიდით და ვერ შევქმენით, რადგანაც ჩვენ ყველაზე ნაკლებ ვიყავით და ვართ გადასაკეთებლები. გათანამედროვეობა ჩვენ, როგორც ყველას, ნამდვილად გვჭირდება, მაგრამ ძალადობამდე მისული გადაკეთება და ამოძირკვა ასევე ნამდვილად არ გვესაჭიროება, რადგანაც (და აქ – პასუხი იმაზეც, რატომ უნდა შეჩერებულიყო არჩევანი ჩვენზე რევოლუციის შემთხვევაში): ჩვენ ყოველთვის ვიყავით ევროპა, ვიყავით გენეტიკურად, და გვჭირდებოდა მხოლოდ ამის გახსენება, სხვა – არაფერი, მით უმეტეს რადიკალური და უაპელაციო გადაკეთება; სულ ახლახან, საბჭოთა ეპოქის დადგომამდე, ჩვენ და არა სხვამ შევქმენით ევროპაში პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა, რომლის პარლამენტში უმრავლესობაც არსებობდა და უმცირესობაც, ხოლო უმრავლესობას ევროპული ტიპის სოციალ-დემოკრატები წარმოადგენდნენ და არა აღმოსავლური ტიპის ბოლშევიკები (რომლებიც პარლამენტში საერთოდ არ იყვნენ წარმოდგენილი – ისინი გადატრიალებას ამზადებდნენ ჩვენს წინააღმდეგ); თუ კათოლიციზმი და, საერთოდ, დასავლური ქრისტიანობა დღეს პროგრესთან არის ასოცირებული, ქართული მართლმადიდებლური ეკლესიაც ყოველთვის წინსვლის საქმესთან იყო დაკავშირებული, ხოლო უკანასკნელ პერიოდში მისი როლი დემოკრატიზაციის პროცესში აშკარაა და განუზომელი; ჩვენ ყოველთვის უსაზღვრებო ქვეყანა ვიყავით და, ვისაც უნდოდა, შემოდიოდა და გადიოდა, ხოლო ლტოლვილები ყოველთვის შემოდიოდნენ – სომხები ოსმალო თურქეთიდან თუ ებრაელები ფაშისტური ოკუპაციის ქვეშ მყოფი ლიტვიდან (შემდგომ დღესაც, ჩეჩნეთიდან), ჩვენ მათ ვილებდით და არასოდეს მოვითხოვდით გვარების გადაკეთებას და ასიმილირებას, როგორც ეს ბევრგან ხდებოდა და ხდება ჩვენს მეზობლად; თუ მსოფლიო თანამეგობრობა დღეს იმისათვის იღვწის, რომ ეროვნული განკუთვნილება არსად არ ქმნიდეს დაბრკოლებას და კომპლექსებს და, მაგალითად, ჩვენს რეგიონში ჩვენთვის ყველასთვის სულერთი იყოს, სომეხია ჩემი თანამემამულე, ქართველი თუ აზერბაიჯანელი, - ამისთვის სანიმუშო მაგალითს ჩვენ ყოველთვის წარმოვადგენდით; ჩვენში რელიგიური თუ ეთნიკური უმცირესობები უფლებრივად და ფაქტობრივად ყოველთვის უკეთეს დღეში იყვნენ, ვიდრე უმრავლესობა, და, თუ დღეს იქმნება უკეთური მითები ჩვენ მიერ ჩვენი საყოველთაოდ ცნობილი ტოლერანტობის დავიწყების შესახებ, ეს სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ ჩვენი გადაკეთებისათვის მხოლოდ ხელოვნური არგუმენტები შეიძლება შეითხზას. რა რჩება? ყბადაღებული კორუმპირებულობა. ეს ფაქტია, მაგრამ ესეც ხელოვნური არგუმენტია, რადგანაც კორუფცია გლობალური მოვლენაა, რომლის ობიექტურ წყაროს ისევ და ისევ არათავისუფლება და არათავისუფალი სამყარო წარმოადგენს (ისევე როგორც ტერორიზმისა, ფანატიზმისა, აგრესიული სეპარატიზმისა და ა.შ.), ხოლო სუბიექტურს – გლობალური დონორი სტრუქტურების მიერ დახვეწილი მექანიზმები. არც ის გამოდგება არგუმენტად, რომ ჩვენ ღვინო და სადღეგრძელოს თქმა გვირჩევნია, - ამისთვისაც არაა საჭირო სპეცლონისძიებები, რადგანაც ჩვენი ახალგაზრდა თაობა თანდათანობით თვითონ გადადის ვისკიზე და ჯინზე.

ერთი სიტყვით, ჩვენ არ ვიყავით და არ ვართ შესაფერისნი გადაკეთების ტიპური ვარიანტის მოდელირებისათვის. ჩვენ ჩვენი მისია შევასრულეთ და ეს მეორე როლი თუნდაც იმათ შეიძლება განეკუთვნოთ, ვინც უნიტარული ქვეყნები ააშენა, ან მონოეთნიკური საზოგადოებები შექმნა.

რაც შეეხება მდგომარეობის დაძლევის ამოცანას, აქ, როგორც ყოველთვის, ორმხრივი მოძრაობაა საჭირო.

ჩვენ, ჩვენი მხრივ, ასეთი სამოქმედო ლოგიკა უნდა აავამუშავოთ: შევასრულეთ რა ავანგარდისტული როლი გლობალური პროცესების წარმართვაში, ჩვენ დღეს მარტო იმას კი არ უნდა ვხედავდეთ, რომ ეს პროცესები ჯერ არ დასრულებულა და ჩვენ ჩვენი გამოცდილებით ისევე უნდა მივიღოთ მათში აქტიური მონაწილეობა, არამედ იმასაც, რომ ლოკალური პროცესი ჩვენში, ჩვენს ქვეყანაში, დასრულდა და რევოლუციას გადარჩენა სჭირდება; საფრთხეს რევოლუციას რევოლუციისშემდგომი ვითარება შეუქმნის, თუ იგი საზოგადოების სოციალურ ინტერესებს და ერის თვითმყოფად ინტერესებს დაეჯახება. ჩვენ უნდა დავინახოთ, რომ ეს საფრთხე უკვე იქმნება, რაც სიგნალია რევოლუციის მომავალი მარცხისა, - ამიტომ ჩვენ უნდა გავიხადოთ რევოლუციონერის კარგად მორგებული უნიფორმა, რათა დროზე მივხედოთ საკუთარ პრობლემებს და გავაგებინოთ იმათაც (წაიკითხე: მსოფლიო თანამეგობრობას, თავისუფალ სამყაროს და ა.შ.), რომ არც ყოველთაო გადაკეთება და არც პერმანენტული რევოლუცია არ გამოდგება უნივერსალურ იდეოლოგიად.

იმათ ასეთი სამოქმედო ლოგიკა უნდა აამუშავონ: თუ ჩვენი ქვეყნის და, პირველ ყოვლისა, ჩვენი ერის თვითმყოფადობა აგრეთვე არ იქნება ზრუნვის საგანი, დამარცხდება მათი რევოლუცია, განხორციელებული ჩვენ მიერ; თუ ჩვენ მიერ განხორციელებული რევოლუციის წარმატება არ მოვა უნისონში რევოლუციისშემდგომი დროის აღმშენებლობის და არა ნგრევის წარმატებებთან, რევოლუციის საქმე დამარცხდება არა მარტო ჩვენთან, არამედ სხვაგანაც, სადაც ის ან უკვე მოხდა, ან უნდა მოხდეს.

ისევ წინააღმდეგობა? არა, რადგანაც ორივე – ჩვენიც და იმათიც – ამოცანა განხორციელებადია ერთდროულად, თუ ჩვენ ერთდროულად ვიაზროვნებთ არა მხოლოდ ზოგადი, არამედ კონკრეტული კატეგორიებით, - ამ უკანასკნელში იგულისხმება კონკრეტული ინტერესები გლობალიზაციის პროცესში ჩაბმული ქვეყნებისა. ამ შემთხვევაში ჩვენც და რევოლუციის იდეოლოგებიც შემდეგ პრაგმატიკას უნდა დავემორჩილოთ: პროცესს აჰყვებიან სხვებიც და წარმატებები იქნება სხვაგანაც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თვალნათლივ დავანახებთ ყველას, რომ რევოლუციისშემდგომ პროცესში ჩართვა უმტკივნეულოდ ხდება; უმტკივნეულოდ – ე.ი. გლობალიზაციის საჭირო დოზის გაჯერებით ეროვნულობისა და ადგილობრივის შენარჩუნების საჭირო დოზასთან.

აი, აქ შეიძლება გამოიკვეთოს ახალი, რევოლუციისშემდგომი, საერთაშორისო ამოცანა და ფუნქცია ჩვენთვის. აი, ამ მისიისთვის საქართველო შესაფერისია და, შეიძლება ითქვას, უნიკალური ქვეყანაა (გარემოებათა დამთხვევა - თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენ პირველი რევოლუციის სამშობლო ვართ) და მართლაც შეუძლია სამოდელო ნიმუში შექმნას, - იმიტომ, რომ იგი ამისთვის ყოველთვის იყო მზად, შეიძლება ბევრ სხვაზე უფრო ადრე და უფრო მეტად. ამიტომ, თუ დღეს ჩვენ ისევ ავანგარდში უნდა ვიყოთ (ან გვინდა ვიყოთ, ან უნდათ ვიყოთ), - მაშინ ძალისმიერი გადაკეთება და ევროპეიზაცია (გავიხსენოთ: ეს უკანასკნელი ჩვენ პრაქტიკულად არ გვჭირდება) უნდა შეგვეცვალოს ახალი შინაარსით და ახალი ფუნქციით, რომლის ლაპიდარული კონცეფცია დაახლოებით ასე ჟღერს: რევოლუციის შემდეგ მასდემოკრატიზაციისა და მასგლობალიზაციის პროცესში უშუალო მონაწილეობა თავისუფლად ერწყმის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესებზე ზრუნვის ამოცანას, - საბოლოოდ, აღმშენებლობისა და არა ნგრევის ამოცანას. ასე და ამგვარად უნდა მოხდეს ჩვენი ძველი, ან უკვე განვლილი, ფუნქციისა და ლიდერობის ტრანსფორმაცია. ასეთი ტრანსფორმაცია ჩვენ უნდა დავისახოთ მიზნად. ეს ტრანსფორმაცია მომგებიანი იქნება ჩვენთვისაც და იმათთვისაც. იგი მომგებიანი იქნება აგრეთვე იმათთვის, ვინც რიგში დგას.

ჩვენი ასეთი ტრანსფორმაცია და ასეთი სახის სამოდელო ფუნქციის შესრულება მსოფლიოში მიმდინარე აქტუალურ პროცესებს საჩრდილობლობას არ გაუფუჭებს, - ეს, სხვათა შორის, პროცესების იდეოლოგებმა თავიდანვე იცოდნენ, როდესაც არჩევანი ჩვენზე შეჩერდა. ხანდახან იქმნება შთაბეჭდილება, რომ მათ ეს დაავიწყდათ მას შემდეგ, რაც ჩვენ ჩვენი მთავარი როლი შევასრულეთ; მათ საერთოდ დაავიწყდათ, რომ ამქვეყნად არსებობს ჩვენი პატარა ინტერესებიც.

შეიძლება, რაც ითქვა, გარკვეული ჰიპერბოლიზაციაა, მაგრამ ჩვენ არ გავნებს შევახსენოთ ყველას, რომ ყოველთვის საზღვრებგახსნილი ქვეყანა ვიყავით, რომელიც დღეს მზადაა სამოქალაქო საზოგადოების შესაქმნელად. გარდა ამისა, ჩვენ ყოველთვის სუვერენული ერი ვიყავით (ამის შეხსენებაც არაა ზედმეტი), რომელმაც თავისი სუვერენული სახელმწიფოებრიობა ააგო, და ამ 3000-წლიან გზაზე მხოლოდ ერთსაუკუნოვანი ვაკუუმი გვქონდა მე-19 საუკუნეში; ამ ნიშნით ჩვენ ცოცხალ ერებს შორის უძველესთა კატეგორიას განვეკუთვნებით, - ესეც დამსახურება კაცობრიობის წინაშე. ისევე როგორც ის დღევანდელი თუნდაც პატარ-პატარა დამსახურებანი, რომლებზეც ვილაპარაკეთ ზემოთ, და აქ კიდევ ერთი, ძალზე მნიშვნელოვანი, შეგვიძლია დავამატოთ: საქართველომ შექმნა კიდევ ერთი ახალი რეალობა, რადგანაც ის არის პირველი ქვეყანა, რომელიც არა უბრალოდ გამოვიდა მესამე, არათავისუფალი, სამყაროდან და შევიდა ახალში (უბრალოდ ჩვენ, როგორც ჩანს, არასდროს არაფერს არ ვაკეთებთ), არამედ შექმნა ეს ახალი სამყარო, რომელიც იერარქიით არ არის მეოთხე, - ეს სამყარო თავისუფალი სამყაროს გაფართოების პლაცდარმია. ამისთვისაც ობიექტური საფუძველი არსებობდა და ეს საფუძველი პრინციპულად იგივეა, რომლითაც რევოლუციაში ჩვენი ქრონოლოგიური პირველობა იყო განპირობებული: საქართველო ინტელექტუალურად, კულტურულად და ა.შ. არასოდეს განეკუთვნებოდა მესამე სამყაროს; ის, რაც საქართველომ საბჭოთა წლებში შექმნა, არ იყო უბრალოდ წინწაწეული კულტურა, მეცნიერება და ა.შ., - ეს იყო არა საბჭოთა კულტურის, არამედ მსოფლიო ცივილიზაციის შემადგენელი ერთ-ერთი საინტერესო ელემენტი (გავიხსენოთ ჩვენი თეატრი, კინემატოგრაფი, ფსიქოლოგიის სამეცნიერო სკოლა და ა.შ.).

საქართველომ დაიწყო რევოლუციების პროცესი, მანვე გახსნა ეს სამყარო და ახლა სხვებს ვაძლევთ კლუბის წევრობის მანდატს.

მეტი პატარა ერს ალბათ არ შეუძლია გააკეთოს. უფრო ზუსტად – არ შეეძლება, თუ შინაგანი სიმშვიდე არ ექნება, თუ საკუთარ საქმეებს არ მოიგვარებს. რევოლუცია მართლაც ისტორიული პროცესებით განპირობებული მოვლენაა და ჩვენი ლიდერების დამსახურებაა, რომ ამ პროცესებში ზუსტად ჩავეწერეთ, მაგრამ რევოლუციისშემდგომი სვლა პრინციპულად დაგეგმვადია, მართვადი და კორექტირებადი. მსოფლიო თანამეგობრობამ – თუ მართლაც არსებობს კეთილ ნებაზე დაფუძნებული ასეთი ცნება – ჯერ ერთი, არ უნდა დაუშვას კულტურისა და განათლების იმ დონის დანერგვა, რომელსაც ჩვენ მივადნიეთ, და ჩვენი ხელოვნური გამესამესამყაროება, მეორეც, არ უნდა დაგვტოვოს შინაგანი და გარეგანი მტრების საჯიჯგნად. თუ ასეთი რამ არ არსებობს, ან თანამეგობრობა მხოლოდ ეგოცენტრიზმის განსახიერებაა, ჩვენ უნდა დავეხმაროს ამერიკის პრეზიდენტი, რომლის მაისის ვიზიტი კარგი იქნება სწორედ ამ თემას მიეძღვნას – ჩვენზე ზრუნვის და ჩვენი დღევანდელი ვითარების კორექტირების თემას. ჩვენ უკვე ვართ იმის ღირსი, რომ დეკლარატიული დახმარება კონკრეტულში გადაიზარდოს, და, მაგალითად, ჩვენი ჯარის მშენებლობა მართლაც ჩვენი ჯარის მშენებლობა იყოს და არა სპეცდანიშნულების რაზმებისა, რადგანაც ჯარი ტანკებია, გემები და ავიაცია, და არა მხოლოდ ერაყისთვის განწრთნილი ჯარისკაცები.

გვაქვს თუ არა საფუძველი ამგვარი ტონის აღებისა? გვაქვს – იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ საერთო ამოცანებზე ვზრუნავთ, ჩვენ ასეთი ზრუნვის უფლებაც მოვიპოვეთ და იდეებისა და პროექტების შეთავაზებისაც, ხოლო ჩვენი კეთილდღეობის ამოცანა პირდაპირ კავშირშია რევოლუციური პროცესების კეთილდღეობის ამოცანასთან: რევოლუციამ შეიძლება წაიბორძიკოს სხვაგან, სადაც ის ხორციელდება ახლა ან განხორციელდება შემდეგში, მაგრამ არ შეიძლება წაიბორძიკოს ან დამარცხდეს ჩვენთან, რადგანაც პირველ შემთხვევაში ეს იქნება თუმცა არასასურველი, მაგრამ ჩვეულებრივი და გამოსწორებადი მოვლენა, მეორე შემთხვევაში – ეს იქნება მოდელისა და ეტალონის პრინციპული დამარცხება, რაც მთელი პროცესის დამარცხებაა. ამიტომ სწორედ ჩვენთან და სწორედ დღეს არის შესაქმნელი აღმშენებლობითი და არა ნგრევითი გარემო, რომელიც სოციალურ აფეთქებებსაც აღკვეთს და რევოლუციასაც გადაარჩენს. საკითხის ასე დასმა ჩვენ შეგვიძლია. ჩვენ შეგვიძლია დავამატოთ შემდეგიც: ჩვენ ვართ მზად, თუ საჭიროა, სხვებზე მეტიც გავიღოთ, თუ საჭიროა, რისკიანი ექსპერიმენტებიც ავიღოთ ჩვენს თავზე, ოღონდ შევეწიროთ – არა; ამისთვის მთელი ერის კოლექტიური გადაწყვეტილებაა საჭირო, როდესაც კენჭისყრისას არც ერთი ხმა არ არის წინააღმდეგი.

დღეს, საერთოდ, ბევრი რამ, შეიძლება ყველაფერიც, დამოკიდებულია ჩვენს პრინციპულ პოზიციაზე. ძალიან საინტერესო იქნებოდა, მაგალითად, დღეს ჩვენს უმაღლეს ხელისუფლებას თავისი საზღვარგარეთელი კოლეგებისათვის პირდაპირ განეცხადებინა: საერთო განვითარების დღევანდელი ეტაპი ამერიდან მოითხოვს, რომ გარედან ექებონ და დახმარებით უზრუნველყონ (არა მარტო ჩვენში) არა პროამერიკული, პრორუსული და ა.შ. ხელისუფლება, არამედ პროქართული, რის შემდეგაც აქტუალიზდება არა ხელისუფლების (რეჟიმის) შენარჩუნების ამოცანა, არამედ ქვეყნის შენარჩუნებისა. ასეთი რამ არც ერთ ხელისუფლებას, არც ერთ რეჟიმს არ განუცხადებია, - ჩვენ აქაც შეგვიძლია შევქმნათ დასაწყისი, ჩვენ ე.ი. ჩვენს დღევანდელ ხელისუფლებას. ხოლო გარეთა ხელისუფლებებს უკვე ეცოდინებათ, რომ საქართველოში გაძლებს მხოლოდ პროქართული ხელისუფლება და ამოცანაა, ჯერ ერთი, ეს ხელისუფლება მსოფლიო პროცესებს უბამდეს მხარს, მეორეც, შენ დაასწრო სხვებს, პარტნიორული ურთიერთობები დაამყარო მასთან.

ძალიან საინტერესო და საჭირო იქნებოდა ასევე, პრეზიდენტ სააკაშვილს დემონსტრაციულად რომ ეღიარებინა ქვეყნის საშინაო ბედისა და საქმეების პრიორიტეტულობა. ამისთვის მან უნდა (უნდა – რადგანაც ყველას აქვს უფლება, ურჩიოს და უკარნახოს საკუთარ პრეზიდენტს, რომელიც არა მარტო იმათი პრეზიდენტია, ვისაც იგი მოსწონს, არამედ იმათიც, ვისაც არ მოსწონს) გაანალიზოს, ამ ერთზე მეტი წლის განმავლობაში რამდენი დღე გაატარა გარეთ – ე.ი. გლობალური ამოცანების სამსახურში (წარმატებით), და რამდენი დღე გაატარა შიგნით – ე.ი. ლოკალური ამოცანების სამსახურში (წარმატებების გარეშე); ლოკალური ამოცანები არ არის ორდინარული ამოცანები, ყოველ შემთხვევაში დღეს, რადგანაც ეს არის გარდატეხის ეპოქის ამოცანები, როდესაც ქვეყანა ერთნაირად შეიძლება ან დაილუპოს ან აყვავდეს. ამ ამოცანების გადაჭრას ანალიზი და ანალიტიკოსები სჭირდება; ამიტომ პრეზიდენტს კიდევ ერთი დემონსტრაციული ნაბიჯის გადადგმა სჭირდება: მან უნდა ჩამოიშოროს ზოგიერთი ის თავქარიანი ადამიანი, რომელიც მას გარს ახვევია.

რევოლუცია გადასარჩენია – შიგნითაც და გარეთაც.

რევოლუცია ვერ გადარჩება, თუ ჩვენს შიგნით იგი ნელ-ნელა გადატრიალებას დაემსგავსება, რადგანაც გადატრიალება, საერთოდ, ერთი მუჭა ადამიანების ინტერესებს ემსახურება და, ამდენად, ანტიეროვნული და ანტისახელმწიფოებრივი მოვლენაა.

რევოლუცია გადარჩება, თუ წარმატებები გარეთ ჰარმონიზდება წარმატებებთან შიგნით.

წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოსგან დარჩება მხოლოდ აზრი. და კიდევ მემატიანეების მიერ აღნუსხული ავანგარდისტული ისტორია, მათ შორის - იმის შესახებ, რომ 2005 წლის აპრილი ჩვენ 2003 წლის ნოემბერში მოვიყვანეთ.

## განცხადება

შპს "საქართველოს რკინიგზა" აცხადებს კონკურსს შპს "საქართველოს რკინიგზის" "მგზავრთა გადაყვანის" ფილიალის დირექტორის ვაკანტურ თანამდებობაზე კანდიდატურის შესარჩევად.

**ზოგადი საკვალიფიკაციო მოთხოვნები**

1. წერილობითი მოსაზრებები დარგის განვითარებისა და არსებული პრობლემების დაძლევის შესახებ (არაუმეტეს 2 გვერდი);
2. უმაღლესი განათლება (სასურველია რკინიგზის ტრანსპორტის, სახელმწიფო მართვის ან მენეჯმენტის სპეციალობა);
3. ხელმძღვანელ თანამდებობებზე მუშაობის სტაჟი არანაკლებ 5 წელი;
4. სასურველია ჰქონდეს რკინიგზის ტრანსპორტზე მუშაობის გამოცდილება;
5. სასურველია უცხო ენების ფლობა (რუსული, ინგლისური).

**წარმოსადგენი დოკუმენტაცია**

1. ავტობიოგრაფია (CV);
2. 2 ფოტოსურათი;
3. განათლების მოწმობის ასლი (სერთიფიკატის ასლები) დედანის წარმოდგენით;
4. პირადობის მოწმობის ასლი დედანის წარმოდგენით;
5. განაცხადი თანამდებობაზე დანიშვნის შემთხვევაში მოსალოდნელ ინტერესთა კონფლიქტის შესახებ.

განაცხადები მიიღება 2005 წლის 22 აპრილის 1800 საათამდე ყოველდღიურად 1000-1800 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა) შემდეგ მისამართზე: თბილისი, თამარ მეფის გამზირი N15, შპს "საქართველოს რკინიგზა", ადამიანთა რესურსების მართვისა და განვითარების სამსახური, II სართული, ტელ.: 56 34 08, 56 34 48, 56 46 79. ელ-ფოსტა: kadrebi@railway.ge

# დაელოდეთ 2010 წელს

ზაზა ფაჩუაშვილი

2010 წლისთვის საქართველოში 2/3-ით უნდა შემცირდეს დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობა, შიდსით ინფიცირების შემთხვევები და საგრძნობლად გაუმჯობესდეს ადამიანთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის მდგომარეობა – ასეთია გაერო-ს მოსახლეობის ფონდის ეროვნული ხუთწლიანი პროგრამის მიზანი. ამასთან დაკავშირებით გაიმართა პროგრამის პრიორიტეტული მიმართულებების პრეზენტაცია, რომელსაც, ხელისუფლების ყველა შტოს წარმომადგენელთან ერთად, პირველი ლედიც ესწრებოდა.



ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

შეხვედრაზე კიდევ ერთხელ გამოქვეყნდა შემაშფოთებელი ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ საქართველოში ჯერ კიდევ მაღალია დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობა, დიდია აბორტების რაოდენობა (განსაკუთრებით, ნაადრევ ასაკში) და ძალიან დაბალია მოსახლეობის ინფორმირებულობისა და შესაბამისი განათლების დონე (განსაკუთრებით, რეგიონებში). ერთადერთი, რაშიც პირველ ადგილზე ვყოფილვართ მსოფლიოში, ოჯახური ძალადობის შემთხვევების ნაკლებობაა, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, გაერო-ს მოსახლეობის ფონდის რეგიონულ დირექტორს ანა ბირგიტ ალბრექსტენს ჩვენი მონაცემებისა არ სჯერა. მან ბოდიში მოგვიხადა და გვითხრა, დანიაში ქალთა 25 პროცენტი ხდება ოჯახური ძალადობის მსხვერპლი და თქვენთან ეს მაჩვენებელი 5 პროცენტზე მეტი როგორ არ არისო? – ასე ხანმოკლე აღმოჩნდა ჩვენი სიხარული.

რაც შეეხება გაერო-ს პროგრამის პრიორიტეტებს, ჩვენთვის გენდერულ თანასწორობაზე ზრუნვა და მოსახლეობის ინფორმირებულობა, აბორტის მავნებლობისა თუ ჯანმრთელობისათვის საზიანო სხვა ფაქტორების შესახებ, ახალი ხილი ნამდვილად არ არის, მაგრამ ვერც იმას დავიკვეხნით, რომ ამ სფეროში წარმატებები გვაქვს.

გამონაკლისი შეიძლება იყოს მხოლოდ ადამიანის რეპროდუქციული ჯანმრთელობის სფერო, რომელშიც წლების განმავლობაში ნაყოფიერად მოღვაწეობს მსოფლიო მნიშვნელობის სპეციალისტი, პროფესორი არჩილ ხომასურიძე. მისი ხელმძღვანელობით, ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციული ჯანმრთელობის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში შეიქმნა საერთაშორისო სტანდარტების დონის სამედიცინო სამსახური და დაინერგა მკურნალობის უახლესი ტექნოლოგიები. მისი გამოსვლით მნიშვნელოვანი საერთაშორისო ფორუმებიც იხსნება და, ამდენად, საინტერესო იქნებოდა ასეთი სპეციალისტის მოსაზრება, მაგრამ, ჩვენდა გასაკვირად, იგი გუშინდელი შეხვედრის მომხსენებელთა სიაშიც კი არ აღმოჩნდა. ამ ქვეყანაში არც პროტოკოლი ყოფილა სრულყოფილი.

# რამსფელდის რჩევები ერაყის ახალ ხელისუფლებას

ნიკა თარაშვილი

*აშშ-ს თავდაცვის მდივანი უკვე მეოთხე, მოულოდნელი ვიზიტით ეწვია ერაყს. დონალდ რამსფელდი გუშინ ერაყის ახალ ხელმძღვანელობასთან მართავდა მოლაპარაკებებს; უფრო სწორად, რჩევებს აძლევდა არჩევნების შედეგად ქვეყნის სათავეში მოსულ პოლიტიკურ ძალებს, თუ როგორ აეცილებინათ თავიდან სამოქალაქო მღელვარება და დაეძლიათ კორუფცია.*



*დონალდ რამსფელდი გუშინ ერაყის ახალ მთავრობას ეცნობოდა და "რჩევებსაც" არ იშურებდა.*

რამსფელდის წინასწარ გაუხმაურებელი ვიზიტები უკვე ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. განცხადებები მაღალი რანგის ამერიკელი სტუმრის შუამდინარეთში ჩასვლის შესახებ, უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, წინასწარ არასოდეს კეთდება. რამსფელდის ვიზიტის შედეგებზე მხოლოდ პოსტ-ფაქტუმ, ისიც ბუნდოვანი ცნობები ვრცელდება ხოლმე.

გუშინაც აშშ-ს თავდაცვის მდივნის სტუმრობამ ბაღდადში, თითქმის, უხმაუროდ ჩაიარა. ვიზიტი კი მართლაც მნიშვნელოვან ხასიათს ატარებდა. შეხვედრები ქვეყნის ახლად არჩეულ პრეზიდენტთან, პრემიერ-მინისტრთან, საპარლამენტო ფრაქციების ლიდერებთან – აი, რამსფელდის ერთდღიანი ვიზიტის პროგრამის არასრული სია.

ვიზიტის ძირითადი მიზანი იყო პირისპირ საუბარის გამართვა ერაყის ახალ ხელმძღვანელობასთან, ვიდრე ის ოფიციალურად შეუდგება მოვალეობის შესრულებას. "ჩვენ შესაძლებლობა მოგვეცა, განვაგრძოთ პოლიტიკური, ეკონომიკური პროგრესის გზით სვლა... ძალიან სამწუხარო იქნება, თუ ამის შეფერხების ან, საერთოდ, ჩაშლის მიზეზი არამდგრადობა, უნდობლობა ან ხელისუფლების წრეებში გამეფებული კორუფცია გახდება", - განაცხადა დონალდ რამსფელდმა. რამსფელდმა შეშფოთება გამოთქვა პოლიტიკური პროცესების შენელებული განვითარების პროგნოზებთან დაკავშირებითაც - კერძოდ, მის განსაკუთრებულ შენიშვნებს იმსახურებს ერაყის ახალ კონსტიტუციაზე არასაკმარისად ეფექტიანი მუშაობა. შეგახსენებთ, ერაყი დღეისთვის დროებითი კონსტიტუციის საფუძველზე იმართება. აგვისტოს შუა რიცხვებისთვის მზად უნდა იყოს ახალი ძირითადი კანონი, რომელსაც შემდეგ, დეკემბერში ახალი არჩევნები მოჰყვება.

ჯერ კიდევ ბაღდადში ჩასვლამდე რამსფელდმა ერაყის ახალი ლიდერები გააფრთხილა, რომ სახელმწიფო მოხელეთა არსებული კადრების ახლით სწრაფი ჩანაცვლება სიტუაციას კიდევ უფრო გაართულებს. ამერიკელები ეჭვობენ, რომ ახალმა შიიტურმა მთავრობამ, შესაძლოა, სადამისდროინდელი ოფიცრები - ფაქტობრივად, ერაყის ახალი უსაფრთხოების ძალების ხერხემალი – დაითხოვოს სამუშაოდან. გასულ წელს, მას შემდეგ, რაც ერაყში წესრიგის დამცველთა მძაფრი დეფიციტი გაჩნდა, ახალი შეირაღებული ძალების შესაქმნელად მიიწვიეს სადამ ჰუსეინის დამარცხების შემდეგ დათხოვილი სწორედ ეს გამოცდილი ადამიანები. ახლა კი საფრთხე გაჩნდა, რომ წარსულში "ბაასის" პარტიის წევრობა მათ სერიოზულ ნაკლად ჩაეთვლებათ.

ეჭვგარეშეა, ერაყის მთავრობაში ძირითად თანამდებობებს შიიტები დაიკავებენ – ისინი, ვინც წლების განმავლობაში სადამის რეჟიმის მიერ საერთოდ იგნორირებულნი იყვნენ (შიიტური უმრავლესობა ქვეყნის მართვაში, პრაქტიკულად, არ მონაწილეობდა). ასე რომ, ვაშინგტონში უსაფუძვლოდ არ მიაჩნიათ საფრთხის არსებობა, შიიტებმა თავიანთი უწინდელი ბოღმა ყოფილ "ბაასისტ" სუნიტებზე იყარონ. ეს პროცესი კი, უდავოდ, სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის პერმანენტული ამბოხებების წინააღმდეგ ამერიკა-ერაყის ერთობლივ ბრძოლას.

"აუცილებელია, ახალი ხელისუფლება სიფრთხილით მოეკიდოს სამინისტროებში მომუშავე ადამიანების კომპეტენციას, რათა თავიდან აიცილოს არასასურველი რყევები", - ჯერ კიდევ თვითმფრინავში განუცხადა რამსფელდმა ჟურნალისტებს. ნათელია, რამსფელდის ვიზიტის მთავარი მიზანიც ეს იყო – ახალი მოკავშირისთვის "გონივრული მართვის" გაკვეთილის ჩატარება. ასე რომ, ერაყში ამერიკული ექსპერიმენტი გრძელდება და მის წარმატებაზე დიდადაა დამოკიდებული მთლიანად ახლო აღმოსავლეთის "დემოკრატიზაციის" საკითხი.

## ორი სიტყვით

**პოლონეთი.** პოლონეთი საკუთარ შეიარაღებულ ძალებს ერაყიდან 2005 წლის ბოლოსთვის გაიყვანს. აღნიშნული ინფორმაცია მასმედიის საშუალებებს ქვეყნის თავდაცვის მინისტრმა ეჟი შმაიძინსკიმ მიაწოდა. ეს გადაწყვეტილება პოლონეთის მთავრობამ 12 აპრილს გამართულ სხდომაზე მიიღო.

ამგვარად, პოლონეთი გაერო-ს უშიშროების საბჭოში თავისი მანდატის გაგრძელებას აღარ მოითხოვს. ცნობისათვის, ამჟამად ერაყში, დაახლოებით, 1700 პოლონელი სამხედრო მოსამსახურეა დისლოცირებული. **24 საათი**

■ ■ ■

**ერაყი.** ერაყში ორთვენახევრის წინ გატაცებული ეგვიპტელი მძევალი გაათავისუფლეს.

როგორც ეგვიპტის საინფორმაციო სააგენტო "მენა" იუწყება, 31 წლის მოჰამად აჰმედ ჯუმაა 29 იანვარს ბაღდადის ას-სეიდიას რაიონიდან გაიტაცეს. იგი ერაყში სოფლის მეურნეობის და ექსპორტის განვითარების ეგვიპტური კომპანიის კომერციულ დირექტორად მუშაობდა.

დაბრუნებული მძევლის ჯუმაას განცხადებით, გამტაცებლები მას კარგად ეპყრობოდნენ. მან მადლობა გადაუხადა ბაღდადში ეგვიპტის დიპლომატიურ მისიასაც, რომლის ძალისხმევითაც შესაძლებელი გახდა მისი გათავისუფლება. არც საინფორმაციო სააგენტოები და არც ხელისუფლების წარმომადგენლები გამტაცებლებთან მოლაპარაკების დეტალებზე არაფერს იუწყებიან. **24 საათი**

■ ■ ■

**უკრაინა.** ექსპრეზიდენტ ლეონიდ კუჩმას ფონდი "უკრაინა", ძირითადად, ოფშორული ზონებიდან შემოსული სახსრებით ფინანსდებოდა. უკრაინის შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, კუჩმას ფონდმა 10,67 მილიონი დოლარი მოაგროვა, საიდანაც, თითქმის, 8 მილიონი დოლარი ოფშორული ზონებიდან გადარიცხა. ამის შესახებ უკრაინული "მე-5 არხი" იუწყება. შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ გენადი მოსკალმა ოფშორული ზონებიდან ფონდის დაფინანსებას "არანორმალური მოვლენა" უწოდა.

სამართალდამცველებს ეჭვი აქვთ, რომ ფონდ "უკრაინაში" შემოსული ფული, შესაძლოა, არაკანონიერი წარმოშობის იყოს, ან უკანონოდ იყოს გადარიცხული; კერძოდ, შინაგან საქმეთა სამინისტროს სურს, ახსნა-განმარტება მიიღოს საფეხბურთო კლუბ კიევის "დინამოს" პრეზიდენტ იგორ სურკისისგან, თუ რატომ გადარიცხა მან კუჩმას ფონდში 1,1 მილიონი დოლარი. ფონდი "უკრაინა" შინაგან საქმეთა სამინისტროს ეჭვებზე კომენტარს არ აკეთებს. თავად ექსპრეზიდენტი კუჩმა კი შემოწმებას მასზე მორალურ ზეწოლად აფასებს. **ინტერპრესი**

# ჩრდილოეთი კორეა თავდაცვის ხარჯებს ზრდის

ჩრდილოეთ კორეამ, რომელმაც ორი თვის წინ თავი ბირთვულ სახელმწიფოდ გამოაცხადა, ექვსმხრივ მოლაპარაკებებზე დათანხმების პარალელურად, თავდაცვის ხარჯებიც გაზარდა. ქვეყნის უმაღლეს სახალხო შეკრებაზე (პარლამენტში) დეპუტატებმა დაამტკიცეს სახელმწიფო ბიუჯეტი, სადაც თანხის 15.9 პროცენტი სამხედრო ხარჯებისთვისაა გათვალისწინებული. ახალ ბიუჯეტში თავდაცვისთვის გამოყოფილი სახსრები შარშანდელს 0.3 პროცენტით აღემატება.

საერთო ჯამში კი, ბიუჯეტი გაზრდილია 11.4 პროცენტით სოფლის მეურნეობის, მეცნიერების განვითარების, განათლებისა და ჯანდაცვის სისტემების გაუმჯობესების გათვალისწინებით.

მიუხედავად იმისა, რომ დეპუტატების წინაშე სიტყვით არ გამოსულა ჩრდილოეთ კორეის ლიდერი კიმ ჩენ ირი, თავად იღებდა მონაწილეობას ერთდღიანი სესიის მუშაობაში. 2005 წლის ამოცანებზე მოხსენებით პრემიერ-მინისტრი პაკ პონ ჩჟუ გამოვიდა. მან სამოქალაქო საზოგადოებასა და შეიარაღებულ ძალებს მოუწოდა, მთელი ძალისხმევა თავდაცვის განვითარებისკენ მიემართათ - კერძოდ, სამხედრო ძლიერებისთვის მყარი ეკონომიკური გარანტიების შექმნისაკენ. მისი თქმით, ქვეყნის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი გარდატეხის შეტანის დრო მოახლოვდა.

ჩრდილოეთ კორეის პარლამენტის სპიკერის თქმით, პარტიის მიერ ეკონომიკური აღმშენებლობის კურსის რეალიზებისთვის დეპუტატების მიერ განხილულ საკითხებს მართლაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

უმაღლესი სახალხო შეკრების (პარლამენტის) 11-ე მოწვევის (არჩეულია 2003 წლის აგვისტოში) მესამე სესიას 687 დეპუტატიდან 633 ესწრებოდა. მართალია, სესია გაცილებით ადრე, მიმდინარე წლის 9 მარტს უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ ოფიციალურად გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, იგი სწორედ დეპუტატთა მოთხოვნით გადაიდო. დამკვირვებლები ვარაუდობდნენ, რომ ამდენი ხნით გადავადება ქვეყნისთვის საბედისწერო გადაწყვეტილებების მიღებისთვის ხელისუფლებას სჭირდებოდა. თუმცა, როგორც სესიის დასრულების შემდეგ ექსპერტებმა განაცხადეს, მათი მოლოდინი, ჯერჯერობით, არ გამართლდა.

# მონაკო ევროპის უხუცეს მონარქს ემშვიდობება

*"დღეს ყველა ჩვენგანი დაობლდა. ბოლო 56 წლის მანძილზე მისი უმაღლესობა ჩვენი სახელმწიფოს ერთიანობას ადუღაბდებდა. მოდით, პატივი მივაგოთ მის ნამოღვაწარს, რომელმაც ესოდენ მაღალი შეფასება ჰპოვა მსოფლიოში და ჩვენს ხალხს კეთილდღეობა მოუტანა. ამ ხნის მანძილზე მონაკოს სუვერენულმა სამთავრომ მტკიცედ მოიკიდა ფეხი მსოფლიოს პოლიტკურ რუკაზე და ეს ყველაფერი მისი დამსახურებაა", - ასე მიმართა სამთავროს მოსახლეობას მონაკოს სახელმწიფო მინისტრმა პატრიკ ლეკლერმა.*



*მონაკოს სამთავროში სახელმწიფო დროშებია დაშვებული. მონარქია "რენიე აღმაშენებლის" გარდაცვალებას გლოვობს.*

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, გასულ კვირას გარდაიცვალა მონაკოს მთავარი, უხუცესი ევროპელი მონარქი, რენიე მესამე, გრიმალდების დინასტიიდან. გრიმალდი 6 აპრილს, დილით 81 წლის ასაკში გარდაიცვალა. 7 მარტს ის მონაკოს კარდიო-პულმონარულ ცენტრში მოათავსეს, მწვავე ბრონქიალური ინფექციის გამო. მდგომარეობის მკვეთრი გაუარესებისა და ორგანიზმის ძირითადი ფუნქციების დაქვეითების შედეგად ის რეანიმაციაში გადაიყვანეს, სადაც სიცოცხლის უკანასკნელი დღეები გაატარა. მონაკოს მონარქს რამდენიმე ინფარქტი ჰქონდა გადატანილი, რის გამოც, მას აორტო-კორონარული შუნტირების ოპერაციაც კი ჩაუტარეს. კარდიოლოგიური ხასიათის გართულებებმა თანდათანობით ბრონქიალური სისტემის დარღვევა გამოიწვია და რენიე მესამემ ფილტვებზეც რამდენიმე ოპერაცია გადაიტანა. მონაკოს გვირგვინის საბჭომ დაადასტურა რა "მთავარი რენიე მესამეს მიერ უმაღლესი ვალდებულებების შესრულების უუნარობა", ჯერ კიდევ რამდენიმე დღის წინ მონაკოს რეგენტად მისი ვაჟიშვილი, 47 წლის მემკვიდრე, პრინცი ალბერი დანიშნა.

მონაკოს მონარქი, მთავარი რენიე მესამე უამრავი ტიტულით იყო ცნობილი, მათ შორის - ვალანტინის ჰერცოგის, კარლადსკის გრაფის და ბარონ დე ბიუნის. რენიე 1923 წლის 31 მაისს დაიბადა და მშობლებმა მას ლუი-ანრი-მაქსენს-ბერტრან გრიმალდი დაარქვეს. მისი მშობლები იყვნენ პრინცესა შარლოტა მონაკოელი და პრინცი პიერ დე პოლინიაკი, რომელსაც რენიეს დაბადებამდე რამდენიმე წლით ადრე ოფიციალურად მიანიჭეს გრიმალდის ტიტული. ჯუჯა სახელმწიფოს მომავალმა მმართველმა რენიე მესამემ განათლება მიიღო დიდ ბრიტანეთში, შვეიცარიასა და საფრანგეთში. მან პრესტიჟული "სიანს-პო" დაასრულა – პარიზში არსებული პოლიტიკური მეცნიერებების უმაღლესი სკოლა. 1944 წლის სექტემბერში მთავარი რენიე საფრანგეთის არმიაში ოფიცრის რანგში მსახურობდა და ელზასში ნაცისტური გერმანიის წინააღმდეგ საომარ კამპანიაში იღებდა მონაწილეობას. მონაკოს მონარქის ტახტზე რენიე მას შემდეგ ავიდა, როდესაც 1949 წლის 9 მაისს გარდაიცვალა მისი პაპა, მთავარი ლუი მეორე. მთავრის ტიტულის ფორმალური მემკვიდრე რენიეს დედა პრინცესა შარლოტა იყო, მაგრამ მან შვილის სასარგებლოდ ტახტზე უარი განაცხადა.

რენიე მესამემ ცოლად ჰოლივუდის ვარსკვლავი - გრეის კელი შეირთო. ცოლ-ქმარს სამი შვილი შეეძინა: პრინცესა კაროლინა (1957 წელს), მემკვიდრე პრინცი ალბერი (1958 წელს) და პრინცესა სტეფანია (1965 წლს). 1982 წელს გრეის კელი ტრაგიკულად დაიღუპა ავტოკატასტროფაში, ხოლო პრინცესა სტეფანიამ, რომელიც მასთან ერთად იმყოფებოდა ავტომანქანაში, სხეულის მძიმე დაზიანება მიიღო. მაშინდელ ბულვარულ პრესას თუ ვენდობით, სწორედ სტეფანია იჯდა ავტომობილის საჭესთან და კატასტროფაში ბრალი სწორედ მას მიუძღვის. თუმცა, ოფიციალურად ეს ვერსია არ დადასტურებულა. ამჟამად კაროლინა და სტეფანია, რომელთა ბობოქარი ცხოვრებაც ფოტოგრაფი-პაპარაცების მუდმივი ყურადღების საგანს წარმოადგენდა, ქორწინებაში იმყოფებიან, თანაც სტეფანია – უკვე მეოთხედ. ქალიშვილებმა რენიე მესამეს შვიდი შვილიშვილი აჩუქეს.

რენიე მესამემდე მონაკოს, ანუ ჯუჯა სამთავრო-სახელმწიფოს, შემოსავლების ძირითადი წყარო მსოფლიოში საყოველთაოდ ცნობილი მონტე-კარლოს (მონაკოს ნაწილი) კაზინო იყო. იმასაც ამბობდნენ, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს ამ კაზინოს ნაცისტური გერმანიის ხელისუფლება ფულის გასათეთრებლად იყენებდა, რომელიც ოკუპირებულ ტერიტორიებზე ნაძარცვით ჰქონდა დაგროვებული, ხოლო მონაკოს ხელისუფლება ამ ოპერაციებიდან თავის პროცენტს იღებდა. 1966 წელს რენიე მესამემ ბერძენი მულტიმილიონერი არისტოტელე ონასისისგან "საზღვაო სანაოსნოს საზოგადოების" აქციების საკონტროლო პაკეტი გამოისყიდა, რომელიც (აღნიშნული საზოგადოება) კაზინოს ოფიციალურ მფლობელად ითვლებოდა და მთავარი აქციონერი გახდა. შესაბამისად, მონაკოს მონარქმა ამგვარად გააძლიერა სათამაშო ბიზნესზე კონტროლი. ყველაფერ სიკეთესთან ერთად მონაკო მრავალი წლის მანძილზე სარგებლობდა "საგადასახადო სამოთხის" რეპუტაციით. სულ ახლახან საერთაშორისო საფინანსო ოპერაციების ჯგუფმა მონაკო იმ ქვეყნების "შავი სიიდან" ამოიღო, რომლებიც სათანადოდ არ თანამშრომლობენ საეჭვო გზით მიღებული ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. კაზინოს გარდა, მონაკოს მთავარმა დიდი ყურადღება დაუთმო სატრანსპორტო ქსელისა და საცხოვრებელი მშენებლობის განვითარებას. "კლდეზე", როგორც ზოგჯერ მონაკოს უწოდებენ, თანამედროვე მრავალსართულიანი შენობები აღიმართა, სადაც ყოველი კვადრატული მეტრი უზარმაზარი ფული ღირს, აშენდა ახალი სადგური, ჩატარდა პორტის სარეკონსტრუქციო დიდი სამუშაოები. ყოველივე ამან რენიე მესამეს "მშენებელი-თავადის" მეტსახელი მოუტანა. ჯუჯა სამთავროს ფართობი სულ 200 ჰექტარს შეადგენს; დღეისათვის მისი მოსახლეობა 32 ათასს უდრის; აქედან მხოლოდ 7676 საკუთრივ მონეგასკია, ანუ მონაკოს ქვეშევრდომი. 1993 წელს მონაკო გაერო-ში მიიღეს, ხოლო 2004 წელს – ევროსაბჭოში. ეს უკანასკნელი საერთაშორისო აქცია მეტწილად მემკვიდრე პრინცი ალბერის დამსახურება იყო, ვიდრე რენიე მესამესი, რომელსაც უკანასკნელ წლებში ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სერიოზული პრობლემები ჰქონდა და ამიტომ, სამთავროს მართვის ფუნქციების ნაწილი თავის ვაჟიშვილს გადასცა. 1990-იან წლებში რენიემ აორტო-კორონარული შუნტირების ოპერაცია გადაიტანა; მას ფილტვების ნაწილიც ამოაჭრეს. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე, სასუნთქი გზების დაავადების გამო, მონაკოს მონარქი ბევრჯერ იწვა საავადმყოფოში და გაცილებით იშვიათად ჩნდებოდა საზოგადოებაში.

1958 წელს ზარბაზნების 101 ზალპმა მონაკოს ალბერის დაბადება ამცნო. გრიმალდების დინასტიამ მისი დაბადების დღეს შვებით ამოისუნთქა, რადგან 1815 წლის შეთანხმებით, მემკვიდრის არარსებობის შემთხვევაში, მონაკოს სახელმწიფო დამოუკიდებლობას კარგავს და საფრანგეთის შემადგენლობაში შედის.

მემკვიდრე პრინცმა უმაღლესი განათლება აშშ-ში მიიღო პოლიტიკურ და ეკონომიკურ მეცნიერებებში. ის გატაცებულია ხელოვნებით, ფილოსოფიითა და ფსიქოლოგიით. სამხედრო სამსახური გავლილი აქვს საფრანგეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტში. პრინცი ალბერი ჩინებული სპორტსმენია; მინიჭებული აქვს შავი ქამარი ძიუდოში; წარსულში, ქვეყნის ბობსლეის ნაკრების სახელით, ოლიმპიურ თამაშებზე გამოდიოდა; მონაწილეობას იღებდა "პარიზ-დაკარის" რალიშიც. პრინცი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მსუბუქი ათლეტიკის კომისიის წევრია. ამჟამად ალბერი, რომელსაც რეგენტის ფუნქციები დაეკისრა, 47 წლის ასაკში მარტოხელაა და ევროპაში ერთ-ერთ ყველაზე სასურველ საქმროდ ითვლება.

თავის დროზე რენიე მესამესა და გრეის კელის სიყვარულის ისტორიამ მთელი ევროპის ყურადღება მიიპყრო. ცნობილი ამერიკელი მსახიობი ქალი, "ოსკარის" ლაურეატი გრეის კელი მონაკოში პირველად 1955 წლის გაზაფხულზე მოხვდა: 25 წლის ვარსკვლავი კანის კინოფესტივალზე აშშ-ს დელეგაციას ხელმძღვანელობდა. ჟურნალ "პარი მატჩის" რედაქტორმა, რომელმაც უკვე წინასწარ იცოდა, როგორი თავბრუდამხვევი გარეკანი ექნებოდა მის ჟურნალს, გრეის კელისთან ვიზიტი საფრანგეთის მეზობელ მონაკოში დაგეგმა. შეხვედრისას მასპინძელი და სტუმრები ხელის ჩამორთმევით მიესალმნენ ერთმანეთს. კადრები, რომლებზეც ეს მოვლენა აღიბეჭდა და მთელს მსოფლიოს მოედო, 50 წლის შემდეგაც ვერ გადმოსცემს იმ გრძნობას, რაც მსახიობ ქალსა და მონაკოს მთავარს შორის წარმოიშვა. რენიე მესამე ორი საათის განმავლობაში ათვალიერებინებდა სახელგანთქმულ სტუმარს ულამაზეს პარკს და მის ვილაში არსებულ სამხეცეს. სამშობლოში დაბრუნებულმა გრეისმა მონაკოში თავაზიანი წერილი გაგზავნა, რომელშიც რენიე მესამეს მადლობა გადაუხადა მისთვის დათმობილი დროისათვის. გრეის კელი, ალბათ, არც ელოდა, რომ მონაკოს მთავარისგან მალევე საპასუხო წერილს მიიღებდა: მისთვის ცნობილი იყო მონარქის ცხოვრების დატვირთული გრაფიკი. თუმცა, რენიემ მას ვრცელი, იუმორის ფაქიზი გრძნობით გაჯერებული წერილი გაუგზავნა, სადაც დიპლომატიური მიღების მოსაწყენ რიტუალს აღწერდა და მის ბაღში ვარდების ახალი ჯიშის აყვავების შესახებ სიტყვების საუცხოო თამაშით ჰყვებოდა.

მათი "საფოსტო რომანი" ნახევარ წელს გრძელდებოდა. 1955 წლის 25 დეკემბერს, როგორც ზღაპრული პრინცი ბედნიერი საშობაო ზღაპრიდან, რენიე მესამე კელის ოჯახის საზეიმო ვახშამზე ფილადელფიაში ჩაფრინდა. გრეისის მამა, ოჯახის უფროსი ჯეკი ქალაქის ცნობილი სახე გახლდათ – გარდა იმისა, რომ უბრალო ქვისმთლელიდან ის მილიონერად და მსხვილი ფერმის მფლობელად იქცა, ჯეკ კელიმ 1920 წელს ოლიმპიური ოქროს მედალიც მოიგო ნიჩბოსნობაში. მონაკოს მონარქის მდიდრულ, თუმცა არაარისტოკრატულ სახლში გამოჩენასა და ქალიშვილის ხელის თხოვნას არ შეიძლებოდა არ აელელვებინა გრეისის მშობლები. ისინი მკაცრი წესების მიმდევრები იყვნენ და ქალიშვილის (უკვე ცნობილი კინომსახიობის) რამდენიმე არასაკადრისი (მშობლების აზრით) საქმრო რამდენჯერმე უარით ჰყავდათ გასტუმრებული. ამჯერად საქმრო მათ მოთხოვნებს შეესაბამებოდა (რატომაც არა?!). ისედაც ჩანდა, რომ ახალგაზრდა წყვილს ერთმანეთი ნამდვილად უყვარდა. 1956 წლის აპრილის დასაწყისში გრეის პატრიცია კელი, უკვე მონაკოს მთავრის ოფიციალური საცოლე, ლაინერ "კონსტიტუციის" ბორტზე ავიდა. მონაკოს მომავალი პრინცესა ლაჟვარდოვანი ზღვის ნავსადგურში რენიეს იახტაზე გადაჯდა და ჯერ მიწაზე ფეხიც არ ჰქონდა დადგმული, რომ თეთრი და წითელი მიხაკების "წვიმის ქვეშ მოხვდა". მიხაკები იახტაზე ციბრუტივით მბრუნავი თვითმფრინავიდან იყრებოდა, რომელიც არისტოტელე ონასისის დავალებით დაიქირავეს. მულტიმილიარდერი ონასისი მონაკოს კაზინოების ერთ-ერთი მთავარი სტუმარი იყო, რომელიც მთავარ რენიესთან მეგობრობის პრეტენდენტი და მონაკოს სამთავროს აქციების, პრაქტიკულად, საკონტროლო პაკეტის მფლობელი გახლდათ. "დიდ ბერძენს" ლამაზი სიურპრიზების კეთება ნამდვილად შეეძლო: რენიესა და გრეისის ქორწილზე მან ახალშეუღლებულებს ულამაზესი "როლს-როისის" მთლად ახალი მოდელი, 1956 წლის გამოშვების კაბრიოლეტი "ვერცხლის ღრუბელი" აჩუქა. ონასისმა კარგად იცოდა, რომ მონაკოს მონარქი ავტომობილებში გათვითცნობიერებული ადამიანი იყო. ახლად დაქორწინებულები ამ "ღრუბელში" თვალწარმტაცად გამოიყურებოდნენ.

ჯერჯერობით უცნობია, ვინ გახდება მონაკოს ტახტის მემკვიდრე. თითქოს ყველაფერი ცხადია: მემკვიდრე პრინცის სახელი ცნობილია – მთავარის ვაჟი ალბერი. თუმცა, არც ისე იოლადაა საქმე. ალბერის "გამეფების" ერთ-ერთი პირობა ხომ დაქორწინებაა. არადა, პრინცი მატრიმონიულ უღელზე მეტად თავისუფლებას ანიჭებს უპირატესობას, რამაც მრავალი ჭორი დაბადა მისი არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის შესახებ. ინტერნეტის ერთ-ერთ ვებ-გვერდზე კატეგორიული სტატიაც კი გამოჩნდა, სათაურით "პრინცი – წყალწაღებული გეი", სადაც ნათქვამი იყო, რომ ჭორები პრინცის დონჟუანობის შესახებ მისი ჰომოსექსუალობის შესანიღბი პიარ-აქციაა. ალბერი ამ შეხედულებას კატეგორიულად უარყოფს. "მე ლამაზი ქალები მომწონს", - ამტკიცებს პრინცი. მას მიაწერენ რომანტიულ კავშირს უამრავ ცნობილ ლამაზმანთან – დაწყებული კლაუდია შიფერით, შერონ სთოუნით დამთავრებული.

გამართულმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ, საქმისადმი ერთგულებამ და ბოლოს, ჰოლივუდის ვარსკვლავ გრეის კელისთან რომანტიულმა ქორწინებამ რენიე მესამეს ქვეშევრდომთა გულები დაიპყრობინა. თუმცა, ბოლო ხანებში მონარქის ოჯახი თითქოს ავბედითობამ მოიცვა. ობივატელებმა ახლახან ფლამანდიელი ჯადოქრის ლეგენდაც კი გაიხსენეს, რომელმაც ჯერ კიდევ XIII საუკუნეში დაწყევლა გრიმალდების მთელი შთამომავლობა. მონაკოს ხალხის საყვარელი გრეის კელი 1982 წელს ავტოკატასტროფაში დაიღუპა; პრინცესა კაროლინა განქორწინდა, შემდეგ კვლავ გათხოვდა და დაქვრივდა, უმცროსი სტეფანია სამგზის განქორწინებულია, რის გამოც, ხუცესი რენიე ილუზიით აღარ იკვებებოდა, რომ სტეფანია სახელმწიფოს საკეთილდღეოდ სამსახურს შეძლებდა. რაც შეეხება ალბერს, ის უფრო სპორტით იყო გატაცებული, ვიდრე პოლიტიკით. შესაძლოა, სწორედ ამიტომ 47 წლის ასაკში ჯერაც არ არის დაქორწინებული და, შესაბამისად, არც მემკვიდრე შესძენია. მონტე-კარლოს კაზინოებმა, სახელგანთქმულმა ოპერის თეატრმა და დაბალმა გადასახადებმა მონაკოს სამთავრო ტურისტულ სამოთხედ და მილიონერების საყვარელ დასასვენებელ ადგილად აქცია. თუმცა, რენიეს გარდაცვალების შემდეგ სამთავროს მომავალი კვლავ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. დიდი მთავრის დაკრძალვის ცერემონია პარასკევს გაიმართება. ორშაბათს ცნობილი გახდა, რომ რენიემ პრინც ალბერსა და პრინცესა კაროლინას, თითოს, 1,8 მილიარდი დოლარი დაუტოვა. მათი უმცროსი და პრინცესა სტეფანი მონარქის ქონების 1 პროცენტს მიიღებს - ანუ 32 მილიონ დოლარს.

*მოამზადა*
*კოტე ელიზბარაშვილმა*

## მოკლედ

### "თბილსრესის" ენერგობლოკების მუშაობის აუცილებლობა ეჭვქვეშ დადგა

საქართველოს ჰიდროელექტროსადგურებში წყლის შემოდინებამ ენერგობლოკების მუშაობის აუცილებლობა ეჭვქვეშ დააყენა. ავარიულად გამორთული, "თბილსრესის" მე-9 ენერგობლოკი შეიძლება შემოდგომა-ზამთრის სეზონამდე აღარ ჩაირთოს. აღარ იგეგმება მე-3 ენერგობლოკის სისტემაში გაშვებაც. ენერგეტიკოსები ფიქრობენ, ენერგობლოკების მიერ გამომუშავებული ძვირი ელექტროენერგია, ჰიდროელექტროსადგურების - იაფი დენით ჩაანაცვლონ. როგორც "ინტერ-პრესს" "სახელმწიფო ელექტროსისტემაში" განუცხადეს, მე-3 ენერგობლოკზე არსებული ხარვეზი გამოსწორებულია და ბლოკი მუშა მდგომარეობაში იმყოფება. თუმცა, ჰიდროელექტროსადგურებში არსებული რესურსის პირობებში, მისი ჩართვა აღარ იგეგმება. რაც შეეხება მე-9 ენერგობლოკს, კომპანია "თელასში" აცხადებენ, რომ რუსი ინვესტორი მზად არის, ენერგობლოკი საბითუმო ბაზრის მოთხოვნის შესაბამისად ამუშაოს. ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარში კი განმარტავენ, რომ მე-9 ენერგობლოკის სისტემაში გაშვება პარასკევს იგეგმება. "თუ არჩევანის წინაშე აღმოვჩნდით, უმჯობესი იქნება, ბლოკმა იმუშაოს და სომხეთიდან ელექტროენერგიის იმპორტი შეწყდეს, რადგან იმპორტის დროს ფულადი ნაკადი ქვეყნიდან გაედინება," - განმარტავენ ბაზრის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში. მე-3 ენერგობლოკი დღეს საღამოს უნდა ჩართულიყო, მე-9 ენერგობლოკის სისტემაში გაშვება კი 14 აპრილისათვის იგეგმებოდა. **ინტერ-პრესი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა გუშინ რუსული კომპანია "სელდის" წარმომადგენლები მიიღო. საუბარი, სავარაუდოდ, რუსთავის ქიმიური კომბინატის "აზოტის" ინვესტირებას შეეხო. შეხვედრას რუსული კომპანიის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე სიმონ პეზდნერი, ამავე კომპანიის გენერალური დირექტორი სერგეი მელნიკოვი და საქართველოში "სულეტის" წარმომადგენელი არჩილ ქავთარაძე ესწრებოდნენ. შეხვედრის დასრულების შემდეგ, კომპანიის წარმომადგენლებმა კონკრეტიკისაგან თავი შეიკავეს და განაცხადეს, რომ ეს მხოლოდ გაცნობითი შეხვედრა იყო. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაციაში ეკონომიკური რეფორმების საკითხში სახელმწიფო მინისტრის კახა ბენდუქიძის თანაშემწემ ქეთევან ქოქრაშვილმა ბიზნესმენებს მთავრობის მიერ შემუშავებული კონცეფცია წარუდგინა. ქეთევან ქოქრაშვილის თქმით, კონცეფცია, რომელიც ლიცენზირებისა და ნებართვების რეფორმას ითვალისწინებს, მხოლოდ მონახაზია იმ სამუშაოებისა, რომელიც ამ სფეროში უნდა განხორციელდეს. სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებით, სახელმწიფო მინისტრის ბრძანებით იქმნება მუშა ჯგუფი, რომელიც 13 აპრილს მინისტრთან პირველად შეიკრიბება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** აშშ-ს ევრაზიის რეგიონის ქვეყნების დეპარტამენტის თავმჯდომარე სტივენ მანი საქართველოს მაგისტრალური გაზსადენის რუსეთზე მიყიდვის პერსპექტივით შეშფოთებულია. სტივენ მანი და აშშ-ს ელჩი საქართველოში რიჩარდ მაილსი 12 აპრილს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს გივი თარგამაძეს დახურულ კარს მიღმა შეხვდნენ. "ამერიკული მხარე გვაძლევს რეკომენდაციას, არ გადავდგათ ისეთი ნაბიჯები, რომელმაც შესაძლოა, მომავალში საფრთხე შეუქმნას ქვეყნის ენერგეტიკულ უსაფრთხოებას. ვფიქრობ. ეს რეკომენდაცია გასაგები და მისაღებია," - განაცხადა თარგამაძემ შეხვედრის დასრულების შემდეგ. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ცნობილი რუსული კომპანია "ვიდეო ინტერნეიშენალი" ქართულ სატელევიზიო ბაზარზე რეკლამის პროფესიონალურად გაყიდვას გეგმავს. ამის შესახებ დღეს გამართულ არაოფიციალურ შეხვედრაზე კომპანიის გენერალურმა დირექტორმა ნიკოლაი სოსნოვსკიმ განაცხადა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ბიზნესისა და დასაქმების ხელშეწყობის პროგრამის შემუშავებაში საზოგადოების ფართო ფენების ჩართვის მიზნით, დღეს თბილისის მერიაში შეხვედრა გაიმართა. შეხვედრაში არასამთავრობოები და საქართველოში მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. შეხვედრას ესწრებოდნენ თბილისის მერი ზურაბ ჭიაბერაშვილი, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე ზაზა ბეგაშვილი, სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდისა და საქართველოში მოქმედი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების წარმომადგენლები. **ინტერ-პრესი**

# 21 წლის ინტერვალით საქართველოში სასოფლო-სამეურნეო აღწერა ტარდება

*იმის დასტურად, რომ აგრარულ სექტორს საქართველოს ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, ეს მცირედი სტატისტიკაც მეტყველებს - სოფლის მეურნეობის ხვედრითი წილი ქვეყნის შიდა პროდუქტში 20 პროცენტამდე აღწევს და დასაქმებულია მთლიანად მოსახლეობის ნახევარზე მეტი. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ ამ სექტორში მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია. მისი აღწერა კი უკანასკნელად 1984 წელს ჩატარდა, ისიც, მხოლოდ ერთი სფეროსთვის - მრავალწლიანი ნარგავებისათვის.*

ნინო ნარჩემაშვილი

დარგში ამჟამად შექმნილი ვითარება კი ასე შეიძლება დახასიათდეს: არ არსებობს საქართველოს სოფლის მეურნეობის სტრუქტურების შესახებ საორიენტირო მონაცემები, რომლებიც, როგორც წესი, დარგის სტრატეგიის და პოლიტიკის შემუშავების საფუძველს წარმოადგენს. არ არსებობს სასოფლო-სამეურნეო სექტორში დასაქმებული სუბიექტების სარწმუნო და თანადროული რეგისტრი. აშკარაა, რომ საქართველოში სასოფლო-სამეურნეო აღწერა აუცილებლობა გახლავთ. საქართველო შეუერთდა გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მიერ რეკომენდებულ, 1996-2005 წლების მსოფლიო სასოფლო-სამეურნეო აღწერის პროგრამას და ქვეყნის მთავრობის გადაწყვეტილებით, სტატისტიკის დეპარტამენტი სექტორის კვლევას აწარმოებს, რომლის პირველი ეტაპიც უკვე დასრულდა. 14-23 აპრილს კი მეორე ეტაპი განხორციელდება და შესაძლებელი გახდება საბოლოო შედეგების დათვლა, სასოფლო მეურნეობათა სრულფასოვანი რეგისტრი. აღწერის მეორე ეტაპი საქართველოს 49 ქალაქსა და 43 დაბაში ჩატარდება, მესამე ეტაპის სავარაუდო ვადა კი 2005 წლის ივნისია. კვლევა FAO-ს დაფინანსებით მიმდინარეობს.

გუშინ, ამ საკითხთან დაკავშირებით სტატისტიკის დეპარტამენტში გამართულ პრესკონფერენციაზე, დეპარტამენტის თავმჯდომარემ თეიმურაზ ბერიძემ განაცხადა, რომ **"შეუსწავლელია სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სტრუქტურა. მიწის საკუთრებაში მიღების შემდეგ, ხშირ შემთხვევაში, მიწათმოსარგებლეებმა გაჩეხეს მრავალწლიანი ნარგავები, გადახნეს საძოვრები, სათიბები და ერთწლიანი კულტურის წარმოება დაიწყეს. შესასწავლია პირუტყვისა და მრავალწლიანი ნარგავების ასაკობრივი და ჯიშობრივი სტრუქტურა, შრომითი რესურსები, სოფლის ინფრასტრუქტურა და სხვა."** მისივე თქმით, სასოფლო-სამეურნეო აღწერის პირველი ეტაპი 2004 წლის სექტემბერ-ოქტომბერში ჩატარდა და სოფლად დასახლებული მოსახლეობა გამოიკითხა. ამჯერად, დაგეგმილია საქართველოს რაიონული ცენტრებისა და დაბების მოსახლეობის გამოკითხვა, რომელთა 60 პროცენტი სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული და მთელი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის 10-15 პროცენტს იძლევა.

აღსანიშნავია, რომ სასოფლო-სამეურნეო აღწერას არა აქვს მხოლოდ ერთჯერადი მნიშვნელობა - კვლევის შედეგად შექმნილი რეგისტრი სოფლის მეურნეობის რეგულარული კვლევების გამართული და მეცნიერულად დასაბუთებული სისტემის შექმნის საშუალებას იძლევა, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს დარგის პოლიტიკის შემუშავებასა და მისი განვითარების მონიტორინგისათვის.

# იტალიელი მეწარმეები საქართველოთი ინტერესდებიან

*ივნისის დასაწყისში თბილისში იტალიელ მეწარმეთა ათკაციან დელეგაციას ელოდებიან. როგორც გუშინ საქართველოში იტალიის ელჩმა ფაბრიციო რომანომ ჟურნალისტებს განუცხადა, იტალიური ბიზნეს-კომპანიები ჩვენს ქვეყანაში განსაკუთრებით მსუბუქი მრეწველობით დაინტერესდნენ.*

ეთერ მამულაშვილი

საქართველოში ჩამოსვლისა და ამ ქვეყანაში ბიზნესის კეთების სურვილი იტალიელ საქმოსნებს განსაკუთრებით მაშინ გაუჩნდათ, როცა "იტალია-საქართველოს ეკონომიკური თანამშრომლობის პროექტი" ანუ იგივე IGEPP აქტიურ ფაზაში შევიდა. როგორც ამ პროექტის იტალიელი კოორდინატორი დოქტორი ფრანჩესკო მაკიარელა ამბობს, საქართველოთი მიმდინარე წლის დასაწყისში ძალიან ბევრი იტალიელი მეწარმე სწორედ ხსენებული პროექტის დამსახურებით დაინტერესდა, თუმცა ამას წინ უძღოდა შარშან, წლის მიწურულს, თბილისში ორდღიანი ქართულ-იტალიური ბიზნეს-ფორუმი.

ათკაციანი იტალიური დელეგაცია, რომელიც საქართველოში, როგორც მოგახსენეთ, უახლოეს ორ თვეში უნდა ჩამოვიდეს, ძირითადად, წარმოდგენილი იქნება მსუბუქი მრეწველობის, ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და ტექსტილის მწარმოებლებით. თუმცა, როგორც ფრანჩესკო მაკიარელამ გვითხრა, ამავე დელეგაციაში ერთი ან ორი კაცი იქნება წარმოდგენილი სოფლის მეურნეობის, ელექტროტექნიკისა და საიუველირო ბიზნეს-სექტორებიდან.

IGEPP, რომელიც ორ ქვეყანას, იტალია-საქართველოს შორის სავაჭრო ურთიერთობების განვითარებას და საქართველოში იტალიური ინვესტიციების მოზიდვას ითვალისწინებს, გასული წლის ნოემბრის თვეში დაიწყო. ამ პროექტის საერთო ღირებულება 430 ათასი ევროა და მისი ხანგრძლივობა 18 თვეს მოიცავს. "იტალია-საქართველოს ეკონომიკური თანამშრომლობის პროექტის" ნახევარს იტალიის მთავრობა, უფრო ზუსტად, მრეწველობის სამინისტრო აფინანსებს. მეორე ნახევრის დაფინანსება კი საკუთარ თავზე ამ პროექტის კოორდინატორებმა, იტალიიდან - კაზერტას პროვინციის მეწარმეთა კავშირმა და საქართველოდან – ბიზნესმენთა ფედერაციამ საკუთარ თავზე აიღეს.

**"ამ პროექტის შესახებ რაც შეიძლება ბევრმა ქართველმა მეწარმემ უნდა შეიტყოს, რათა ქართულ და იტალიურ მხარეებს შორის წარმატებული კონტაქტი შედგეს,"** - აღნიშნა ფაბრიციო რომანომ გუშინ საელჩოში მოწყობილ პრესკონფერენციაზე.

პროექტის პირველი ფაზა, რაც ქართული ბაზრის, არსებული კანონმდებლობის და ქვეყნის საინვესტიციო პირობების შესწავლას ითვალისწინებდა, კოორდინატორთა შეფასებით, წარმატებით დამთავრდა და ამჟამად IGEPP აქტიურ, მეორე ფაზაში შედის. ეს კი შემდეგს გულისხმობს: საქართველოში ჩატარებული კვლევის შედეგების იტალიაში ფართოდ გავრცელების მიზნით, ამ ქვეყანაში ჩატარდება სპეციალური სემინარები და სამუშაო შეხვედრები. უახლოესი ხუთი თვის განმავლობაში ჩატარდება დაგეგმარება, ანალიზი და ქართული საწარმოების მიერ წამოწეული სამრეწველო-კომერციული წინადადებების შერჩევა. ამავე ეტაპზე ორი იტალიელი ექსპერტი, ფილიპო ტიბურტინი და ტომაზო კაპრიოლიო სასწავლო კურსს ჩაუტარებენ პროექტის პარტნიორი სამეწარმეო ასოციაციების - საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაციისა და ამერიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატის ექვს-ექვს წარმომადგენელს.

გამორიცხული არ არის, რომ იტალიელები საქართველოში მიმდინარე პრივატიზაციის პროცესითაც დაინტერესდნენ, ეს უფრო ზუსტად უახლოეს თვეებში გაირკვევა. თუმცა, ამ დროისთვის ერთი რამ უკვე ცხადია - რუსთავის მეტალურგიული კომბინატის გასხვისების პროცესში იტალიელი ინვესტორები მაქსიმალურად ჩაერთვებიან და როგორც ფრანჩესკო მაკიარელამ განაცხადა, იტალიელებს კომბინტის შეძენის თაობაზე განაცხადი ეკონომიკური განვითარების სამინისტროში უკვე შეტანილი აქვთ. ამ შემთხვევაში საპრივატიზაციო მარათონში იტალიელები მარტო ვერ იქნებიან, რადგან, როგორც ამ ცოტა ხნის წინათ გავრცელდა ინფორმაცია, რუსთავის მეტალურგიული ქარხნით ინდოელი ინვესტორებიც სერიოზულად დაიტერესებული არიან.

და კიდევ ერთი, ხსენებული პროექტის შესახებ ამომწურავი და დეტალური ინფორმაცია მსურველებს შეუძლიათ უახლოეს მომავალში მოიძიონ ვებ-გვერდზე, რომლის მისამართია – www.igepp.com

# მიკროსაფინანსო ორგანიზაციები მერიაში

### თბილისის მერი მიკროსაფინანსო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას "ფუნდამენტალურად მნიშვნელოვნად" აფასებს

*გუშინ მოქალაქეთა დასაქმების სპეციალური პროგრამის შესამუშავებლად თბილისის მერიაში ერთდღიანი კონფერენცია მოეწყო. თბილისის მერმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა ხმამაღლა განაცხადა, რომ დასაქმების ხელშეწყობა და მეწარმეობის განვითარება დედაქალაქის მთავრობის მთავარი პრიორიტეტებია. გუშინდელ შეხვედრას მიკროსაფინანსო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ, რომელთან ურთიერთობასაც დასაქმების პრობლემის გადაჭრაში ზურაბ ჭიაბერაშვილმა ფუნდამენტალურად მნიშვნელოვანი უწოდა. საქართველოში ბოლო ათწლეულის განმავლობაში განვითარებულმა სოციალურ-ეკონომიკურმა თუ პოლიტიკურმა მოვლენებმა ბევრი მოქალაქე აიძულა, გადარჩენის გზა ინდივიდუალურ მეწარმეობაში ეძებნა. ბუნებრივია, მათ უმრავლესობას საკუთარი საქმის დაწყება სესხის აღებით მოუხდა. დღესდღეობით, არაოფიციალურ ბაზარზე მევახშეებიდან სესხის აღების პრაქტიკა, რაც მაღალ პროცენტებსა და არასახარბიელო და სარისკო პირობებს გულისხმობს, წარსულს ბარდება და არაკომერციულ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით იცვლება. შეხვედრამდე რამდენიმე ხნით ადრე, მერია თავად დაუკავშირდა საქართველოს მიკროდაფინანსების სტაბილიზაციისა და განვითარების პროექტს და მათ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების პრეზენტაციაში სთხოვა დახმარება.*



**"ჩვენ არ გვაქვს ილუზია, რომ დასაქმების პრობლემა ერთ დღეში გადაიჭრება, თუმცა ამ საკითხზე მუშაობის დაწყება აუცილებელია,"** - განაცხადა თბილისის მერმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა. დასაქმების პრობლემის გადაჭრაში უმნიშვნელოვანეს ფაქტორად კი მერი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მხარდაჭერას მიიჩნევს. თუ გავითვალისწინებთ, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ინფორმაციით, 1 მიკროსესხი საშუალოდ ქმნის 1,5 სამუშაო ადგილს, დღეს კი 11 არასაბანკო მიკროსაფინანსო ორგანიზაცია 35,000-ზე მეტ აქტიურ მსესხებელს ემსახურება, ადვილი გასაგებია თბილისის მერის პოზიცია მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სექტორთან მიმართებაში.

დღეს, როდესაც საბიუჯეტო ორგანიზაციების ოპტიმიზაცია მიმდინარეობს და ბევრი ადამიანი სამსახურის გარეშე რჩება, მცირე სესხები მათთვის წარმოადგენს ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებას სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

საიდუმლო არ არის, რომ საქართველოში ჯერ კიდევ საკმაოდ ბევრია ადამიანი, რომელსაც ტრადიციულ საბანკო მომსახურებაზე, მათ შორის - კრედიტებზე, ხელი არ მიუწვდება და მათთვის არც თვალსაწიერ მომავალში მოჩანს ასეთი პერსპექტივა. ამგვარი სიტუაციაა არა მარტო საქართველოში, არამედ ბევრ განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში. იმისათვის, რომ მოსახლეობის ამ ფენებისათვის ფინანსური რესურსები ხელმისაწვდომი ყოფილიყო, საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ მიკროსაფინანსო პროგრამების განხორციელება დაიწყო, რომლის მეშვეობითაც მცირე შემოსავლის მქონე, მაგრამ ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობას შეეძლო მიკროსაფინანსო ორგანიზაციებიდან მიკრო სესხების მიღება ბიზნესის დასაწყებად ან გასავითარებლად. ეს იყო ისეთი მოცულობის სესხები (მაგ. 50-100 დოლარი), რომლებსაც ბოლო დრომდე, არც ერთი კომერციული ბანკი არ გასცემდა.

საქართველოში მიკროსაფინანსო ორგანიზაციები 1997 წლიდან ფუნქციონირებენ. სადღეისოდ საქართველოში მოქმედი 11 არასაბანკო მიკროსაფინანსო ორგანიზაცია 35,000-ზე მეტ აქტიურ მსესხებელს ემსახურება. კერძოდ, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ თბილისში დაფინანსებული აქტიური მსესხებლების რიცხვი 10,000 მსესხებელს აღემატება, ხოლო მიმდინარე დაბანდება 7,300,000 ლარს შეადგენს.

**"1997 წლიდან დღემდე დაფინანსდა 312,000 მიკრო პროექტი საერთო მოცულობით 158,000,000 ლარი, სადღეისოდ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საერთო სასესხო პორტფელმა დაახლოებით 27 მილიონი ლარი შეადგინა,"** – ნათქვამია მიკროსაფინანსო ორგანიზაციების თანამშრომლობის შედეგად შექმნილი სექტორის პრეზენტაციაში "მიკროდაფინანსება – აპრობირებული საშუალება წვრილი და საშუალო ბიზნესის განვითარებისთვის."

საინტერესო გამოდგა პრეზენტაციაში მოცემული სხვა სტატისტიკური მონაცემები, რომელთა თანახმადაც, მოთხოვნა მიკროსაფინანსო მომსახურებაზე დღითიდღე იზრდება.

გუშინდელ შეხვედრაზე ლოგიკურად გაჩნდა შეკითხვა, თუ რა ზეგავლენის მოხდენა შეუძლია მიკროსაფინანსო მომსახურებას მომხმარებელზე. **"ათწლეულების გამოცდილებამ ცხადყო, რომ მიკროსაფინანსო მომსახურება სიღარიბის დონის დაძლევის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს. ამასთან, მიკროსაფინანსო მომსახურებით სოციალურად დაუცველ მოსახლეობას ზოგადად ექმნება შესაძლებლობა, გაზარდოს საკუთარი შემოსავლები, განავითაროს საკუთარი ბიზნესები და შეამციროს სოციალურ-ეკონომიკური საფრთხე. ისიც, რომ იგი წარმოადგენს თვითრეალიზაციისა და სოციალური სტატუსის გაუმჯობესების ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ საშუალებას,"** – პასუხობენ მიკროსაფინანსო ორგანიზაციები.

საქართველოში მოქმედი მიკროსაფინანსო ორგანიზაციები თავის უდიდეს მიღწევებად თვლიან ჩამოყალიბებულ და გამართულ სისტემებს და მეთოდოლოგიას, კვალიფიციურ კადრებს, საოპერაციო და ფინანსურ თვითდაფინანსებას, წარმატებით დაძლეულ საგადასახადო ბარიერს, შეთავაზებული მომსახურების მრავალფეროვნებას და მათ მიერ შექმნილ ფართო რეგიონულ ქსელს.

სირთულეები აღნიშნულ სექტორში საკმაოდ არსებობს. რთული და არასტაბილური მაკრო-ეკონომიკური გარემო, დაძაბული კრიმინოგენული გარემო, სასამართლო – სააღსრულებლო მექანიზმის სისუსტე, საკანონმდებლო ხარვეზები – ეს ის პრობლემებია, რომლებსაც ყველაზე ხშირად აწყდებიან მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და მათი კლიენტები.

**"მოგეხსენებათ, ჩვენი ტიპის ორგანიზაციები გასცემენ სესხებს და რაღაც მიზეზების გამო, ამ სესხების დაბრუნება პრობლემატური შეიძლება გახდეს. ასეთ დროს ჩვენთვის ძალიან დიდი დახმარების გაწევა შეუძლია საალმსრულებლო დეპარტამენტს და საალმსრულებლო ხელისუფლებას, რომელიც დღეს ძალიან მოიკოჭლებს. მეორე, პრობლემაა კრიმინოგენული სიტუაცია. ჩვენი მსესხებელი არ არის დაცული და დაზღვეული რაიმე კრიმინალური გამოხტომებისგან. ამ დროს ჩვენ სესხის დაბრუნება გვიჭირს, რადგან ამ დროს კლიენტს თავისი გაჭირვება ჰყოფნის და არ უნდა დააძალო. სახელმწიფო სწორედ ამაში უნდა უწყობდეს ხელს ჩვენი ტიპის ორგანიზაციებს,"** – განაცხადა ერთ-ერთი უმსხვილესი მიკროსაფინანსო ორგანიზაციის, ფონდ "კრედოს" საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პროდუქტების განვითარების მენეჯერმა ნიკოლოზ ქუთათელაძემ.

**"მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ხელისუფლების ვალია, შექმნას სამუშაო ადგილები. ხელისუფლებამ ხელი უნდა შეუწყოს, რომ განვითარდეს კერძო ინფრასტრუქტურა, რომელიც თავისთავად შექმნის სამუშაო ადგილებს, იმიტომ, რომ ნებისმიერი ორგანიზაციის ზრდა დაკავშირებულია მხოლოდ სამუშაო ადგილების შექმნასთან და, შესაბამისად, ჩვენი, ანუ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ფუნქცია ამ კუთხით უნდა წარმოვიდგინოთ. ნებისმიერი სესხი 1,5 სამუშაო ადგილს ქმნის, ანუ ჩვენ ვვარაუდობთ, რომ როდესაც ჩვენ რომელიმე ორგანიზაციას, ან მიკრომეწარმეს სესხს ვაძლევთ, შესაბამისად, ის აფართოებს თავის საქმიანობას, ამ დროს ის იზიდავს ახალ კადრებს, ანუ ასაქმებს ახალ სამუშაო ძალას. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენი სესხი ამა თუ იმ ბიზნესის განვითარებისთვის წარმატებული იყო, შესაბამისად, ვთვლით, რომ სამუშაო ადგილები შეიქმნა. თუ სახელმწიფო ხელს უწყობს კერძო ინფრასტრუქტურის განვითარებას და ზრდას, ამით თავისთავად, სამუშაო ადგილებს ქმნის,"** – განაცხადა კიდევ ერთი წამყვანი მიკროსაფინანსო ორგანიზაცია "ფინკა საქართველოს" დირექტორის მოადგილემ გიგი მათიაშვილმა.

როგორც გუშინდელ შეხვედრაზე ფონდ "კონსტანტას" დირექტორის მოადგილემ კონსტანტინე წერეთელმა აღნიშნა, წვრილი და მცირე მეწარმეობა ცალსახად ვითარდება, თუმცა მას სერიოზული ხელშეწყობა სჭირდება არა მარტო საფინანსო სექტორიდან, არამედ ხელისუფლების მხრიდან. **"თუ იარსებებს კარგი საკანონმდებლო ბაზა, თუ არ იარსებებს ბარიერები, ეს გამოიწვევს იმას, რომ ბიზნესი იქნება სტაბილური, შეძლებს ბევრი ადამიანის დასაქმებას და ამასთან, დაიწყებს ურთიერთობებს ისეთ საფინანსო ინსტიტუტებთან, როგორებიც მიკროსაფინანსო ორგანიზაციები გახლავთ,"** – განაცხადა წერეთელმა.

მოკლედ

## წამების საწინააღმდეგო სამოქმედო გეგმა სრულყოფილად არ ხორციელდება

ადამიანების წამება და წამების წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში კვლავ აქტუალურ თემად რჩება. წამების წინააღმდეგ შემუშავებული სამოქმედო გეგმის ეფექტურად განხორციელების გზებზე გუშინ სახალხო დამცველის ოფისში გამართულ "მრგვალ მაგიდაზე" იმსჯელეს. ომბუდსმენის ოფისს გუშინ ეუთო-ს მისიის, გაერო-ს განვითარების პროგრამის, ევროსაბჭოსა და ევროპის კომისიის წარმომადგენლები, ასევე - ქართული ძალოვანი უწყებების, ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წევრები სტუმრობდნენ.

შეხვედრის მონაწილეებმა წამების ფაქტების წინააღმდეგ განხორციელებული ღონისძიებები განიხილეს და მონიტორინგის ეფექტური მექანიზმების შემუშავება სცადეს.

სახალხო დამცველის ოფისში გუშინ არავის დაუმალავს, რომ ეუთო-სა და საქართველოს უშიშროების საბჭოს ერთობლივი ინიციატივით შემუშავებული წამების საწინააღმდეგო სამოქმედო გეგმა სრულყოფილად არ ხორციელდება. ამას წარმოდგენილი სტატისტიკაც ადასტურებს.

**"წამების ცნება უკავშირდება როგორც ციხის საკნებს და წინასწარი დაკავების იზილატორებს, ასევე - სხვა ტიპის დახურულ დაწესებულებებს. ჩვენ მივესალმებით საქართველოს მთავრობის მცდელობას, ეფექტურად ებრძოლოს წამებას გრძელვადიანი სტრატეგიისა და სისტემური მეთოდოლოგიის დანერგვის საშუალებით. ეუთო-ს მისია საქართველოს ხელისუფლებას სიამოვნებით გაუწევს კვალიფიცურ დახმარებას ამ საკითხში. მსგავსი შეხვედრები საქართველოს ხელისუფლებას დაეხმარება და მისცემს საშუალებას, ეფექტურად განახორციელოს ეროვნული სამოქმედო გეგმა, რომელიც შესაბამისობაში მოვა წამების წინააღმდეგ შემუშავებულ საერთაშორისო სტანდარტებთან",** - აცხადებს ეუთო-ს მისიის ხელმძღვანელი საქართველოში როი რივი.

გუშინდელ შეხვედრაზე წამების წინააღმდეგ არსებული საერთაშორისო კონვენციის რატიფიცირების საკითხიც განიხილეს.

*24 საათი*

## დააკავეს საზარელ მკვლელობაში ეჭვმიტანილი

ერთი კვირის წინ ხარაგაულში მომხდარი შემზარავი მკვლელობა გახსნილია. ნანა ჭრელაშვილის მკვლელობაში ეჭვმიტანილი საჩხერელი პავლე კაკუშაძე იმერეთის სამხარეო პოლიციის თანამშრომლებმა გუშინ დააკავეს.

როგორც იმერეთის შს მთავარი სამმართველოს უფროსი გია კაჭარავა განმარტავს, გამოძიებით დადგენილია, რომ ეჭვმიტანილმა მისი მეგობარი ქალი - ჭიათურელი ნანა ჭრელაშვილი ნათესავის, გიგა კაკუშაძის აგარაკზე მიიპატიჟა. მათ აგარაკზე ღამე გაათიეს. "სავარაუდოდ, მათ შორის ურთიერთშელაპარაკება მოხდა, რაც მკვლელობით დასრულდა. პავლე კაკუშაძემ ქალი თოკით დაახრჩო, საბანში გაახვია და სახლის ეზოში დამარხა", - აცხადებს იმერეთის სამხარეო პოლიციის უფროსი.

მომხდართან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე აღძრულია განზრახ მკვლელობის მუხლით.

*ინტერ-პრესი*

# პოლიციის თანამშრომელს უდანაშაულო ადამიანის დაკავებაში ადანაშაულებენ

საადვოკატო ფირმა "კახაბერის" ადვოკატები ისანი-სამგორის რაიონის პოლიციის სამმართველოს კრიმინალური პოლიციის ინსპექტორს როლანდ აბრამიშვილს უდანაშაულო ადამიანის დაკავებაში ადანაშაულებენ. სხვათა შორის, უპრეცედენტო შემთხვევაა, როცა დაზარალებულის და ბრალდებულის ადვოკატები სამართალდამცველთა მიერ დაშვებული უკანონობის წინააღმდეგ ერთად იბრძვიან.

საქმე ისაა, რომ ადვოკატების - კახა ხვისტანისა და ლევან ელბაქიძის განცხადებით, 8 აპრილს ისანი-სამგორის კრიმინალური პოლიციის თანამშრომელმა როლანდ აბრამიშვილმა ალექსეევკის დასახლებაში, საკუთარი სახლის წინ ველოდი სამსიანი დააკავა და ყაჩაღობაში დაადანაშაულა; უფრო კონკრეტულად - ბრალად წაუყენა მოქალაქე დავით გურაშვილის დაყაჩაღების მცდელობა. თავად დაზარალებული დაყაჩაღების მცდელობის ფაქტს, მართალია, ადასტურებს, მაგრამ სამსიანის ბრალეულობას კატეგორიულად უარყოფს. მისი განცხადებით, იმ ორ პირს შორის, რომლებიც მას თავს დაესხნენ და რომლებიც მას კარგად ახსოვს, სამსიანი არც ერთი არ არის. გურაშვილის განცხადებით, მან სამსიანი პირველად ისანი-სამგორის სასამართლოში ნახა, სადაც ბრალდებულს სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს.

კახა ხვისტანის განცხადებით, დავით გურაშვილს სამსიანის საწინააღმდეგო ჩვენება პოლიციაში ზეწოლის ქვეშ გამოსძალეს. დაზარალებულმა სამსიანისთვის აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების დროს ამის თაობაზე ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ტურავასაც განუცხადა. თუმცა, ამის მიუხედავად, სამსიანს წინასწარი სამთვიანი პატიმრობა მაინც შეუფარდეს.

დაკავებულისა და დაზარალებულის ადვოკატები ბრალდებულის დაკავებას პოლიციელ აბრამიშვილსა და სამსიანს შორის წლების განმავლობაში არსებულ პირად უთანხმოებას უკავშირებენ.

ადვოკატები სამართლებრივი ბრძოლის გაგრძელებას შეეცდებიან საოლქო სასამართლოში, სადაც სამსიანისთვის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს მიერ შეფარდებული აღმკვეთი ღონისძიება გაასაჩივრეს. გარდა ამისა, მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით ადვოკატები სამართლებრივ რეაგირებას სთხოვენ ისანი-სამგორის რაიონის პროკურორს ვაჟა აბაკელიას. **"მივმართეთ ვაჟა აბაკელიას. თუ შედეგი არ იქნება, მივმართავთ გენერალურ პროკურატურას და მანამდე ვიბრძოლებთ, სანამ უდანაშაულოდ დაკავებულ სამსიანს არ გაათავისუფლებენ და დამნაშავე პოლიციელს არ მისცემენ პასუხისგებაში. მსგავსი პრობლემა ნებისმიერ მოქალაქეს შეიძლება შეექმნას - უბრალოდ, გახდეს ინსპექტორის პირადი ანგარიშსწორების მსხვერპლი. ამის თქმის უფლებას მაძლევს ეს კონკრეტული შემთხვევა",** – აცხადებს კახა ხვისტანი, რომელიც სამსიანის უდანაშაულობის დასამტკიცებლად ყველა სამართლებრივი გზის გამოყენებას აპირებს.

*24 საათი*

# საკონსტიტუციო სასამართლომ კიდევ ერთი რევოლუციური გადაწყვეტილება მიიღო

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, სამსახურიდან გათავისუფლებული მოქალაქეები კომპენსაციებს დროულად მიიღებენ. საქმე ისაა, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის ის ნორმა, რომელიც მოქალაქეებს, სამსახურიდან გათავისუფლების შემთხვევაში, კუთვნილი ორი თვის თანამდებობრივი სარგოს მიღების საშუალებას არ აძლევდა. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა კოლეგიამ დააკმაყოფილა მოქალაქეების - სილაგაძის, წოწონავას და დარსანიას სარჩელი, რომლებიც "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 137-ე მუხლის მე-2 პუნქტის არაკონსტიუტციურად ცნობას მოითხოვდნენ. სადავო ნორმის გამო, მოქალაქეებს არაერთხელ გადაუვადდათ კუთვნილი დანამატების, სახელფასო დავალიანების და სამსახურიდან გათავისუფლებისთვის ორი თვის თანამდებობრივი სარგოს მიღების ვადა. საკონსტიტუციო სასამართლოს ინფორმაციით, გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედო ის გარემოება, რომ სადავო ნორმა უკანონოდ აჭიანურებდა მოქალაქეების სოციალური დაცვის ღონისძიებებს. გარდა ამისა, აღნიშნული ნორმით დადგენილი წესი არ შეესაბამება სახელმწიფოს სოციალურ პოლიტიკას, რომელიც ნებისმიერი ადამიანის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ არის მიმართული. სასამართლოს გადაწყვეტილება არაუგვიანეს 2006 წლის პირველ იანვრამდე უნდა აღსრულდეს.

*24 საათი*






# მკვლელობა ერთი ბოთლი ლუდის გამო

კახეთის რეგიონში ამ ბოლო დროს გახშირებული მკვლელობები, ძირითადად, ყაჩაღობის და ოჯახური უთანხმოების ნიადაგზე ხდება. გუშინწინ მომხდარი მკვლელობისთვის სამართალდამცველებს კვალიფიკაცია ჯერჯერობით არ მიუნიჭებიათ, რადგან დანაშაულში ეჭვიმიტანილები - ზაურ ცალუღელაშვილი და გოჩა ყოჩიაშვილი შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. თუმცა, ერთ-ერთი დამნაშავე მოგვიანებით პოლიციას ჩაბარდა. როგორც გარდაცვლილის ახლობლები და ოჯახის წევრები ამბობენ, მკვლელობის მიზეზი ერთი ბოთლი ლუდი გახდა. მათივე თქმით, მკვლელობიდან ერთი საათით ადრე ნასვამ მდგომარეობაში მყოფი ცალუღელაშვილი და ყოჩიაშვილი დათო ხუციშვილს სახლში მიუცვივდნენ და ფიზიკურად გაუსწორდნენ. გარდაცვლილის დედის ირინა ხუციშვილის თქმით, რომელიც ჩხუბის თვითმხილველია, მის შვილს გულ-მკერდის არეში ცივი იარაღით ჭრილობა ზაურ ცალუაშვილმა მიაყენა. **"ჩემ შვილს მეგობრებთან ყოველთვის კარგი დამოკიდებულება ჰქონდა. წინა დღესაც ერთად მოილხინეს, მაგრამ რა მოხდა მკვლელობის დღეს, ჩემთვის გაურკვეველია. როდესაც ისინი სახლში შემოგვიცვივდნენ, უშვერი სიტყვებით იგინებოდნენ. ეზოში ჩასულებმა კი შვილი მომიკლეს. ისინი დათოს ლუდის ფულს სთხოვდნენ",** - იხსენებს გარდაცვლილის დედა.

მომხადრათან დაკავშირებულ მასალებს გურჯაანის რაიონული პროკურატურა იკვლევს. მაგრამ, პროკურორი ალექსანდრე ფერიაშვილი აცხადებს, რომ მათ საქმის წარმართვაში დაზარალებულის ოჯახის წევრები უშლიან ხელს.

აღსანიშნავია, რომ 9 აპრილის ქუჩას, სადაც მკვლელობა მოხდა, პოლიცია არ აკონტროლებს.

პოლიციას მხოლოდ ცალუღელაშვილი ჩაბარდა; რაც შეეხება ყოჩიაშვილს, ის კვლავ მიმალვაში იმყოფება. გარდაცვლილის ოჯახის წევრები და ახლობლები კი მკვლელების ლინჩის წესით გასამართლებას მოითხოვენ.

*24 საათი*

# 1000 დოლარი - სასჯელის ზომის შემცირებისთვის

სამართალდამცველებმა ამჯერად ქრთამის აღების ფაქტზე დააკავეს ისანი-სამგორის რაიონის პროკურორის მოადგილე მალხაზ აბესაძე. შინაგან საქმეთა სამინისტროსა და გენერალური პროკურატურის მიერ ერთობლივად ჩატარებული ოპერაციის დროს რაიონული პროკურორის მოადგილეს დაკავებამდე ცოტა ხნით ადრე გადაცემული, სპეციალური ქიმიური ხსნარით დამუშავებული თანხა აღმოაჩნდა.

როგორც გენერალურ პროკურატურაში განმარტავენ, ქრთამი – 1000 დოლარი პროკურორის მოადგილემ ერთ-ერთ მოქალაქეს სასაჯელის ზომის შემსუბუქების მიზნით გამოსძალა. მალხაზ აბესაძის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე მისი დაკავებისთანავე აღიძრა.

*24 საათი*

# აზერბაიჯანელი ჟურნალისტის მკვლელობის საქმე კვლავ გაუხსნელია

"ჟურნალ "მონიტორის" რედაქტორის ელმარ ჰუსეინოვის მკვლელობაში ეჭვმიტანილი დაკავებულია", - ასეთი ინფორმაცია გაავრცელეს გუშინ აზერბაიჯანულმა ინტერნეტ გამოცემებმა. გავრცელებული ინფორმაციით, ეჭვმიტანილი დააკავა საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ და ის ბაქოს გადასცა. იგივე ინფორმაციით, ჰუსეინოვის მკვლელობის შემკვეთი ეროვნებით სომეხია, რომელსაც აზერბაიჯანში აქვს სერიოზული კავშირები, რასაც ჰუსეინოვის მკვლელობის გამოძიება დეტალურად სწავლობს. თუმცა, გუშინ აზერბაიჯანში მასმედიით გავრცელებული ინფორმაცია, ჰუსეინოვის მკვლელობაში ეჭვმიტანილის საქართველოში დაკავების შესახებ, კატეგორიულად უარყო აზერბაიჯანის უშიშროების სამინისტრომ, რომლის წარმომადგენლის განცხადებით, საქართველოს მოქალაქის დაკავების შესახებ ისინი არანაირ ინფორმაციას არ ფლობენ.

სხვათა შორის, მსგავსი შინაარსის ინფორმაცია აზერბაიჯანულმა გამოცემებმა რამდენიმე დღის წინაც გაავრცელეს. 8 აპრილს გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, ქართველმა სამართალდამცველებმა ჰუსეინოვის მკველობასთან დაკავშირებით დააკავეს საქართველოს 6 მოქალაქე; დასახელებული იყო ეჭვმიტანილთა ვინაობაც - თურგაი და ბილმან ბაირამოვები, ემინ და ფარუჰ მამედოვები, შაქირ შირინოვი და ვიდადი ისმაილოვი. აზერბაიჯანის პროკურატურის მთავარმა პროკურორმა ელდარ მეჯიდოვმა გავრცელებულ ინფორმაციაზე კომენტარი არ გააკეთა, იმ მოტივით, რომ საქმეს იძიებს უშიშროების სამინისტრო. უშიშროების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის არიფ ბაბაევის განცხადებით კი, იგი მსგავს ინფორმაციას არ ფლობს.

ამჯერად ინფორმაცია აზერბაიჯანის გენერალურმა პროკურატურამ უარყო. პროკურატურის მიერ ოფიციალურად გაკეთებული განცხადებით, ჰუსეინოვის მკვლელობაში ეჭვმიტანილთა დასაკავებლად ოპერატიული ღონისძიებები მიმდინარეობს და ამ საქმესთან დაკავშირებით, ჯერჯერობით, არავინაა დაკავებული.

შეგახსენებთ, რომ ოპოზიციური ჟურნალის "მონიტორის" მთავარი რედაქტორი ელმარ ჰუსეინოვი 2 მარტს, საღამოს საკუთარ სახლთან მოკლეს პისტოლეტიდან გასროლით. საქმის გამოძიებაში FBI-სა და თურქეთის სპეცსამსახურის აგენტები ჩაერთნენ. თურქეთის სპეცსამსახურის თანამშრომელმა განაცხადა კიდეც, რომ ჰუსეინოვის მკვლელი დაკავებულია. მსგავსი შინაარსის განცხადება გააკეთა აზერბაიჯანში თურქეთის ელჩმაც.

## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

ა ნ კ ე ტ ა

**სახელი, გვარი**.............................................

**ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი**.............................................

**საკონტაქტო ტელეფონი** .............................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფმშენის" შენობის 1-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".



# "თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი
თორნიკე ბერიშვილი

## გამოკითხვა

### რას ფიქრობთ ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების მოსალოდნელ შედეგებზე?

**იოსებ გაბელაია,** ისტორიკოსი, 45 წლის: "ეს ყველაფერი არის ფასადი, რომლის იქით არაფერი, ან თითქმის არაფერი ხდება. სანამ ამერიკა და რუსეთი ერთმანეთში არ გაარკვევენ ურთიერთობებს, მანამ ეს პრობლემა იარსებებს."

**გოგი ყიფშიძე,** ინჟინერი, 38 წლის: "მოლაპარაკებები საჭიროა, თუმცა, მთავარია, რომ ქართული მხრიდან იყოს სახელმწიფოებრივი ნება და აფხაზეთთან დაკავშირებული საკითხები გახდეს პრიორიტეტული, თუნდაც, ეს ბიუჯეტს ძვირი დაუჯდეს. მაგალითად, გამოვუყოთ ადგილები აფხაზ ახალგაზრდებს ჩვენს უნივერსიტეტებში უფასო განათლების მისაღებად, მოეწყოს სხვადასხვა სახის შეხვედრები, ვიზრუნოთ ქართულ ინვესტიციებზე. ახალი თაობა წამოვიდა, საჭიროა, ახალგაზრდობამ გაიცნოს ერთმანეთი და გაიგოს სიმართლე ერთმანეთის შესახებ."

**ნანა ბურნაძე,** ექიმი, 30 წლის: "არა მგონია, ამ მოლაპარაკებებმა არსებითად რამე შეცვალოს, თუმცა, ამგვარი შეხვედრები, რასაკვირველია, აუცილებელია. თუნდაც, მარტო იმიტომ, რომ გვახსოვდეს აფხაზეთი და აფხაზებიც ხედავდნენ, რომ ჩვენ ამ მიწას გულიდან ვერასოდეს ამოვირეცხავთ."

**ლევან ნასარიძე,** ეკონომისტი, 38 წლის: "სანამ მსოფლიოს ხელახალი გადანაწილება არ დასრულდება, არანაირი მოლაპარაკება და მცდელობა ჩვენთვის სასურველ შედეგს არ გამოიღებს. თუმცა, ეკონომიკური თანამშრომლობა თუ დაიწყება, თუნდაც რკინიგზა ავიღოთ, ეს მარტო აფხაზებისათვის არ იქნება მომგებიანი, ჩვენთვისაც მნიშვნელოვანი იქნება."

**თამრიკო ელაშვილი,** ჟურნალისტი, 40 წლის: "ის, რომ მთავრობები საქართველოშიც შეიცვალა და აფხაზეთშიც, არაფერს ცვლის. სანამ რუსეთში არ მოხდება რევოლუცია და იქ არ შეიცვლება სიტუაცია, მოლაპარაკებებით მხოლოდ უმნიშვნელო საკითხები შეიძლება მოგვარდეს."

**ალეკო შუბითიძე,** 20 წლის, სტუდენტი: "მე ვფიქრობ, ახალ სიტუაციაში მოლაპარაკებები უფრო შედეგიანი იქნება, რადგანაც აფხაზებსაც სჭირდებათ განვითარება და აღარ სურთ ისეთ სიტუაციაში ცხოვრება, როგორშიც ეს ბოლო წლები ცხოვრობენ."

**თამილა კვირკვია,** იურისტი, 55 წლის: "ჟენევაში გამართული შეხვედრა მნიშვნელოვანია, თუნდაც იმიტომ, რომ იქ აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის თავმჯდომარე მონაწილეობდა. მართალია, პრეზიდენტის პირადი წარმომადგენლის სტატუსით, მაგრამ მაინც. აშკარაა, რომ რაღაც დადებითი ტენდენციები გამოჩნდა."

## გადარჩენილი ფოტოები



**სოხუმი, 1982 წელი. სოხუმის უნივერსიტეტის სტუდენტი ზაზა სარდალიშვილი (შუა რიგში მარცხნივ) თავის აფხაზ და ქართველ მეგობრებთან ერთად (ვ. ფრუიძე, გია თოდუა, ლეო მამარდაშვილი, სულხან ემხვარი, ედიკ არგუნი).**

**პროექტი "თქვენი აფხაზეთი"**
ჩვენი პოვნა შეგიძლიათ: გაზეთი **"24 საათი",** ყოველ ოთხშაბათს
საქართველოს რადიო, პირველი არხი, **FM 102,4 10სთ და 25 წთ-დან, ყოველ ორშაბათს**

პროექტის მხარდამჭერი conciliation resources

# განსხვავებული აზრი ჟენევის მოლაპარაკების შესახებ

*ჟენევაში ქართულ-აფხაზური შეხვედრის გამო ბევრი იმედით განიმსჭვალა. მუსირებს აზრი, რომ ახალი გარემოებები ახალ შესაძლებლობებს მოგვცემს, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ყველა ასე არ ფიქრობს.*
*იუსტიციის გენერალ-მაიორი, სამართლის დოქტორი პაატა დავითაია მიიჩნევს, რომ ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებას ჟენევაში შედეგი არ მოჰყვება. მისი აზრით, აფხაზეთის საკითხში რეალური ნაბიჯის გადადგმა თუ გვინდა, ჰააგის საერთაშორისო სასამართლოს უნდა მივმართოთ.*
*პაატა დავითაია იყო აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს გამომძიებელი, უმაღლესი საბჭოს მთავარი სახელმწიფო მრჩეველი, იუსტიციის საბჭოს წევრი, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის აპარატის უფროსი, იუსტიციის მინისტრი, გენერალური პროკურორის მოადგილე, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. დღეს იგი ექსპერტია და ლექციებს კითხულობს რამდენიმე უნივერსიტეტში საქართველოში და უცხოეთში.*

ზაზა ფაჩუაშვილი

**- ბატონო პაატა, ახალი რეალობიდან გამომდინარე, როგორ შეაფასებდით ჟენევის შეხვედრას?**

- ჟენევის ფორმატი 4-5 წელია, მუშაობს. იგი მოიცავს საქართველოს მეგობართა ჯგუფს, რომელიც გაეროს უშიშროების საბჭოსთან არსებობს. ერთი პერიოდის განმავლობაში ამ ფორმატის მუშაობა წარმატებული იყო, როცა მიმდინარეობდა მსჯელობა დევნილების დაბრუნებასა და აფხაზეთის სტატუსთან დაკავშირებით. აგრეთვე, გალში გაეროს პოლიციის ქვედანაყოფის შექმნასთან დაკავშირებით. ასეთი პერსპექტივები იყო, მაგრამ გადამწყვეტ ეტაპზე აფხაზური მხარე თანხმობაზე ყოველთვის უარს ამბობდა. ცხადია, საქმე გვაქვს რუსეთის ზეწოლასთან. აქ გასათვალისწინებელი ისაა, როდის ხდებოდა ეს – მაშინ, როცა აფხაზეთში მცხოვრებ ხალხს რუსეთის მოქალაქეობა ჯერ კიდევ არ ჰქონდა მიღებული. ამიტომ, რა შედეგებზე შეიძლება საუბარი დღეს, როცა აფხაზეთში მცხოვრებთა აბსოლუტური უმრავლესობა რუსეთის მოქალაქეა?

1992 წლიდან მოყოლებული, დღემდე, აფხაზური მხრიდან მომლაპარაკებელი პირი, ფაქტობრივად, არ იცვლება და ეს არის შამბა. ჩვენგან ყოველთვის იცვლებოდნენ და ყველა ამბობდა, თითქოს ახალი გარემოებები გამოჩნდა და ახალი ურთიერთობები იწყება. დღესაც ასე ამბობენ, მაგრამ რეალურად არაფერი შეცვლილა, არავითარი ახალი გარემოება არ გამოჩენილა. შამბა ისევ შამბაა და მის უკან მდგომ ხალხს იგივე პოზიცია აქვთ, რაც ჰქონდათ.

საუბარია ვენეციის კომისიაზეც. მინდა გითხრათ, რომ ვენეციის კომისიის ეგიდით, აგრეთვე, გაეროსა და ევროსაბჭოს მონაწილეობით 2000 წელს ბიჭვინთაში ჩატარდა შეხვედრა აფხაზეთის სახელმწიფო სამართლებრივი ასპექტების თემაზე. საქართველოს მხარეს წარმოვადგენდით მე, ბატონი გიორგი ხუბუა და ბატონი ლევან ალექსიძე. ცნობილმა ექსპერტებმა იტალიიდან, შვეიცარიიდან, ბელგიიდან, ესპანეთიდან აფხაზურ მხარეს შესთავაზეს სახელმწიფოებრივი მოწყობის თავ-თავიანთი მოდელები (სხვათა შორის, უფრო მეტი უფლებებით, ვიდრე ევროპაში აქვს ფედერაციის სუბიექტებს), მაგრამ აფხაზებმა ამაზე საუბარიც კი არ ისურვეს. დღევანდელ მოლაპარაკებებზეც იგივე ხალხია. ერთი არძინბა შეიცვალა ბაგაფშით, მაგრამ თუ ვინმეს ჰგონია, რომ ბაგაფში არძინბაზე უკეთესია, ძალიან ცდება. ამიტომ ვამბობ, რომ ჟენევის ფორმატის მოლაპარაკებებიც და ვენეციის კომისიის ძალისხმევაც უკვე გავლილი და უშედეგო ეტაპებია.

**- თქვენ ფიქრობთ, რომ ჟენევის შეხვედრა სრულიად უშედეგო იქნება?**

- ჟენევის შეხვედრას არავითარი შედეგი არ მოჰყვება და აი, რატომ. მივყვეთ ფაქტებს:

1. დღეს აფხაზეთში მაცხოვრებელთა 99 პროცენტი რუსეთის მოქალაქეა. მათ შორისაა გალის მოსახლეობაც. დარწმუნებული ვარ, რომ გალში მცხოვრები ქართველების 70 პროცენტი რუსეთის მოქალაქეა. ხაჯიმბას ინიციატივით, არჩევნების წინ პასპორტების გაცვლა 1000 რუბლი ღირდა. ეს პროცესი ახლაც მიმდინარეობს. აფხაზეთის მოქალაქეთა სრული პასპორტიზაცია და ამ ყველაფრის სამართლებრივ ჩარჩოში მოქცევა დავალებული აქვს სოჭის საპასპორტოს უფროსს.

2. აფხაზეთის სოციალური სფერო მთლიანად შეუერთეს კრასნოდარის სოციალურ სფეროს და, შედეგად, აფხაზეთის მოქალაქეები პენსიებს რუსეთიდან იღებენ. ორი კვირის წინ, ბაბურინის იურისტთა ჯგუფმა შეიმუშავა შესაბამისი კანონპროექტები, რის დაკანონებასაც მაისში უნდა ველოდოთ. ამით მოხდება რუსეთისა და აფხაზეთის სოციალური კანონმდებლობის ჰარმონიზაცია.

3. საბანკო სისტემების გაერთიანება. მე როცა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვიყავი, ჩავატარე ბრიფინგი და წარვადგინე ხელშეკრულება თანამშრომლობის შესახებ, რომელიც გაფორმებულია აფხაზეთის "გალანტ ბანკსა" და რუსულ ბანკ - "ზოლოტაია კორონას" შორის. შედეგად, ვიზა-ბარათით აფხაზეთში შეიძლება ანგარიშის განაღდება, გადარიცხვის გაკეთება და ა.შ.

4. ეკონომიკური სისტემების გაერთიანება. აფხაზეთში იქმნება ღია ტიპის სააქციო საზოგადოებები. პარალელურად, რუსეთში იქმნება დახურული ტიპის სააქციო საზოგადოებები, რომლებიც ყიდულობენ აფხაზურის აქციებს და, ფაქტობრივად, ამ ორი ს/ს-ს შერწყმა ხდება.

ყოველივე ეს ხდება სრულიად უკონტროლოდ და არის 1996 წლის 19 იანვრის დსთ-ს ქვეყნების მეთაურთა იმ გადაწყვეტილების უხეში დარღვევა, რომელსაც თავად რუსეთიც აწერს ხელს. საერთოდ, პუტინის მოსვლის შემდეგ სიტუაცია კიდევ უფრო გართულდა.

**- რა შეიძლება მოჰყვეს მოვლენების ასეთ განვითარებას?**

- რუსეთს, ფაქტობრივად, აფხაზეთის მიერთებაღა დარჩა. ყველა ამბობს, რომ ეს შეუძლებელია და მეც ასე მიმაჩნია, მაგრამ, ამავე დროს, იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთი აკეთებს ყველაფერს, რასაც მოისურვებს, შიშის გრძნობაც მეუფლება. მით უმეტეს, რომ რუსეთში უკვე ღიად საუბრობენ საქართველოში იუგოსლავიის მოდელის გათამაშების შესაძლებლობაზე. იუგოსლავიაც გაეროს წევრი ქვეყანა იყო, მაგრამ დაიშალა.

ახლა ბევრს საუბრობენ იმის შესახებ, რომ ჩვენ და აფხაზებს გვსურს თანაცხოვრება. ეს მართალია – ქართველ და აფხაზ ხალხს სურს თანაცხოვრება, მაგრამ ხალხის გარდა, აფხაზეთში არიან სეპარატისტები, კრიმინალები, რომლებთანაც თანაცხოვრება გამორიცხულია. ცხადია, არც ისინი შეგვირიგდებიან.

**- რა შეგვიძლია დავუპირისპიროთ სეპარატიზმს?**

- სეპარატისტები უნდა გავანეიტრალოთ. როგორ უნდა გავაკეთოთ ეს? არაერთხელ მითქვამს, რომ ამისათვის არსებობს ჰააგის საერთაშორისო სასამართლო. სხვა სერიოზული ბერკეტი ჩვენ არ გაგვაჩნია. აი, როგორ შეიძლება ამ ბერკეტის გამოყენება. ერთი მაგალითი, ვიცე-სპრეზიდენტმა ხაჯიმბამ, რომელიც რუსეთის მოქალაქეა, კრასნოდარის მხარის გუბერნატორთან ტკაჩოვთან დადო ხელშეკრულება ეკონომიკურ და პოლიტიკურ სფეროებში თანამშრომლობის შესახებ. ანუ, რუსეთის ორი მოქალაქე აფორმებს ერთმანეთთან ხელშეკრულებას იმის თაობაზე, რომ საქართველოს ტერიტორიიდან სასარგებლო წიაღისეული გაიზიდოს. ეს არის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 308-ე და 309-ე მუხლებით განსაზღვრული დანაშაული – ანტიკონსტიტუციური ხელშეკრულება, რომელიც აზარალებს ქვეყანას და ბღალავს მის სუვერენიტეტს და რომელიც ისჯება 10 წლამდე პატიმრობით. საქართველოს გენერალურ პროკურატურას ამ ფაქტზე რომ საქმე აღეძრა, გამოცხადდებოდა ხაჯიმბას ძებნა საქართველოს ტერიტორიაზე. შემდეგ საქმე გადაეცემოდა ინტერპოლს. ინტერპოლის მიერ ძებნილს კი ვერც პუტინი შეხვდებოდა და ვერც რუსეთის გენერალური პროკურორი. ასე შევძლებდით ხაჯიმბასა და ბევრი სხვა სეპარატისტის იზოლირებას. ამის ნაცვლად კი, რა ხდება? ჩვენ ვასრულებთ სეპარატისტების ყველა კაპრიზს.

სეპარატისტებს ემატებიან რუსეთის მაღალი თანამდებობის პირები, რომლებიც აფხაზეთში, დაახლოებით, ერთი თვის წინათ გამოჩნდნენ. მაგალითად, აფხაზეთში თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის უფროსი გახდა რუსეთის სამხედრო პირი, გენერალ-ლეიტენანტი ზაიცევი, რომელიც ამ თანამდებობის დაკავებამდე იყო სირიის პრეზიდენტის მრჩეველი უშიშროების საკითხებში. წარმოგიდგენიათ, რა დონის მოხელეა? დარწმუნებული ვარ, რომ იგი სირიიდან აფხაზეთში ნარკოტრაფიკის გზის უზრუნველსაყოფადაც ჩამოიყვანეს.

მეორე მაგალითი: აფხაზეთის უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილედ დანიშნეს რუსეთის საზღვაო ქვეითი ჯარის პირველი რანგის კაპიტანი, რომელიც პასუხისმგებელია დივერსიული ოპერაციების ჩატარებაზე. დივერსიულ ოპერაციებს იგი სოჭში რომ არ ჩაატარებს, ხომ ცხადია? ეს ფაქტები ცნობილია, მაგრამ ამაზე არავინ საუბრობს. ამიტომ ვამბობ, რომ აუცილებელია საერთაშორისო სამართლის ბერკეტების გამოყენება, რათა დროულად მოვახდინოთ ზეწოლა სეპარატიზმზე.

აქვე მინდა გითხრათ, რომ ჰააგის სასამართლოს შესახებ ჰაერზე კი არ ვსაუბრობ, მქონდა შეხება, მქონდა შეხვედრები იქაურ პროკურორებთან, იურისტებთან. ჩემი ლობისტები არიან გერმანელი მოსამართლეები. მალე თბილისში ჩამოვა შესაბამისი მონიტორინგის ჯგუფი. ეს არის რეალური გზა, რასაც ისიც ადასტურებს, რომ სოხუმში ჩატარდა კონფერენცია, სადაც იმსჯელეს, თუ როგორ შეეშალათ ჩემთვის ხელი.

სირცხვილია, რომ საქართველოს პარლამენტი დუმს, ეუთომ კი აფხაზეთში ქართველთა გენოციდი აღიარა.

**- რამდენად გამართლებულია ძალის დემონსტრირება, როგორც ზეწოლის ბერკეტი?**

- მე სრულიად ვეთანხმები საქართველოს თავდაცვის მინისტრის განცხადებებს. ის თავდაცვის მინისტრია და სწორედ ასე უნდა ილაპარაკოს. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მე ომის მომხრე ვარ. იმის ილუზია ნამდვილად არ მაქვს, რომ აფხაზეთს ომით დავიბრუნებთ (ნურც სხვას ექნება ეს ილუზია), მაგრამ თუ ჰააგის ბერკეტს გამოვიყენებთ, ამას მოჰყვება კონფლიქტის ზონაში კონსტიტუციური წესრიგის აღდგენა საერთაშორისო ძალებით. ცხადია, ამისთვის საქართველოც ყოველთვის მზად უნდა იყოს.

სამწუხაროდ, ამ გზით სიარულის ნაცვლად, ქართული საზოგადოება ჯგუფებადაა დაშლილი, ყველა თავისას გაიძახის და არავითარი კოორდინაცია არ იგრძნობა.

**- თუ ჟენევის მოლაპარაკებას სააკაშვილისა და ბაგაფშის შეხვედრა მოჰყვა, ეს შედეგი არ იქნება?**

- ეს შეხვედრა ძალიან კარგი იქნება იმ კუთხით, რომ ყველა დაინახავს, ბაგაფშის სახით ვისთან გვაქვს საქმე. სხვათა შორის, ძალიან სწორი პოზიცია დაიკავა საქართველოს პრეზიდენტმა, როცა თქვა, რომ ბაგაფში თბილისში უნდა ჩამოვიდეს. ერთხელ და სამუდამოდ უნდა ჩამოვყალიბდეთ იმ საკითხში, რომ ყველაფრის დათმობა არ შეიძლება. ამას შედეგი არ მოაქვს, ხშირად კი საქმეს უფრო ართულებს.

# საოცრად სიმბოლური ფოტო

## როგორ დააქორწინა ბაგაფში კომკავშირმა

*ამირან აბესაძე წარმოშობით ქუთაისელია. იქ დაამთავრა საშუალო სკოლა, შემდეგ - სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. იყო აქტიური კომკავშირელი. ყამირზე, რამდენჯერმე სტუდენტთა სამშენებლო რაზმს ხელმძღვანელობდა. წლების მანძილზე მუშაობდა სხვადასხვა კომკავშირულ და პარტიულ თანამდებობებზე. მეგობრობდა ჟიული შარტავასთან და სერგო ბაგაფშთან.*

ლელა მარგიანი

**ამირან აბესაძე:** "ძალიან საინტერესო წლები გავიარეთ. მაშინ ასეთი ტრადიცია იყო, როდესაც დასაწინაურებლად კადრებს ამზადებდნენ, ისინი თბილისში მოჰყავდათ. აქ უნდა გაევლოთ ერთგვარი "მოთელვა". შემდეგ უნდა გაგვეწია მათთვის რეკომენდაცია. მაშინ, კომკავშირშიც და პარტიაშიც, ერთ-ერთ პრესტიჟულ თანამდებობად აფხაზეთში პირველი მდივნობა ითვლებოდა. მე მქონდა ადრე შეხება აფხაზეთთან, რადგან ვიყავი აფხაზეთის "კურატორი", ხშირად ჩავდიოდი სოხუმში, ძალიან ბევრს ვიცნობდი. ეს იყო 1977-1978 წლები, მაშინ აფხაზეთში კომკავშირული ხაზით, პირველი მდივანი იყო დათო ფილია. იგი უნდა დაეწინაურებინათ და პარტიულ სამუშაოზე გადაეყვანათ. ამიტომ, მისი შემცვლელი უნდა მოგვეძებნა. ცხონებულმა ჟიულიმ ყველას გვკითხა, თუ ვისთვის შეიძლებოდა რეკომენდაციის გაწევა. მაშინ სერგო ბაგაფში მუშაობდა სოხუმში, საოლქო კომიტეტის აპარატში. მე, როგორც კურატორი, კარგად ვიცნობდი მას და ამიტომ, რეკომენდაცია გავუწიე ჟიული შარტავასთან. ბაგაფში კომკავშირული მუშაკის ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებდა. ერთადერთი "ნაკლი" ჰქონდა - უცოლო იყო (მისი მეუღლე - მარინა, ჯერ კიდევ არ არსებობდა ჰორიზონტზე).

როდესაც სერგოს კანდიდატურა განვიხილეთ, ჟიულიმ გვითხრა: "მონაცემები კარგი აქვს, კარგად ახასიათებენ, მაგრამ აუცილებლად უნდა დავაქორწინოთ, ამის გარეშე წარმოუდგენელია. გამოიძახეთ, ჩამოიყვანეთ აპარატში, ბიჭებთან ერთად ამოუდექით მხარში და მასთან წაიმუშავეთ," – ასეთი იყო მისი დავალება.

**- რას გულისხმობდა "წამუშავება"?**

- ეს მთელს კავშირში მიღებული პრაქტიკა იყო. უბრალოდ, დანიშვნამდე ახალი კადრები საქმის კურსში უნდა ჩაგვეყენებინა, რომ აპარატის მუშაობას გასცნობოდნენ. სერგო მაინცდამაინც კარგად არ იცნობდა თბილისს. ამიტომ, სულ ერთად ვიყავით სამუშაოზეც და სამსახურის მერეც. ყველგან დაგვყავდა. ვაჩვენეთ თბილისი. მცირე ხნით ჩიტაძის ქუჩაზე დავაბინავეთ, ცენტრალური კომიტეტის საერთო საცხოვრებელში. იქ რამდენიმე ახალგაზრდასთან ერთად ცხოვრობდა.

როცა დადგა ოჯახის შექმნის დრო და ცოლიც მოიყვანა, საცხოვრებლად სასტუმრო "აჭარაში" გადმოვიყვანეთ.

**- ქალბატონი მარინა თბილისში გაიცნო?**

- არა, მარინა გალელია და ერთმანეთს მანამდეც იცნობდნენ. "აჭარაში" მათ ნომერში, მეცხრე სართულზე, ხშირად ვიკრიბებოდით ხოლმე. ძალიან კარგი ურთიერთობები გვქონდა. ხშირად ვყოფილვარ სოხუმში, გალში, აქეთაც ჩამოდიოდნენ. ერთმანეთთან ოჯახებში ვსტუმრობდით. ჩემთან, ქუთაისში, სერგო რამდენჯერმე მყავდა. დედაჩემის გაკეთებული ხაჭაპური ძალიან მოსწონდა. ხინკალი პირველად ჩვენთან შეჭამა. მერე ვეხუმრებოდი ხოლმე: ხინკლის ხელში დაჭერა მე გასწავლე მეთქი.

1979 წელს ჟიულიმ მე ქუთაისში გადამიყვანა სამუშაოდ, სერგო კი აფხაზეთში კომკავშირის საოლქო კომიტეტის მდივნად დაინიშნა. როგორც სერგოს პარტიული "ნათლია" (რეკომენდაცია მე გავუწიე), სოხუმში კონფერენციას ჟიული შარტავასთან ერთად მეც ვესწრებოდი. კონფერენცია ძალიან კარგად ჩატარდა, სერგო მიიღო აქტივმა.

**- კიდევ რას გაიხსენებდით ერთად გატარებული ახალგაზრდული წლებიდან?**

- ჟიული შარტავას ინიციატივით, რუხის ციხესთან ტარდებოდა სრულიად საქართველოს ახალგაზრდობის შეხვედრები. იგივე ხდებოდა წითელ ხიდთანაც. ყველა რაიონი, ქალაქი იღებდა შეხვედრებში მონაწილეობას.

ეს იყო მართლაც ახალგაზრდობის ზეიმი. აფხაზები გადმოდიოდნენ ენგურის ხიდზე. რუხის ციხესთან ვიკრიბებოდით. აფხაზეთისა და ქუთაისის დელეგაციებს ერთი "შეფი" გვყავდა - ზუგდიდის ჩაის ფაბრიკა. ისინი იყვნენ ჩვენი ძირითადი მასპინძლები. იმართებოდა კონცერტები, შეხვედრები, სპორტული ღონისძიებები.

ასევე, ქუთაისსა და სოხუმში, ტარდებოდა "ახალგაზრდობის დღეები". ჩვენ ჩავდიოდით სოხუმში, სოხუმელები ჩამოდიოდნენ ჩვენთან. ეს ფოტოც ერთ-ერთი ასეთი შეხვედრის დროსაა გადაღებული.

**- კერძოდ, სად და როდის გადაიღეთ თქვენ და ბაგაფშმა ეს ფოტო?**

- ფოტო 25 წლის წინათ, 1980 წლის ნოემბერშია გადაღებული, გელათში, დავით აღმაშენებლის საფლავის გვერდით. ამ სურათზე მე და სერგო 32 წლისანი ვართ (ტოლები ვართ, ორივე 48-იანები). ნეტა, თუ მოვესწრები იმ დღეს, როცა მე და სერგო ისევ გადავიღებთ ფოტოს? თითქოს სიმბოლურად, ერთიანი საქართველოს მეფის, დავით აღმაშენებლის საფლავთან შევხვდით ერთმანეთს. საოცრად სიმბოლური ფოტოა!

როგორც მოგახსენეთ, ქუთაისში ტარდებოდა აფხაზეთის ახალგაზრდობის დღეები, დიდი დელეგაცია იყო ჩამოსული აფხაზეთიდან, გახსოვთ, ალბათ, მოხუცებულთა ცნობილი ანსამბლი ჰყავდათ. მაშინ სერგო უკვე კომკავშირის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი იყო, მე ქუთაისის კომკავშირულ ორგანიზაციას ვხელმძღვანელობდი. ოფიციალური შეხვედრების გარდა, სტუმრობისას, ვაჩვენეთ ქუთაისის ღირსშესანიშნაობები - ბაგრატი და გელათი.

სიმართლე, გითხრათ, ეს ფოტო აღარც კი მახსოვდა. ამას წინათ, ჩემი პირადი არქივის მოწესრიგება დავიწყე და მაშინ აღმოვაჩინე.

**- მასაც აქვს ეს ფოტო?**

- აუცილებლად ექნება, რადგან მაშინ წესად გვქონდა, ყველა შეხვედრაზე დაგვყავდა ჩვენი ფოტოგრაფი, რომელიც ფოტოებს გვიღებდა და მაშინვე, სასწრაფოდ ბეჭდავდა. ასე რომ, სტუმრებს წასვლისას, თან ფოტოების ალბომს ვატანდით ხოლმე. ამიტომ, არ შეიძლება, ეს ფოტო სერგოს არ ჰქონდეს.

**- ბოლოს, სად და როდის შეხვდით ბაგაფშს?**



*1980 წელი. ამირან აბესაძე და სერგო ბაგაფში დავით აღმაშენებლის საფლავზე.*

- 80-იანი წლებიდან ჩვენი გზები გაიყარა. სერგო რაიკომის მდივნად გადაიყვანეს, ხოლო მე ქუთაისიდან თბილისში გადავედი სამუშაოდ. ბოლოს ერთმანეთს 1988 წელს, სოხუმში შევხვდით. მაშინ მე უკვე სპორტის სფეროში ვმუშაობდი და მივლინებით ვიყავი სოხუმში. მერე ეს უბედურება დაიწყო და კონტაქტი აღარ გვქონია.

**- როგორც ახალგაზრდობის დროინდელი მეგობარი, რას გვეტყოდით მის შესახებ?**

- გულწრფელად გეუბნებით, თუ ვინმესთან შეიძლება დღეს დიალოგი - მასთან შეიძლება. მე არ ვამბობ, რომ იგი ხვალ ადგება და დაგვიბრუნებს აფხაზეთს, ეს ძალიან არასერიოზული იქნებოდა, მაგრამ არძინბასთან და სხვებთან შედარებით, მასთან ნამდვილად შეიძლება საუბარი.

ჟიულის დაღუპვის შემდეგაც მათი პოზიცია სულ სხვადასხვაგვარი იყო.

იმასაც გულწრფელად გეტყვით, რომ თავის დროზე, სანამ ეს უბედურება მოხდებოდა, ჩვენ, ანუ ის თაობა, ვინც ჟიულის გვერდით ვიყავით, რომ მივეშვით სასაუბროდ აფხაზებთან, შეიძლება საქმე სხვაგვარად წასულიყო. მე იმას კი არ ვამბობ, რომ ჩვენ აფხაზეთში ომს შევაჩერებდით, მაგრამ ბარიკადებს იქითა მხარეს მდგომ ხალხს რომ შევხვედროდით, ვისთანაც ჩვენ შეგვეძლო საუბარი, ვისთანაც გარკვეული ურთიერთობები გვქონდა, ვფიქრობ, უკეთესი იქნებოდა.

ეს ხომ წმინდა ადამიანური ფაქტორია, რომელიც, ალბათ, რაღაცას ნიშნავს. როგორ შეიძლება, მე სერგო მტრად აღვიქვა, როდესაც მისი მეჯვარე ვიყავი. არაფრით არ შეიძლება, ჩვენ მტრები ვიყოთ.

თუნდაც, ეს ფოტო ბევრ რამეზე მეტყველებს. მართალია, მას მერე ოცდახუთი წელია გასული, მაგრამ ვფიქრობ, შეიძლება რაღაცის აღდგენა.

დარწმუნებული ვარ, ახლა რომ ოფიციალურ დელეგაციასთან ერთად აფხაზეთში ჩავიდეთ, სხვებს ოფიციალურად შეხვდება, მე, ალბათ, სხვანაირად. ეს ფაქტორი მუშაობს კავკასიაში და ჯერ ჩვენთან გამოუყენებელია. წარსულის დავიწყება და ყველაფერი კარგისთვის ხაზის გადასმა შეუძლებელია.

ძალიან მინდა, რომ ახლაც, თუ ამ მასალას ნახავს სერგო (მგონია, ისინიც კითხულობენ ამ გაზეთს), კი არ გაღიზიანდეს, ან კი არ იფიქროს, რომ თბილისში სპეციალურად ეძებენ ასეთ ხალხს, არამედ ამ მოგონებებმა და შემთხვევით აღმოჩენილმა საერთო ფოტოსურათმა ჩვენს ურთიერთობებში დადებითი მუხტი შეიტანოს.

**- როგორც აფხაზური მენტალიტეტის კარგად მცოდნე, როგორ ფიქრობთ, რა ელის ჩვენს საერთო მომავალს?**

- ჩვენ, ქართველები, იცით, როდის ვიქნებით ვაჟკაცები?! როცა ვაღიარებთ, რომ ბევრ რაღაცაში შეცდომები დავუშვით. რაც ჩვენს შორის მოხდა, ხომ მიზანმიმართულად გაკეთდა?! ხომ ხელოვნურად მოგვახვიეს თავს?! შეცდომებს ახლაც ვუშვებთ - შევიდეთ ჯარითო, გავაკრათ ეს ხალხი კედლებზეო. მერე, რა გამოვა?! არაფრით არ შეიძლება ამის გაკეთება, ჩვენ აფხაზი ხალხი უნდა დავიბრუნოთ, მხოლოდ აფხაზეთის მიწა კი არა! მერე ყველაფერი მოგვარდება.

ხალხს რითი დავიბრუნებთ? მხოლოდ იმით, რომ კიდევ ერთხელ დავარწმუნებთ, რომ ჩვენ მათი მტრები არა ვართ. უნდა ვაღიაროთ დაშვებული შეცდომები (მე არ ვამბობ, რომ ზედმეტი დავიბრალოთ) და ერთმანეთს მივუტევოთ. არაა ახლა მუშტების "ბრაგუნის" დრო. ადრე არ ყოფილა ქართველებსა და აფხაზებს შორის ომი და მით უმეტეს, არც დაბრუნება იქნება ძალით გადასაწყვეტი.

მახსოვს, ცხონებული ჟიული სულ ამბობდა, რომ ჩვენ ერთად უნდა ვიყოთ. ამასთან დაკავშირებით, ერთ საინტერესო დეტალს მოგიყვებით. 1993-ში, გაზაფხულზე, როცა სოჭის მოლაპარაკებები დაიწყო და ჟიული აქტიურად ჩაერთო ამ საქმეში, ხშირად ამბობდა ხოლმე ამ სიტყვებს: "Грузины и Абхазцы, Абхазцы и Грузины". ამას იმიტომ იმეორებდა, რომ აფხაზები თანაბარ პოზიციაში ჩაეყენებინა. ჟიულიმ ესეც კი შესანიშნავად იცოდა.

ვფიქრობ, ერთმანეთისკენ სავალი ნაბიჯების გადადგმა მხოლოდ სუფთა გულით უნდა დავიწყოთ.

**- როდის იყავით ბოლოს სოხუმში?**

- სოხუმში ბოლოს 1988 წელს ვიყავი. გული ძალიან მწყდება, რომ ჩემი ბოლო ჩასვლისას ზღვა ძალიან ჭუჭყიანი იყო და ასეთი დამამახსოვრდა. კიდევ, 1991 წელს გორკიდან თბილისისკენ წამოსული, გავლით ვიყავი სოხუმში. ეს იყო და ეს. მას მერე აღარ მინახავს აფხაზეთი და სოხუმი.

ჩემი მოგონებები კი მინდა ერთი ისტორიით დავასრულო. 1978 წლის დეკემბრის შუა რიცხვები იყო. მაშინ აფხაზეთში მდივნად მუშაობდა ვასილ კადენეცი. მას სიდედრი გარდაეცვალა, რომელიც სოხუმის რაიონში ცხოვრობდა. რა თქმა უნდა, წავედით გასვენებაზე. მე და მამუკა ასლანიკაშვილი ერთად ჩავედით სოხუმში. გასვენების შედეგ, ტრადიციისამებრ, ეშერაში ცალკე სუფრა გაგვიშალეს. იქ იყვნენ დათო ფილია, სერგო ბაგაფში და სხვები. მე და მამუკა თვითმფრინავით უნდა გამოვფრენილიყავით უკან, მაგრამ სუფრამ ძალიან შეგვიყოლია, თვითმფრინავზე დაგვაგვიანდა.

მაშინ საიდ ტარკილი მუშაობდა ცკ-ში, ხოლო მამამისი სოხუმის აეროპორტის უფროსი იყო. საიდს "დაავალეს", მოეყვანა მამამისი. გვიან, შუაღამისას წავედით აეროპორტში. რა თქმა უნდა, ყველაფერი ჩაბნელებული დაგვხვდა. ჩვენ რომ მივედით, გააჩახჩახეს აეროპორტი. ვხედავთ, ერთადერთი თვითმფრინავი დგას ასაფრენ ზოლზე. სასწრაფოდ ჩაგვსვეს და გამოგვაფრინეს.

მეორე დღეს კი ვგებულობთ, რომ თურმე იმ თვითმფრინავით, დილის 7 საათზე, პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ბორის ადლეიბა თბილისში, ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაზე უნდა გამოფრენილიყო?! ასე დავტოვეთ ადლეიბა თბილისში ჩამოუსვლელი!

**იმარჯვებენ პროფესიონალები**



B2

**ნოვაციიდან საწყისებამდე**



B3

**თინეიჯერული სიტკბო**



B8

# პოტენციური პაპი

გაბრიელ გარსია მარკესი

*1999 წელს გაბრიელ გარსია მარკესი ვატიკანში შეხვდა და ესაუბრა კოლუმბიელ კარდინალ დარიო კასტრილიონ ოიოსს. იმჟამად კარდინალი კასტრილიონი პაპობის ერთ-ერთ ყველაზე რეალურ კანდიდატად ითვლებოდა. კარდინალის პიროვნებით აღფრთოვანებულმა მარკესმა დაწერა სტატია "პოტენციური პაპი", რომელსაც საკითხის აქტუალობის გამო გთავაზობთ.*



გაბრიელ გარსია მარკესი



კარდინალი დარიო კასტრილიონ ოიოსი

19 აპრილი, 1999, "ელ პაის"-ი

საწოლზე, რომელშიც სძინავს, პიო XII გარდაიცვალა. ბრინჯაოს სასთუმალთან დაკიდებული სურათი - სულიწმინდის გარდამოსვლა - ლეონ XIII-ს ეკუთვნოდა. აპარტამენტები, რომელშიც ცხოვრობს, იტალიისა და წმინდა რეზიდენციის გასაყარიდან ოცდაათიოდე მეტრში მდებარეობს და ვატიკანს ეკუთვნის. კაბინეტიდან პაპის საძინებლის ფანჯრები მოჩანს. ავეჯის უმეტესი ნაწილი ვატიკანის ანტიკვარებმა საუკუნეთა ქარიშხლებს გამოსტაცეს. დერეფნის, საძინებლებისა და კაბინეტის კედლებს თაროები ფარავენ, რომლებიც გავსებულია სხვადასხვა ენაზე დაწერილი წიგნებით თეოლოგიაზე, ფილოსოფიაზე, ეკლესიურ სწავლებაზე; აგრეთვე, ბერძენი და რომაელი კლასიკოსები და ცოტაც თანამედროვე ლიტერატურა.

ყველაფრის მიუხედავად, 69 წლის ასაკში კარდინალი დარიო კასტრილიონ ოიოსი ცხოვრობს და აზროვნებს კოლუმბიურად და სიამაყითაც ამჟღავნებს ამას, სანამ ოთახ-ოთახ გვათვალიერებინებს თავის სახლს. კიდია სურათები, სადაც წიგნები ამის საშუალებას იძლევა. ზოგიერთი ძველია, მაგრამ კოლუმბიური ხალხური ხელოვნება ჭარბობს და, ასე თუ ისე, უკავშირდება კარდინალის საეკლესიო ცხოვრებას. სამლოცველოში, სადაც ყოველი დილის ექვს საათზე იგი მესას წირავს, საკურთხეველი, ხეში პრიმიტიულად გამოთლილი ქრისტეს ფიგურით, კოლუმბიურად არის მოჩუქურთმებული. მისაღებ ოთახში ყველაზე შესამჩნევი და უჩვეულოა სურათი ბიბლიური ეპიზოდით: წმინდა სუსანა წყაროზე შიშველი ბანაობს, ხოლო ბუჩქებიდან ორი მოხუცი უთვალთვალებს. სურათის ავტორი ბუკარამანგელი (ბუკარამანგა - ქალაქი კოლუმბიაში) ხოსე რამონ ტარასონაა. მან კარდინალ კასტრილიონის (ბუკამარანგის არქიეპისკოპოსობისას) მიერ ორგანიზებულ რელიგიური ხელოვნების ჩვენებაზე პირველი პრემია მოიპოვა. ჟიური შოკში რომ არ ჩაეგდო, მხატვარმა ბოლო წუთს წმინდანს მანდილი მიახატა, მოგვიანებით - კიდევ ერთი მანდილი, რათა არქიეპისკოპოსისთვის მიერთმია.

სინამდვილეში ეს არწივისპროფილიანი ადამიანი ძალიან შორს არის კარდინალის აკადემიური სახისგან. მისი მომსახურე პერსონალი ორი მორწმუნე კოლუმბიელი ქალისგან შედგება, რომლებიც "საგრადა ფამილიას" (წმინდა ოჯახი - ე.კ.) კონგრეგაციას მიეკუთვნებიან. აღნაგობით სუსტები, მაგრამ ცოცხლები, სახლს მონასტრისთვის დამახასიათებელი, ოდნავ ბავშვური წესრიგითა და სისუფთავით ინახავენ. ოსტატურად ამზადებენ კოლუმბიურ რეგიონულ კერძებს და უკვე იტალიური კერძებიც აითვისეს.

კარდინალი კარგი მჭამელია, მაგრამ მისი გემოვნება უფრო ნოსტალგიურია, ვიდრე გასტრონომიული. უყვარს საუზმობა თავის რვა კაცზე გათვლილ სასადილოში, ხშირად კოლუმბიელ სტუმრებთან ერთად. ცოტა ხნის წინათ პრეზიდენტი ანდრეს პასტრანა თანმხლებ პირებთან ერთად გააოცა ანტიოქიური (ანტიოქია - კოლუმბიის ცენტრალური ნაწილი) საუზმით, რომელიც ლობიოს, არეპასა (არეპა - მჭადი) და ძეხვიანი ერბოკვერცხისგან შედგებოდა.

გასაოცარია, რომ სახლს სამღვდელოების წმინდა კონგრეგაციის პრეფექტის ხელფასით: ოთხი მილიონი ლირათი (რაც ორი ათას ხუთას დოლარზე ნაკლებია) ინახავს. ვატიკანს აქვს თავისი შიდა სუპერმარკეტი, სადაც ფასები ძალზე შეღავათიანია. ელექტრიკოსი სასადილო ოთახში მურანოს (მურანო - კუნძული იტალიის მფლობელობაში, ადრე ვენეციის კუთვნილება იყო. შუა საუკუნეებიდან მოყოლებული სახელი გაითქვა მინის წარმოებით) ჭაღის ჩამოსაკიდად 225.000 ლირას (დაახლოებით 120 დოლარი) სთხოვდა. მისაღებ ოთახს ჭაღი არ ანათებდა და კარდინალი მხოლოდ შუქის მესამედით კმაყოფილდებოდა. ძველ ფოლკსვაგენს თავად მართავს, რადგან ბიუჯეტი მძღოლს ვერ წვდება და თვეში მხოლოდ ერთი ავზი ბენზინი ეკუთვნის. მისი ხელმოკლეობა ძალზე ირონიულად გამოიყურება იმ უზარმაზარი თანხების ფონზე, რომელთაც ის სამსახურებრივად განაგებს: არც ერთი საეკლესიო გარიგება მსოფლიოში, რომლის მოცულობაც ნახევარ მილიონ დოლარს აღემატება, ვერ განხორციელდება მისი ნებართვის გარეშე.

ოთხი რამ იპყრობს ყურადღებას სულთა მწყემსის სახლში: როიალი ბიბლიოთეკაში, ელექტროტრენაჟორი და სტატიკური ველოსიპედი საძინებელში და მაღალი კლასის ძვირფასი კომპიუტერი კაბინეტში. როიალი ოჯახური რელიკვიაა. მასზე კარდინალმა რელიგიური მუსიკის შესწავლა დაიწყო, შემდეგ კი გულით უკრავდა კოლუმბიურ სიმღერებს და მაესტროების ზოგიერთ პიესას. "შოპენი?" - ვკითხე პროვოკაციულად. მან თავი გაიქნია: "შოპენი ბავშვებისთვისაა".

ველოსიპედი და ელექტროსასიარულო კი აუცილებელია იმ პირწავარდნილი თეოლოგისთვის, რომელმაც წლებს თავი არ დააჟანგვინა. ყოველთვის, როდესაც საშუალება ეძლევა, ვარჯიშობს წყლის თხილამურებით და ცხენოსნობაში. ველოსიპედი ელექტროსასიარულოთი შეცვალა და ყოველ დილით, სანამ ტელევიზორით ახალ ამბებს ისმენს, იყენებს მას. მაგრამ სურს ისევ მიუბრუნდეს ველოსიპედს, როცა გამოიგონებენ ისეთ ვიდეოს, რომელსაც პედლებით გააკონტროლებს.

კომპიუტერი, რაგინდ ძვირფასიც არ უნდა იყოს, სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია იმისთვის, ვინც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის მრევლთან მუდმივ და სწრაფ კონტაქტს საჭიროებს. ადრე ეს კეთდებოდა ფოსტით, საეპისკოპოსოებისა და კონგრეგაციების მეშვეობით. ახლა კი კარდინალი კასტრილიონი ამას თავისი ოთხმეგაბაიტიანი მულტიმედია კომპიუტერით აკეთებს, სადაც გვერდიც კი გახსნა.

სულ რამდენიმე კვარტალში მდებარეობს საეკლესიო კონგრეგაციის ოფისები, უზარმაზარი პრივილეგირებული ფანჯრებით, რომლებიც წმინდა პეტრეს მოედანს მთლიანად მოიცავს და საიდანაც პაპის სამუშაო ოთახის ფანჯრები ჩანს. იქ ინახება ვატიკანის ყველა ინსტანციის დოკუმენტი, იქ იყრის თავს ინფორმაცია და იქიდანვე იგებს თითოეული მღვდელი მსოფლიოში საეკლესიო საქმეებს. საქმიანობა კარდინალისთვის ცნობილ შვიდ ენაზე ხორციელდება: ესპანურის გარდა იგი ფლობს იტალიურს, პორტუგალიურს, ინგლისურს, გერმანულს, ფრანგულს, ლათინურსა და ბერძნულს. ამჟამად არაბულს სწავლობს.

ძნელი დასაჯერებელია, რომ ეს იშვიათი კოლუმბიელი, ხალხური კულტურისა და აღორძინების დროინდელი სიეშმაკის გამოუცნობი ნაზავი, ის ადამიანია, რომელიც კოლუმბიაში მებრძოლი მღვდლის სიმკაცრით მართავდა ორ ეპარქიას. როგორც ეტყობა, მას შემდეგ, რაც ოცდასამი წლის ასაკში სანტა როსა დე ოსოს სემინარიაში აკურთხეს, მან თავისი მღვდლობა გაითავისა როგორც ბრძოლა სოციალური სამართლიანობისთვის და მას შემდეგ, როგორც პოეტი, იღვწის შთაგონების ზებუნებრივი ნიჭით. ასე იყო, როდესაც ის ასრულებდა დამხმარე ეპისკოპოსის, შემდეგ კი ეპისკოპოს-რეზიდენტის ფუნქციებს პერეირაში ოცდაორი წლის განმავლობაში, მაშინაც, როდესაც გახდა ლათინური ამერიკის ეპისკოპოსთა საბჭოს (Celam - ე.კ.) პრეზიდენტი და გენერალური მდივანი, ბოლოს კი ბუკარამანგას არქიეპისკოპოს-მიტროპოლიტის რანგში, ვიდრე არ გაიწვიეს რომში, რათა აერჩიათ მეექვსე კოლუმბიელ კარდინალად.

"ისევე, როგორც ღარიბებს მოუწოდებდა გულმოდგინებისკენ, მოუწოდებდა მდიდრებს დოვლათის ჭკვიანური განაწილება-გადანაწილებისაკენ", - თქვა ერთ-ერთმა მისმა ძველმა მეგობარმა. პერეირაში, ერთ-ერთ მშვიდობიან და წარმატებულ ქალაქში, მეყავეების სიხარბესა და სპეკულანტობას დაუპირისპირდა. როდესაც მოწყალების ჩეკებს უგზავნიდნენ, რათა დაეცხროთ მისი სინდისი, უკან აბრუნებდა და გამომგზავნებს ავალებდა, მიეხედათ იმ უთვალავი მიუსაფრისთვის, ქუჩაში რომ ათევდა ღამეს.

თავისუფალი გიჟების ნათელ გონებასა და კეთილ გულს, რომლებიც შიმშილს მარტო ლაპარაკში იოკებდნენ, ის აღფრთოვანებაში მოჰყავდა. "რაც შეეხება ცხოვრებასა და ადამიანის უფლებებს, - იტყოდა ხოლმე კასტრილიონი, - გიჟმაჟებს მეტი სიმართლე აქვთ, ვიდრე გონიერებს". როდესაც დილა არა მხოლოდ მათხოვრების, არამედ ქუჩის მეძავებისა და ობლების მკვლელობებით თენდებოდა, მიხვდა, რომ ვიღაცა მის სოციალურ სამართლიანობას ველური მეთოდებით ახორციელებდა. ეპისკოპოსი პირდაპირ დაელაპარაკა პოლიციის უფროსს, რომელიც კანონდარღვევაში იყო ეჭვმიტანილი. მას ყურადღება არ მიაქციეს. მაშინ მან პოლიციის უფროსი პირადად ამხილა რესპუბლიკის პრეზიდენტთან. არც ამჯერად იყო პასუხი. ახლა უკვე საეკლესიო კათედრიდან იქუხა: "გუშინ საღამოს რამდენიმე ყმაწვილი ყავაზე დავპატიჟე. დილით ზოგიერთი მკვდარი იყო, დანარჩენები არ ჩანან. ბატონო პოლიციის უფროსო, მიპასუხეთ: სად არიან ჩემი შვილები?" პასუხმა არ დააყოვნა: გამქრალები გამოჩნდნენ, მაგრამ დახოცილები ვერავინ გააცოცხლა, ხოლო ბატონმა პოლიციის უფროსმა დატოვა ქალაქი.

როდესაც ნარკობიზნესი დაიმუქრა, აღეგავა პირისაგან მიწისა ქალაქი პერეირა, რათა შეეწინააღმდეგებოდა კანონს დამნაშავეთა გადაცემის შესახებ, ეპისკოპოსმა გადაიცვა სამოქალაქო ტანსაცმელი და გაემგზავრა მედელინში პაბლო ესკობართან (პაბლო ესკობარი - უმდიდრესი და უძლიერესი ნარკობარონი, რომელიც თავზარს სცემდა მთელ მსოფლიოს) შესახვედრად. ესკობარიც რძის დამტარებლად იყო გადაცმული. ესკობარი ქედმაღლურად შეეკითხა, თუ ვისი წარმომადგენელი იყო იგი. ეპისკოპოსმა მშრალად უპასუხა: "მე წარმოვადგენ იმას, ვინც შენ განგსჯის". მას (ესკობარს - ე.კ.) ცოტალა აკლდა, რომ აღსარება ეთქვა. არქიეპისკოპოსი დაინტერესდა: თუ ლოცულობდა, თუ ჰქონდა მიღებული პირველი ზიარება, თუ ინანიებდა დანაშაულებს. თან დასძინა, რომ ერთადერთი ცოდვა, რომელსაც ეკლესია არ პატიობდა, არის დანაშაული სულიწმინდის წინაშე. ესკობარი უკვე პატივისცემით, მოკრძალებულადაც კი პასუხობდა. იგი დიალოგის ფირზე ჩაწერასაც კი დათანხმდა. ბოლოს კი არქიეპისკოპოსს გადასცა ბარათი რესპუბლიკის პრეზიდენტისთვის: თუ მთავრობა გადაწყვეტდა, არ მოეხდინა მისი ექსტრადიცია, იგი იღებდა ვალდებულებას, გაეუქმებინა მედელინის კარტელი, ჩაებარებინა ქონება და შეიარაღება და ბოლო მოეღო ტერორიზმისთვის. მთავრობამ ეს წინადადება არ მიიღო. მაგრამ ის, რამაც შეძრა ეპისკოპოსი, გამომშვიდობებისას ესკობარის მიერ ნათქვამი სიტყვები იყო: "ნახევარი კოლუმბიის ამოჟლეტაც რომ მომიხდეს, ჩემს ცოლს რომ არ დამაცილონ, ხელიც კი არ ამიკანკალდება".

მოგვიანებით, ბუკარამანგის არქიეპისკოპოსობისას, მისთვის დრამად იქცა, ერთი მხრივ, პარტიზანების წინააღმდეგობრივი და დოგმატური ქმედებები და, მეორე მხრივ, სამხედროთა ნაჩქარევი მეთოდები. ორივე მხარე ერთსა და იმავე ცოდვებში ადანაშაულებდა ურთიერთს. არქიეპისკოპოსი კი მათ ასხვავებდა: "ტალახზე ჩექმის ნაკვალევით ვარჩევდი, სად იყვნენ ჯარისკაცები და სად - პარტიზანები". ყველაფრის მიუხედავად, მას ორივე მხარე ენდობოდა და მიმართავდა საშუამავლოდ.

იმ დროის ჯილდოთაგან ორივე ბანაკიდან გამოსროლილ ექვს ტყვიას გამოარჩევს. ისინი მან ჯარისკაცთა და პარტიზანთა შეტაკებისას ცეცხლში აკრიფა, ვერცხლის სადგარზე ერთად მოათავსა და დაარქვა: "მშვიდობის ტყვიები".

დღეს მას ნაკლები ილუზიები აქვს. ფიქრობს, რომ არც პარტიზანებს და არც მთავრობას არ გააჩნიათ კონკრეტული გეგმა ქვეყნისა, რომლის აშენებაც სურთ, და რომ ორმოცწლიანი ომის შედეგად გაჩნდა თაობა, რომლის მენტალიტეტსა და კულტურას ბევრი არაფერი აქვს საერთო დანარჩენ კოლუმბიასთან. "ნებისმიერი ამ გლეხთაგანი თავს მინისტრად გრძნობს და ცხოვრების წესი იარაღით მოიპოვა", - ამბობს კარდინალი. "ასე რომ, საჭიროა არა დიალოგი, არამედ ვაჭრობა. არავის არ სურს ძალაუფლების გადაცემა, თუ სანაცვლოდ რამე არ მიიღო. და არაფრის სანაცვლოდ არ გაიღებს იმას, რაც სისხლის ფასიც კი უზის".

ეჭვგარეშეა, რომ მისმა მოღვაწეობამ Celam-ის პრეზიდენტის პოსტზე განაპირობა დღევანდელი დაწინაურება. რონალდ რეიგანი დაჟინებით ამტკიცებდა, რომ ლათინური ამერიკის ეკლესია, პარტიზანებთან შეკრული, მონაწილეობდა შეიარაღებულ გადატრიალებაში. კარდინალმა მას დაუმტკიცა, რომ ერთია თანამზრახველობა და სულ სხვაა თანხვედრა სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლაში. "ნებისმიერ შემთხვევაში - დასძინა კარდინალმა - მე Celam-ის ეგიდით, ნუნცის (ნუნცი - რომის პაპის დიპლომატიური წარმომადგენელი) ნებართვით და ყოველთვის იოანე პავლე II ჩანაფიქრის მიხედვით ვმოქმედებდი.

მაგრამ, მეორე მხრივ, ის ფაქტი, რომ იშუამდგომლა პრეზიდენტ ჯორჯ ბუშთან, რათა შეერთებული შტატების ჯარი არ შესულიყო სანდინისტურ ნიკარაგუაში, არ არის გახმაურებული. მისი ძირითადი არგუმენტი იყო ის, რომ გორბაჩოვის "საჯაროობის" პოლიტიკის პირობებში საჭირო იყო მომავლის წარსულისგან გამოცალკევება.

კასტრილიონის იმდროინდელი დიპლომატიური ძალისხმევა იმდენად ინტენსიური და იმავდროულად ფრთხილი იყო, რომ ზოგიერთი გამოჩენილი ჟურნალისტი დარწმუნებულია: ის იყო საიდუმლო შუამავალი გორბაჩოვსა და შეერთებულ შტატებს შორის. კარდინალი ამას გადაჭრით, მაგრამ იმ მელანქოლიით უარყოფს, როგორც უარყოფს აღსარების კარგ საიდუმლოს.

1995 წლის ბოლო დეკადაში დაირხა ხმები, რომ არქიეპისკოპოს კასტრილიონს რომში გაიწვევდნენ.

1996 წლის დასაწყისში ვატიკანში შეკრებილ კოლუმბიელ ეპისკოპოსთა ჯგუფს პაპი იდუმალი ფრაზით შეხვდა: "უნდა გავაკოლუმბიელო კურია" (კურია - პაპის ძალაუფლების უმაღლესი მმართველი ორგანო). ეს ფრაზა ვერავინ გაიგო იმავე წლის პირველ ივლისამდე, როდესაც ბოგოტის ნუნციატურამ სასწრაფოდ გამოიძახა არქიეპისკოპოსი, რათა ემცნოთ მისთვის, რომ დაინიშნა საეკლესიო კრებულის პრო-პრეფექტად, რეზიდენციით რომში. ეს გზას უხსნიდა მას კარდინალობისკენ მომდევნო კონსისტორიაში (კონსისტორია - საეკლესიო საქმეთა მართვის ორგანო).

კასტრილიონი რამდენჯერმე იყო ნამყოფი რომში, იცნობდა პაპს. მათ უსაუბრიათ ლათინურ ამერიკაზე, განსაკუთრებით კი კოლუმბიაზე. მიუხედავად ამისა, როდესაც პაპმა იგი პრო-პრეფექტის რანგში პირველად მიიღო, მიმართა მას, არა როგორც ყოველთვის, ნათლობის სახელით - "დარიო", არამედ მეორე გვარით: (ესპანურენოვან სამყაროში მიღებულია ორი გვარი: მამის და დედის პირველი გვარი). "გამარჯობა, ოიოს". კასტრილიონმა აღიქვა ეს როგორც ფარული ნიშანი იმისა, რომ ვერ გახდებოდა კარდინალი.

ის შეცდა. ქრისტესმიერი სახელით დარიო, ერთადერთი შვილი მანუელ კასტრილიონ კასტრილიონისა და მარია ოიოს სალასისა, დაბადებული მედელინში 1929 წლის 11 ივლისს, მეოცნებეთა ზოდიაქოს ნიშნით - კიბორჩხალი, 1998 წლის 23 თებერვალს ხელდასმულ იქნა წმინდა კათოლიკური ეკლესიის კარდინალ დიაკვნად და ფორო დე ტრახანოს უწმინდესი მარიამის სახელობის ტაძრის წინამძღვრად. მასთან ერთად კიდევ ოცდაერთი კარდინალი აკურთხეს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან. გარდა ხალხთა ევანგელიზაციის კონგრეგაციის მდივნის, ხორვატიელი ჯუზეპე კუიაკისა, რომელიც წინა ღამით გარდაიცვალა. ლიონის არქიეპისკოპოსი ჟან ბალანი ორი თვის წინ გარდაიცვალა. იტალიელ სანტოსის პრო-პრეფექტს, იტალიელ ალბერტო ბოვონეს კარდინალის სანი რომის ერთ-ერთ კლინიკაში მყოფს უბოძეს. ის ცოტა ხანში გარდაიცვალა.

სულ უფრო და უფრო მოხიბლული, თუ რა შინაურული ბუნებრიობით მიყვებოდა კარდინალი თავისი ცხოვრების დიდ ნახტომებზე, ვკითხე: "არ გეშინიათ, როცა თქვენს თავს ასეთი ამბები ხდება?" თავისი საიდუმლო მან ძალიან უბრალოდ გამანდო: როდესაც რიგითი მღვდელი იყო, გამოიგონა ძალიან მოკლე, თითქმის წამიერი ლოცვები. და უცილებლად იმეორებს მათ, სანამ მძიმე საქმეს შეუდგებოდეს. "მაგალითად, - მითხრა, - შეხვედრის წინ ყოველთვის ვლოცულობ". და გახალისებულმა დასძინა: "განსაკუთრებით ვილოცე ამ შეხვედრის წინ".

მისი კურთხევიდან მხოლოდ თოთხმეტი თვე გავიდა, მაგრამ ძალზე თავისუფლად დაიარება როგორც იტალიის რეალურ, ისე ვატიკანის ეფემერულ ცხოვრებაში. იგი გაბნეულად პასუხობს შვეიცარიელ გვარდიელებს, რომლებიც სწორებაზე დგებიან, როდესაც გაივლის. პროფესიონალი ტურისტული გიდივით აღწერს ადგილებს და მათ ისტორიას. ვერ იტყვი, რომ მას აწუხებდეს ფელდმარშლობა უზარმაზარი, დროის არმქონე იმპერიისა, რომლის ფართობი მხოლოდ 0,44 კვადრატული კილომეტრია და ჰყავს ათასობით მილიონზე მეტი მიმდევარი მთელ მსოფლიოში და წმინდანეთის ყველა წმინდანი. კარგ გუნება-განწყობას არც ის უხილავი ძაფი უფუჭებს, რომელიც მას ისტორიაში ყველაზე დიდ არმიასთან აკავშირებს: "ოთხას ერთი ათასი ძირითადი მღვდელი, რომლებიც მის შესახებ ყოველდღიურად იგებენ ამბავს და კომპიუტერში შვიდ ენაზე ცნობენ მის ხმას. დანარჩენი ოთხასი ათასი, რომლებიც მონასტრებსა და რელიგიურ თემებს ეკუთვნიან, არ არიან მასზე დამოკიდებული, მაგრამ პატივს მიაგებენ, როდესაც რელიგიურ აქტებს ახორციელებენ, მაგალითად, ქადაგებას ან ნათლობას.

მისი პირადი ურთიერთობა პაპთან არის კარგი და ხშირი. ხოლო თავის სამინისტროს საქმეებთან დაკავშირებით აქვს მასთან განსაკუთრებული აუდიენციები. უმაღლესი პონტიფიკოსის ბევრ შეზღუდვათაგან გამორჩეულია ორი: არ შეიძლება ტელეფონით დალაპარაკება და ოფიციალურ სადილზე მხოლოდ ცამეტი ადამიანი უნდა იჯდეს - უკანასკნელი სერობის პატივსაცემად და ცრურწმენის საწინააღმდეგოდ, რომ ერთ-ერთი გამცემია. "გამცემები შენაცვლებადი არიან", - ნათქვამია. პაპი შინაურულ სადილებსაც აწყობს მხოლოდ სამი პერსონისთვის: თავად, ერთი სტუმარი და ერთიც მოწმე. სხვადასხვა დროს, სხვადასხვა მიზეზით, სტუმარი კარდინალი კასტრილიონი იყო. სხვა ჩვეული სტუმრები არიან კარდინალები როჟე ეჩეგარაი საფრანგეთიდან და იტალიელი კამილო რუინი.

შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ საზოგადოებრივი აზრი მათ პოტენციურ პაპებად მიიჩნევს. სულ ახლახან კასტრილიონი გამოარჩია იმ ფაქტმა, რომ იგი უმაღლესი პონტიფიკოსის ერთ-ერთი დამხმარე იყო ვნების კვირის ცერემონიებზე და მირონცხების მესაზე.

რაც უფრო სუსტდება პაპის ჯანმრთელობა, ამ ყოველდღიურ მოვლენებს ავგურები (ავგურები - წინასწარმეტყველები ძველ რომში), აგროვებენ როგორც მემკვიდრეობითობის ნიშნებს. სინამდვილეში ყველა კარდინალს აქვს შანსი. მეტიც: იმის მოთხოვნაც არ არის, რომ იყო ბერი ან უცოლო, ნებისმიერ მონათლულ მამაკაცს შეუძლია გახდეს პაპი. ქრისტიანობის ისტორიაში არის გამორჩეული შემთხვევები. კასტრილიონის მომხრეები ეყრდნობიან მის სრულ იდენტიფიკაციას იოანე პავლე მეორესთან და იმას, რომ პაპი მას აშკარად ექცევა როგორც შეგირდს. ამ მხრივ საჭიროა მესამე სამყაროს: აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხმებზე ფიქრი. გარდა ამისა, სანამ მას კარდინალად გახდიდა, პაპმა ამერიკათა სინოდის თანათავმჯდომარეობა დააკისრა. ეს არის ეპისკოპოსთა საერთო კრება, რომელმაც შეაფასა ეკლესიის მიერ გაწეული სამუშაო და მესამე ათასწლეულის მიზნები დასახა. აქედან გამომდინარე, მას აქვს შანსი შეაგროვოს ხმები შეერთებული შტატებიდან და კანადიდან. ჯამში: ოთხასი მილიონი, რაც მსოფლიოს კათოლიკეთა თითქმის ორმოცდაათ პროცენტს შეადგენს.

ეს იყო ერთადერთი თემა, რომელიც ჩვენ არ განგვიხილავს სამდღიანი სადილებისა და ნაშუადღევს მანსანილიის (მანსანილია - თეთრი ღვინის სახეობა) წრუპვისას. არც შესანიშნავი არგენტინელი ტენორის ხოსე კუერას კონცერტზე სანტა მარია დე ლოს ანხელეს ბაზილიკაში, არც ნოსტალგიის გრძელ საათებში და არც დიდი შაბათის დღეს. მაგრამ რამდენჯერაც არ შევეცადე, მომესინჯა კარდინალის აზრი მოარულ ხმებზე მისი პონტიფიკოსობის შესახებ, მან ყოველთვის ელეგანტურად აარიდა თავი პასუხს. კიდევ უფრო ელეგანტური იყო მისი პასუხი გამომშვიდობებისას: "ვიმედოვნებ, ღმერთი კიდევ დიდხანს აცოცხლებს პაპს, რათა სწორედ მან ილოცოს ჩემს საფლავზე". მაგრამ როდესაც ერთმა მეგობარმა, რომელსაც ბედი უფრო სწყალობდა, ვიდრე მე, ჰკითხა, სურდა თუ არა მას, რომ აერჩიათ პაპად, კარდინალმა უპასუხა, როგორც პაპმა: "არ შეიძლება უთხრა არა სულიწმინდას".

*ესპანურიდან თარგმნა*
*ელეონორა კუჭავამ*

B2 რევიუ B3 რევიუ B4-5 სპორტი B6 ევროისტორია B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა




## კონცერტი

**ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი**
ჯო ზავინული და Zawinul Syndicate
დას: 20:00 სთ.

**კონსერვატორიის დიდი დარბაზი**
ფრანსუა ლოლოს სახელობის ჩასაბერ საკრავთა V კონკურსი
დას: 19:00 სთ.

## თეატრები

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
მარიუს ფონ მაინბურგი
"ცივი ბავშვი"
რეჟისორი: გურამ ბრეგაძე
დას: 20:00 სთ.

**სამეფო უბნის თეატრი**
ლაშა ბუღაძე
"ნუგზარი და მეფისტოფელი"
რეჟისორი: გიორგი თავაძე
დას: 19:00 სთ.

**ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრი**
მარიო სანტანელი
"დედა-დედოფალი"
კითხულობს: მურმან ჯინორია, სოფიკო ჭიაურელი
დას: 18:00 სთ.

## კინოთეატრები

**რუსთაველი**
"გარეკილები"
დას: 20:00 სთ.

"რობოტები"
დას: 13:30; 15:30; 17:30 სთ.

"გოგონა მილიონ დოლარად"
დას: 22:00 სთ.

**ამირანი**
"ზარი2"
დას: 20:00; 22:00 სთ.

"რობოტები"
დას: 12:00; 14:00; 16:00; 18:00 სთ.

## გამოფენები

**ჯანაშიას სახელობის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმი**
"ოქრომრავალი კოლხეთი - მითი და რეალობა"
(ვანის გათხრების დროს აღმოჩენილი ნივთების ექსპოზიცია)

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
"თიხიანი ხელები"
მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა

**TMS**
თაკო შანშიაშვილის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა

**ეროვნული გალერეა**
საგაზაფხულო გამოფენა
(ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება)

**ჰობი**
ბავშვთა ნახატების გამოფენა-კონკურსი

**ცენტრ-პოინტის გალერეა**
ლია ბაგრატიონის ნამუშევრების გამოფენა "ფორმის ფორმა"

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*

## საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი აცხადებს კონკურსს

**სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის** წარმოების დასაფინანსებლად

გამარჯვებული პროექტ(ებ)ი ეროვნული კინოცენტრის მიერ დაფინანსდება მაქსიმუმ 75%-ით

პროექტების შემოტანის ბოლო ვადაა 2005 წლის 31 მაისი, 17:00 სთ.

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი აცხადებს კონკურსს

**მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმის** წარმოების დასაფინანსებლად გამარჯვებული პროექტ(ებ)ი ეროვნული კინოცენტრის მიერ დაფინანსდება მაქსიმუმ 75%-ით

პროექტების შემოტანის საბოლოო ვადაა 2005 წლის 20 მაისი, 17:00 სთ.

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი აცხადებს კონკურსს

**დოკუმენტური ფილმის** წარმოების დასაფინანსებლად გამარჯვებული პროექტ(ებ)ი ეროვნული კინოცენტრის მიერ დაფინანსდება მაქსიმუმ 75%-ით

პროექტების შემოტანის საბოლოო ვადაა 2005 წლის 20 მაისი, 17:00 სთ.

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი აცხადებს კონკურსს

**ანიმაციური ფილმის** წარმოების დასაფინანსებლად გამარჯვებული პროექტ(ებ)ი ეროვნული კინოცენტრის მიერ დაფინანსდება მაქსიმუმ 75%-ით

პროექტების შემოტანის საბოლოო ვადაა 2005 წლის 20 მაისი, 17:00 სთ. დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ საქართველოს ეროვნულ კინოცენტრს:

0105 თბილისი, მარჯვენა სანაპიროს 4

ტელ/ფაქსი: 98 42 01 E-mail: kinocentre@myoffice.ge

# მუნდშტუკიანი კაცის ნაამბობი

### ოტია იოსელიანი ტყის ბინადრების და წიგნის სარგებლობის შესახებ

ია ვეკუა

რაც უნდა ბევრი ისაუბროს პოლიტიკაზე, ურმის გადაბრუნების შემდეგ გამოჩენილ გზასა და სხვა ზოგადსაკაცობრიო საკითხებზე, ოტია იოსელიანი მაინც საბავშვო მწერლად რჩება. მას შემდეგ, რაც უმცროს იოსელიანს "დაჩის ზღაპრები" მიუძღვნა, დიდი დრო გავიდა, ავტორსაც მოემატა წლები, მაგრამ არაფრით ივიწყებს თავის ყველაზე ერთგულ მკითხველს. "ხელისგულისტოლა ზღაპრები" ოტია იოსელიანის ახალი კრებულია, რომელშიც, მართლაც, ამ ზომის იგავური ჟანრის ზღაპრები შევიდა.

ახალ წიგნში თავმოყრილი 80-მდე ზღაპრის პერსონაჟები ცხოველები არიან. ავტორი რატომღაც ნაკლებად სწყალობს შინაურ ცხოველებს და პატარებს, ძირითადად, ტყის ბინადართა შესახებ მოუთხრობს. ამ "ზოოპარკში" მხოლოდ თითოოროლა კატა, ძაღლი, თხა, ხარი, ღორი და თაგვი თუ გამოერევა. მგლები, ირმები, არწივები, ჩხიკვები და მღრღნელები კი, რამდენიც გინდათ, იმდენია.

"წიგნი უნდა იკითხოთ, ბიძიკოებო, წიგნი! რაც კაცობრიობას უაზროვნია, ის არის თავმოყრილი წიგნში და თუ არ წაიკითხავთ, ისევ გამოქვაბულში დაბრუნდებით! ისე, ახლანდელი და გამოქვაბულის დროინდელი ბავშვი, ორივე ერთია - ცოდნა არც ერთს არა აქვს. ამის მაგალითია მაუგლი: მოხვდა მგლებთან და გახდა მგელი. აკადემიაში რომ მოხვედრილიყო, ხომ გახდებოდა აკადემიკოსი. რომ ჰკითხოთ, ყველა ქართველი ნიჭიერია, მაგრამ მათი გაკეთებული საქმე თუ გინახავთ?!" - ასე მოძღვრავდა "ხელისგულისტოლა ზღაპრების" პრეზენტაციაზე მისულებს მეზღაპრე.

ახალი კრებული ოტია იოსელიანმა გამომცემლებთან ერთად წიგნის ახლად გახსნილ მაღაზია "დაჩიში" წარადგინა. მაღაზია ჟურნალ "დაჩის" ერთგვარი დამატებაა და მხოლოდ საბავშვო ლიტერატურისთვისაა განკუთვნილი, თუმცა, რაღაც ზღაპრულ-ჯადოსნური ძალის წყალობით დახლებზე შოთა იათაშვილის ცოტა ხნის წინ "ნაკურთხი" და აშკარად არა-


გოგი დოლიძე, ოტია იოსელიანი და ვახუშტი კოტეტიშვილი

საბავშვო "ფოტომამები" და, რაც მთავარია, ალან კარის "ბოლო სიგარეტი" აღმოჩნდა. თუმცა, სხვა მხრივ, მაღაზიას არაფერი დაეწუნება და როგორღაც "ბოლო ღერის" პატიებაც შეიძლება.

ოტია იოსელიანი კი კვლავ აგრძელებდა: "ეს წიგნი ბოლო დროს დავწერე. "დაჩის ზღაპრებისგან" განსხვავებით, მასში შესული ზღაპრები ყველა ბავშვს მივუძღვენი". ავტორს ვახუშტი კოტეტიშვილიც მიესალმა და აღნიშნა, რომ ოტია იოსელიანი თავად არის ზღაპრის გმირი და ისურვა, რომ ოტია ბაბუას წიგნებით, რაც შეიძლება, მეტმა ბავშვმა გაიხაროს.

როგორც აღინიშნა, ოტია იოსელიანი ამჯერად თავს არიდებს ზღაპრის ტრადიციულ ჟანრს და იგავის ენით მეტყველებს. წიგნიდან ვიგებთ, რომ "არწივს დამგვანება არწივს არ ნიშნავს", იმისთვის რომ გველი სიბრძნეს ეზიაროს, უნდა განმარტოვდეს, იმარხულოს, იშიმშილოს და ხვრელიდან ხვრელში გაძვრეს. შემდეგ გვეკითხება: "ლომიც ხომ ცხოველია და რატომაა შეუზღუდავი უფლებამოსილი და არაა გათანაბრებული, ვთქვათ, თუნდაც ვეფხვთან, დათვთან და მგელთან?" და უკვირს: "ძაღლი კატას ვერ ჰგუობს, კატა - ძაღლს. არადა, ერთ სახლში ცხოვრობენ, ერთი ეზო აქვთ და ერთი პატრონი ჰყავთ!"

"ხელისგულისტოლა ზღაპრები" საბავშვო გამომცემლობა "დაჩის" მიერაა დასტამბული. ილუსტრაციები ზაალ სულაკაურს ეკუთვნის, რომელიც საკმაოდ გარჯილა. მისი კბილებდაკრეჭილი მგლები, ყურცანცარა ბაჭიები და ფუმფულა მელიები წიგნის ყველა გვერდზე ცხოვრობენ.

# იმარჯვებენ პროფესიონალები

### "ნესტლეს" კონკურსის შედეგები

ვერა ნეფარიძე

*მართალია, კომპანია "ნესტლეს" კონკურსი თანაბარ შანსს აძლევდა პროფესიონალ და მოყვარულ ფოტოგრაფებს, მაგრამ, როგორც შედეგებმა აჩვენა, გამარჯვებულები მხოლოდ პროფესიონალები არიან. მარიკა ამურველაშვილი, რამაზ ნაცვლიშვილი და ლევან ხერხეულიძე, - სწორედ მათ მოიპოვეს გამარჯვება კომპანიის მიერ სეზონურ ფოტოკონკურსში - "ნესტლე საქართველოში".*


ერთ-ერთიგამარჯვებული, ლევან ხერხეულიძე დიპლომით (ცენტრში).

კონკურსის პრინციპი საკმაოდ მარტივი იყო. შარშან, მთელი წლის განმავლობაში, კონკურსის გამოცხადების დღიდან კომპანიის წარმომადგენლები იღებდნენ ფოტონამუშევრებს, საიდანაც საუკეთესოები მათთან ერთად გალერეა "კოპალაში" შეკრებილმა საზოგადოებამაც შეარჩია. მართალია, საკონკურსო ნამუშევრების ავტორებისთვის არავის წაუყენებია პირობა, რომ ფოტოები "ნესტლეს" პროდუქციის ამსახველი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ვინაიდან ღონისძიება ამ კომპანიის პროდუქციის რეკლამირებისთვის მოეწყო, ცხადი იყო, რომ შერჩევისას უპირატესობა სწორედ იმ ნამუშევრებს მიენიჭებოდა, სადაც "ნესტლეს" საფირმო წარწერები და ნიშნები იქნებოდა დომინანტი. შესაბამისად, ფოტონამუშევრებიდან ზოგიერთი მეტად პრიმიტიულიც იყო, თითქოს სარეკლამო ფოტოს ნაკლებად სჭირდება იდეაზე მუშაობა და შესრულების ოსტატობა, მხატვრულთან შედარებით. თუმცა, კარგია, რომ არჩევანის საშუალება იყო და ჟიურიმაც (რომელსაც პროფესიონალ ფოტოგრაფთან ერთად კომპანიის წარმომადგენლები შეადგენდნენ) შეძლო სწორი არჩევანის გაკეთება. არჩევანი კი, ნამდვილად რომ ასეთი იყო, ეს გუშინვე ცხადი გახდა, როდესაც ჟიურისა და დამთვალიერებელთა აზრი ერთმანეთს დაემთხვა.

გალერეა "კოპალას" გუშინდელ სტუმრებს საბოლოო შედეგებზე ზეგავლენის საშუალება მიეცათ. კონკურსის სამი გამარჯვებულიდან ორის ნომინაცია იყო: "შემოქმედებითი ჯილდო" და "ნესტლეს პრიზი", - ორივეს შორის საუკეთესოები ჟიურიმ გამოავლინა; რაც შეეხება მესამეს - "საზოგადოების სიმპათია", ის გალერეის სტუმრებმა საგანგებოდ დარიგებული ბარათების დახმარებით შეარჩიეს.

საზოგადოებისა და ჟიურის არჩევანი რომ დაემთხვა ერთმანეთს, მაშინ გაირკვა, როდესაც "შემოქმედებითი ჯილდოს" მფლობელმა (დიპლომთან ერთად მას 300 ამერიკულ დოლარსაც გადასცემენ) მარიკა ამურველაშვილმა და მისმა ნამუშევარმა მე-10 ნომრით, დამთვალიერებლის ყველაზე მეტი ხმა მიიღო. ფოტოს, რომელზეც ავტორის 2 წლის შვილია გადაღებული, "ნესტლეს" ფაფების ქაღალდებისგან შეკრულ ნავთან ერთად, ერთი თვალის შევლებითაც ეტყობა, რომ ავტორს მასზე საკმაოდ ბევრი უფიქრია. სწორედ ეს დააფასა ჟიურიმაც - ნომინაციასაც ხომ ასე ერქვა: "შემოქმედებითი ჯილდო". უდავოდ კარგი იდეა მიეწოდა "ნესტლეს" საკუთარი პროდუქციის რეკლამირებისთვის რამაზ ნაცვლიშვილის ფოტონამუშევრით, რომელიც ჟიურიმ "სპეციალური პრიზითა" და 200 დოლარით დააჯილდოვა; ვფიქრობ, პროფესიონალი ფოტოგრაფის იდეას "ნესტლეს" წარმომადგენლობაში კიდევ უფრო კარგად დაამუშავებენ და საკმაოდ კარგ შედეგსაც მიიღებენ. რაც შეეხება მესამე პრიზიორს, აქ ჟიური გარკვეული დილემის წინაშე აღმოჩნდა, რადგან საზოგადოების სიმპათია მარიკა ამურველაშვილის ფოტომ მიიღო; თუმცა, ორგანიზატორებს ეს ნიუანსი გათვალისწინებული ჰქონდათ; ამგვარად, ლევან ხერხეულიძის მეშვიდე ნომრით გასული ფოტო (რომელზეც გიორგი ასანიძის "ნესტლეს" შოკოლადით მოსვრილი ტყუპები არიან გადაღებული), რომელიც მარიკას ნამუშევრის შემდეგ, ყველაზე მეტად მოიწონა დამთვალიერებელმა (და სრულიად სამართლიანადაც), გახდა "მაყურებლის სიმპათიის" ტიტულისა და 200 დოლარის მფლობელიც. ასე რომ, კონკურსზე, რომელზეც პროფესიონალებთან ერთად თანაბარი შანსი ჰქონდათ მოყვარულ ფოტოგრაფებს, მაინც პროფესიონალებს მიენიჭათ უპირატესობა. ექსპოზიციაში (19 ფოტოსგან შედგებოდა) კიდევ რამდენიმე უდავოდ კარგი ნამუშევარი იყო (მაგალითად: ბესო ხაინდრავასი, გოგა ჩანადირის...), თუმცა, კონკურსს მხოლოდ სამი გამარჯვებული უნდა ჰყოლოდა.

# საჩუქარი ყველას, ვინც პატარა იყო

### კინორეჟისორის საავტორო სპექტაკლი

სოფო კილასონია

*თოჯინების თეატრი და ჯადოსნური ღამე, რომელიც ას წელიწადში ერთხელ დგება და მთელი თეატრიც ცოცხლდება. მერე მოგზაურობა ზღაპრულ სამყაროში, სადაც ყველაფერი ილუპება და პატარა გმირიც თავს წირავს საკუთარი ოცნების სიმბოლური სახების - მშვენიერი ბალერინას გადარჩენის მიზნით. სულ მალე ვაკის თეატრალურ სარდაფში დაახლოებით ასეთი შინაარსის სპექტაკლი გათამაშდება.*

ის, რომ ქართველი კინორეჟისორები სხვადასხვა საქმიანობით არიან გატაცებული, დიდი ხანია აღარავის უკვირს. ჩვენს გაოცებას ის უფრო იწვევს, თუ რომელიმე მათგანი კინოთეატრში, დიდ ეკრანთან დაგვითქვამს პაემანს.

კინორეჟისორი ნანა ჯანელიძე, რა ხანია, თეატრალურ ცხოვრებაში, მის ორომტრიალში ჩაერთო და შეიყვარა ეს სამყარო. სარდაფის მაყურებელი კარგად იცნობს მის ორ სპექტაკლს "ანტიგონესა" და "FM 90-იანელი ადამიანის ხმას". ...საღამოს ექვსი საათი ხდებოდა, როცა იგი მსახიობებთან ერთად სარდაფიდან გამოვიდა და ფოიეში გამესაუბრა. შეხვედრამდე უკვე ვიცოდი, რომ ამჟამად იგი საკუთარი პიესის მიხედვით სპექტაკლს, უფრო ზუსტად, მუსიკალურ ფეერიას დგამს, რომელსაც სახელად ერქმევა "საჩუქარი - დიდები, როცა პატარები იყვნენ". ნანა ჯანელიძე მიიჩნევს, რომ საკუთარი ნაწერის განხორციელება ბევრად უფრო ადვილია, ვიდრე სხვისი: **"ამის პრაქტიკა გავიარე "ნატვრის ხეზე" ბატონ თენგიზ აბულაძესთან ერთად მუშაობისას. იმის მიუხედავად, რომ "ნატვრის ხე" გიორგი ლეონიძის მიმართ არაჩვეულებრივი ერთგულებითაა შექმნილი, მაინც საავტორო ფილმია. ბატონმა თენგიზმა ასე გაგვზარდა, საავტორო მიდგომა ძალიან გაგვიღრმავა. ამიტომ ბევრად უფრო მეადვილება საერთოდ მუშაობა და ამიტომაც ჩემი ყველა ფილმის სცენარის ავტორიც თავად ვარ."**

მისთვის თეატრი ურთულესი და არაჩვეულებრივი ჯადოსნური სამყაროა, რომელთან მიახლოება დიდ გამბედაობას საჭიროებს. დრამატული თეატრი ნანა ჯანელიძისთვის არც უბრალოდ გატაცება ყოფილა ოდესმე და არც ის საქმიანობა, რომელიც კინოზე მუშაობას მონატრებულ რეჟისორს ანუგეშებს. თეატრი მისთვის, როგორც შემოქმედისთვის, საკუთარი სათქმელის გამოსახატავად ახალი ფორმების ძიების შედეგია. თუმცა, როგორც თავად ქალბატონმა ნანამ გამიმხილა, რომ არ ყოფილიყო ქართულ კინოსთან დაკავშირებული სირთულეები, დღედაღამ ფილმზე იმუშავებდა და თეატრში მისვლა აზრადაც არ მოუვიდოდა. **"ადამიანი ყოველთვის ეძებ ფორმას, რომ გამოხატო სათქმელი. ამ შემთხვევაში ჩემთვის ეს არის თეატრი. ვფიქრობ, თეატრი ბევრად უფრო რთულია, ვიდრე კინო. აქ ხომ ცოცხალ ადამიანს უნდა აუწყო მთელი სასცენო ცხოვრება. ბევრად უფრო ცოცხალ პროცესებთან მაქვს საქმე. კინოში არის მონტაჟი და კადრს მიღმა შეიძლება იგულისხმო უამრავი რამ. აქ ხომ ასეთი რამ შეუძლებელია."**


ნანა ჯანელიძე

ახალ სპექტაკლში, რომელსაც მხატვრულად გოგი მიქელაძე, ხოლო მუსიკალურად მიხეილ მდინარაძე და თეონა მაისაშვილი გააფორმებენ, ნანუკა ხუსკივაძე, ბაია დვალიშვილი, კახა მიქიაშვილი, ვახო კალანდაძე და თეატრალური სადრაფის სტუდიის მსახიობები მიიღებენ მონაწილეობას. სპექტაკლში დიდი მნიშვნელობა ენიჭება პლასტიკას, რაშიც რეჟისორსა და მსახიობებს რამდენიმე ქორეოგრაფი (კოტე ფურცელაძე, ჯემალ ხუნდაძე და ილიკო სუხიშვილი) ეხმარება.

**"ჩვენ უნდა გავახსენოთ ადამიანებს, რომ ჩვენი ნამდვილი "სამშობლო" უმშვენიერესია და მუდამ უნდა გვახსოვდეს ის სამშობლო, საიდანაც მოდის - ანუ ბავშვობა",** - გვითხრა ნანა ჯანელიძემ საუბრის დასასრულს. თეატრალებსა და თეატრალური სარდაფის ერთგულ სტუმრებს კი წინ პრემიერა ელით - მორთულ-მოკაზმული ზღაპრული სამყარო, შექმნილი და შეთხზული ერთადერთი მიზნით: მთლიანად მოგვწყვიტოს რეალობას და, როგორც რეჟისორმა თქვა, უფრო დიდ რეალობაში, ბავშვობაში გაგვიტყუოს. ბავშვობაში, სადაც მიკარგული და დავიწყებული ოცნებების პოვნა და გაცოცხლება იქნება შესაძლებელი.

# ნოვაციიდან საწყისებამდე

## მიმესკების თეატრი და ახლებური პლასტიკა

სოფო კილასონია

*ცხოვრებაც ხომ თამაშია - ხშირად გვითქვამს ეს პლაკატური ფრაზა ადამიანებს, განსაკუთრებით ხშირად კი - მსახიობებს. შესაძლოა, თამაშის მომენტებს ცხოვრებაში ამ საქმის ოსტატები ბევრად უკეთ გრძნობენ და ხედავენ, ვიდრე სხვა ნებისმიერი, თუმცა დღეს მსახიობის პორტრეტს ნამდვილად არ ვქმნი, მხოლოდ იმის თქმა მსურს, რომ სწორედ ცხოვრებასა და თამაშს ეძღვნება სპექტაკლი, რომელიც თეატრმა "ათონელზე" გუშინ შუადღით მედიას წარუდგინა და რომლის პრემიერის მოახლოება დანარჩენმა საზოგადოებამაც უნდა შეიტყოს.*

აქეთ-იქით შირმა, კუთხეში პატარა მაგიდა, ორი-სამი სკამი, რიტმული და მელოდიური მუსიკა, მოკლედ, ასეთია ის გარემო სადაც მხოლოდ ორი მსახიობი გიორგი ოსეფაშვილი და ქეთი ქიტიაშვილი ნიღბებს იცვლიან და წარმოდგენას მართავენ.



ლევან ხერხეულიძის ფოტო

რვა, სხვადასხვა სახელწოდების ნოველას (პეპელა. ბუშტი, სტეპი, ვენახი, მოგონება, მანეკენები, ტანგო და სინემა) მსახიობები ერთმანეთს "ხიდებით" აბამენ, თუმცა ამის გარდა საერთო სიუჟეტი, ანუ მსახიობის ცხოვრების ზოგადი თემატიკა აერთიანებთ. გიორგი ოსეფაშვილის ხსენებაზე ალბათ მრავალი ჩვენი მკითხველი ახალ წარმოდგენას წარმოსახვაში პანტომიმის კარგად ნაცნობ ფორმებში შეფუთავს და წარმოიდგენს და ეს არც იქნება გასაკვირი. ამ მსახიობს, ქორეოგრაფიით ოდნავ გარკვეული მაყურებელი არაერთხელ გაუკვირვებია საკუთარი პლასტიკითა და არტისტული შესაძლებლობებით. ბატონი გოგისთვის ყველაფერი რკინიგზელთა კულტურის სახლთან არსებული პანტომიმის სტუდიით დაწყებულა. სტუდია, რომელმაც ამირან შალიკაშვილის ხელმძღვანელობით საბოლოოდ სახელმწიფო თეატრის სტატუსი მიიღო, იმ სივრცედ იქცა, სადაც იგი დაოსტატდა და საკუთარი ქორეოგრაფიული ხელწერაც შეიძინა. პანტომიმის თეატრში თუ თეატრს მიღმა, საქართველოში თუ საზღვარგარეთ მას პლასტიკით ცხოვრება არასდროს შეუწყვეტია. თუმცა, სწორედ პანტომიმის თეატრის სცენაზე შექმნა სპექტაკლი "კონტრასტები", რომელშიც ჯერ მოსწავლე, ახლა კი უკვე პარტნიორი ქეთი ქიტიაშვილი დააკავა და რომელიც საქართველოში ჩამოსულმა იაპონელებმა ნახეს და კიდეც მოიხიბლნენ. სწორედ ამ მოვლენას ებმის ბატონი გიორგისა და ქეთის იაპონიაში გასტროლი და სათანადოდ "მიმესკების დუეტის" დაბადებაც.

ქეთი ქიტიაშვილისა და გიორგი ოსეფაშვილის სპექტაკლი "ცხოვრება თამაშია" ოსაკას მკვიდრმა მაყურებელმა "ლაველი ჰოლში", როგორც ამბობენ, ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ თეატრში იხილა. თბილისელ მაყურებელს "მიმესკების დუეტი" ჯერ არ უნახავს. მიზეზი გასაგებია, ჯერ მსახიობი ქალბატონის ტრამვა და შემდეგ სასცენო სივრცის არარსებობა გახლდათ. თუმცა, ახლა ყველაფერი შეიცვალა. **"აქ გვინდა ვითამაშოთ, აქ, თეატრში "ათონელზე", ნანა ფაჩუაშვილმა გაგვიღო კარი ამ მშვენიერი და ლამაზი თეატრისა და სიტყვები არ მყოფნის, ისეთი მადლიერი ვარ მისი. აქ ნამდვილი თეატრალური ატმოსფეროა. ეს ძალიან ბევრს ნიშნავს. ამიტომაც გადავწყვიტეთ, რომ ახლო მომავალში პრემიერა სწორედ აქ ვაჩვენოთ",-** მითხრა ბატონმა გიორგიმ ათონელზე, ჩვენთვის გამართული წინასაპრემიერო წარმოდგენის შემდგომ.

"ცხოვრება თამაშია", შესაძლოა, თავად ეს სპექტაკლი სულაც არ არის ისეთი წარმოდგენა, ანუ ისეთი ფორმა პანტომიმისა, რომლითაც ბატონი ამირან შალიკაშვილის წყალობით, თბილისელი მაყურებელი მართლაც, რომ განებივრებულია. ქორეოგრაფს, გიორგი ოსეფაშვილს ნოვაცია ყოველთვის უყვარდა და ახლაც არ ღალატობს საკუთარ ხასიათს. წარმოდგენა ბევრად სცილდება "აკადემიურ პანტომიმას", იგი დრამატული თეატრის, კლოუნადისა და ცეკვის ელემენტებს აერთიანებს და, ერთი შეხედვით, თითქოს ამარტივებს, უფრო მსუბუქსა და "შესაქცევს" ხდის ქორეოგრაფიულ წარმოდგენას. როგორც ქორეოგრაფმა მითხრა, დუეტის შექმნა არ ყოფილა მათი საბოლოო მიზანი: **"ჩვენ ვართ დუეტი - მიმესკები, მაგრამ სამომავლოდ გადაწყვეტილი გვაქვს, რომ გავფართოვდეთ, მსახიობები შემოვიმატოთ, ჩვენს შემოქმედებას ვოკალი დაედება, ანუ ხმები ცოცხალი შესრულებით. ვფიქრობთ, რომ ცალკე თეატრად ჩამოვყალიბდებით, მაგრამ ეს არ იქნება უშუალოდ პანტომიმის თეატრი, ჩვენ გადავუხვიეთ და კიდევ სხვა ფორმები მოვნახეთ. მიმესკები არის ის, რაც ჩვენ ვერ განვახორციელეთ პანტომიმის თეატრში და ახლა საშუალება გვაქვს ჩვენი ფანტაზია გავშალოთ, გავაღრმავოთ და შევქმნათ პანტომიმის არასტერეოტიპული ჟანრი. გვინდა მეტი სითამამე და ექსპერიმენტები გამოვიყენოთ."**

როცა ათონელიდან მოვდიოდი, უნებლიე აზრმა გამიელვა: "თავად დრამის თეატრიც და მით უფრო პანტომიმის თეატრიც ხომ ჩანასახში მარტივი მოძრაობებისგან და, უბრალოდ, მიმიკებისგან დაიწყო. და რომ ყველაფერი ახალი, მართლაც, კარგად დავიწყებული ძველია." მიმესკები იმედოვნებენ, რომ როდისმე საკუთარი თეატრიც ექნებათ და თუ ასე მოხდა, მათთან მთავარი ყველა მიმართულების სასცენო ხელოვნების სინთეზი და ერთობლიობა იქნება.

სპექტაკლი მზადაა, პრემიერა მალე იქნება. ამის პარალელურად შემოთავაზებები არის უცხოეთიდან, ეს ყველაფერი მომავლის გეგმებია, თუმცა სანამ მიმესკები კვლავ ევროპისკენ აიღებდნენ გეზს, იმედია, მათი დუეტი თბილისშიც დაიდებს ბინას და ჩვენც გაგვაცნობს საკუთარ ხელოვნებას.

LIVE ჯგუფების უცნობი ლიდერები

# ეშმაკის ფეხი

ანა სიხარულიძე

*თანამედროვე ქართველი ცოცხალი მუსიკის შემსრულებლები ჟურნალ-გაზეთების პირველ გვერდებზე გამოჩენით და პოპულარობით ნამდვილად არ არიან განებივრებულები. და თუ მაინც ხვდებიან იქ, ინტერვიუს მხოლოდ ამ ჯგუფების ლიდერებისგან იღებენ. ხოლო ჩვეულებრივი, ჯგუფების რიგითი წევრები, მედოლეები, გიტარისტები და ბასისტები კადრს მიღმა რჩებიან. ამ რუბრიკით შევეცდები ის ადამიანები გაგაცნოთ, რომლებიც ჟურნალისტებისაგან დავიწყებული არიან, და რომელთა წვლილი მუსიკის შექმნაში ბევრად უფრო მნიშვნელოვანი და დიდია, ვიდრე ეს ჩანს.*

დღეს წარმოგიდგენთ საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ დრამერს, პერკუსიონისტს, ანუ ქართულად მედოლეს **გურამ მაკალათიას**, მეტსახელად **გუფი** (goofy). ის 22 წლისაა და უკვე 11 ჯგუფის წევრობა მოახერხა. რამდენიმე მათგანი, მაგალითად, "შუქი მოვიდა", ბაკურ ბურდულის ჯგუფი და "სტრინგი", საზოგადოებისთვის კარგადაა ნაცნობი.

ახლა ორ ჯგუფში უკრავს, **Lemon Juice** და **"მწვანე ოთახი"**.

როკ-დრამერის იმიჯის მიუხედავად, სულ სხვანაირი მუსიკა მოსწონს. ის მუსიკა, რაც მოსწონს, ჯერ არ დაუკრავს. "ამდენ ჯგუფში დაკვრამ ძალიან დიდი გამოცდილება მომცა და, რაღაც დონემდე, ყველა სტილის დაკვრა შემიძლია - მძიმე მუსიკით დაწყებული და ჯაზით დამთავრებული, რაღაც დონემდე!!!" ესე იგი, გუფი ფიქრობს, რომ ვარსკვლავებს არ წყვეტს? "მაგაზეც შევთანხმდეთ, რომ ვარსკვლავებს ვერავინ წყვეტს, არ არსებობს ასეთი ადამიანი, იმიტომ, რომ არავინ იცის, ეს ვარსკვლავი სად არის! რაღაცა რომ აიღო და წაიღო, უნდა იცოდე, სად დევს. მუსიკოსი, რომელიც თვლის, რომ უკვე ყველაფერი იცის და სწავლა უკვე დაამთავრა, იმან მართლა დაამთავრა! ის აღარ განვითარდება."

გუფის საკმაოდ სერიოზული სპორტული წარსული ჰქონდა. 12 წელი ფეხბურთელი იყო. უთამაშია "შევარდენში", "დინამოში" და ფოთის "კოლხეთში". სამედიცინო შემოწმების შემდეგ გაირკვა, რომ სერიოზულად თამაშს ვერასოდეს გააგრძელებდა.

მუსიკაში შემთხვევით მოვიდა. ბავშვობაში ერთმა "კომპეტენტურმა" ადამიანმა უთხრა, რომ არათუ სმენა, არამედ რიტმის გრძნობაც არ ჰქონდა. ამიტომ მუსიკოსობა არც კი უცდია.



"გუფი"

სკოლის დამთავრების შემდეგ ჩააბარა "სახალხო დიპლომატიის საერთაშორისო აკადემიაში". მაშინვე ცხვარიჭამიაში გაიცნო გოგონა, მოეწონა და როგორც თბილისშია მიღებული, "პუშკინში" აკითხავდა. იქ გაიცნო ადამიანები, რომლებმაც პირველად შესთავაზეს დაკვრა და ჯგუფის შექმნა. ეს ჯგუფი მალევე დაიშალა.

მერე იყო ჯგუფების მთელი ცვენა: "2000", "შუქი მოვიდა", ბაკურ ბურდულის ჯგუფი, "სტრინგი", "ადგილი მზის ქვეშ" და "P.S.".

მერე ზ. ფალიაშვილის სახელობის N2 მუსიკალურ სასწავლებელში ჩააბარა საესტრადო ფაკულტეტზე, დასარტყამი ინსტრუმენტების კლასში. სადაც დღესდღეობით ახალგაზრდულ ბიგ-ბენდში უკრავს. ჩაბარებისთანავე ყველაფრის სწავლა თავიდან მოუწია. საკმაოდ ძლიერმა ნებისყოფამ კარგი შედეგიც გამოიღო. "დაკვრას როცა ვიწყებდი, მაშინ სავარჯიშოების კრებულიც კი არ არსებობდა. და როდესაც ბავშვობაში ურიტმობისა და უსმენობის დიაგნოზს დაგისვამენ, შენ კი ხვდები, რომ დაკვრა შეგიძლია და თან არც ისე ცუდად, უკვე აღარანაირ წესებს არ იყენებ - უბრალოდ, უკრავ და გიხარია!".

უკვე ოთხი წელია უკრავს ჯგუფში Young Georgian Lolitaz, რომელსაც ახლა Lemon Juice დაერქვა. ერთი წლის წინ მობილურ ტელეფონზე აჩიკო გულედანი "გამოეცხადა" და სტუდიაში დაიბარა, გასინჯვის შემდეგ კი ჯგუფში დაკვრა შესთავაზა.

ყველაზე დასამახსოვრებელ კონცერტად კვარიათის არტფესტივალ "პონტოს" გახსნას ასახელებს. კონცერტი "მწვანე ოთახთან" ერთად ჩაატარა. "ეს კონცერტი ჯოჯოხეთივით მახსოვს! ასეთი ცუდი კონცერტი ცხოვრებაში არ მქონია. ყველაზე დიდი საშინელება ის იყო, რომ თითქოს ყველაფერი რიგზე იყო." "მწვანე ოთახის" წინ ჯგუფი "პაპარაცი" გამოდიოდა, რომელთაც ყველაფერი კარგად ჰქონდათ და ყველაფერი ესმოდათ. მაგრამ გუფის ინსტრუმენტთან დაჯდომისთანავე კონცერტზე მოსულმა უამრავმა მსმენელმა (კონცერტი კვარიათის სანაპირო ზოლზე, ქვიან პლიაჟზე იმართებოდა) შემთხვევით კაბელი ამოაგდო და სცენის მონიტორები გამორთო. ჯგუფის წევრებს, რასაკვირველია, ერთმანეთის არ ესმოდათ და ერთსაათიანი კონცერტი ფაქტობრივად "ზეპირად" დაუკრეს.

დადებით ემოციებს და სიამაყის გრძნობას 2003 წელს გამართული ჯაზფესტივალი იწვევს. იქ კენი გარეტთან, "ინკოგნიტო"-სთან და "Take 6"-თან ერთად, ერთ სცენაზე, თავისი პედაგოგის ირინა ებრალიძის ჯგუფ "ეთნო 10"-თან ერთად უკრავდა (ჯგუფს ეხლა "ჯეო დრაივი" ჰქვია).

კონცერტი, რომლის შემდეგ თავს პოპულარულად იგრძნობდა, ჯერ არ ჰქონია. "ძალიან მიხარია, რომ ქუჩაში არ მცნობენ. ვიცნობ ძალიან ბევრ მუსიკოსს, რომელთათვის ეს დიდი პრობლემაა, მაგალითად, სამარშრუტო ტაქსში ვერ სხდებიან. ფული გაქვს თუ არ გაქვს, იძულებული ხარ, ტაქსით იარო. მე ეს ძალიან არ მომწონს, თავისუფალი მოქალაქე ვარ, თუ მინდა ფეხითაც გავივლი - რითაც მინდა, იმით ვივლი!"

თავად გუფის ძალიან უყვარს კიტ ჯარეტი, ინდოელი პერკუსიონისტი და დრამერი ტრილუ გურტუ, დენის ჩემბერსი და ომარ ჰაკიმი. დიდი სიამოვნებით უსმენს "აკვარიუმს", მაილს დევისს და მაკლაფლინს.

გუფი ძალიან დაკავებულია. ყოველდღე ორ რეპეტიციაზე დადის. ისეა დაკავებული, რომ მეგობარი გოგონას სანახავად დრო არ ყოფნის. თავისუფალ დროს ფეხბურთის თამაში უყვარს, ოღონდ გული წყდება, რომ დროის უქონლობის გამო თამაშს ხშირად ვერ ახერხებს. შემომჩივლა, რომ უკვე ძალიან დიდი ხანია არ დაუსვენია. დასვენება ზღვაზე უყვარს და ამ ზაფხულს სადმე საზღვარგარეთ გეგმავს გამგზავრებას, იქ, სადაც არც ერთი ნაცნობი არ შეხვდება. ამჟამად ინგლისში წასასვლელად ემზადება. Soft Eject, "მწვანე ოთახი" და Lemon Juice გასტროლებზე ერთად მიემგზავრებიან.

გუფი ვერ იტანს პოლიტიკას და მასში საერთოდ არაა ჩახედული. უკრაინაში ვიქტორ იუშენკოს მხარდასაჭერად წასულს მისი გვარი ძლივს გაახსენდა. არ უყვარს არასწორი, დაუსაბუთებელი აზრები. ვერ იტანს ფრენას და თვითმფრინავებს. "მეშინია სიმაღლის, ოღონდ კლაუსტროფობიაში ნუ დამდებთ ბრალს!" ძალიან უყვარს ჭამა, განსაკუთრებით ელარჯი. ქართველებისთვის სტანდარტული ხინკალი მხოლოდ საზღვარგარეთ ახსენდება. სასმელებიდან მხოლოდ ლუდს სვამს. ერთი საინტერესო უცნაურობა ახასიათებს, სიზმარში დოლებზე უკრავს, მერე უცებ ეღვიძება და დაკრულის ჩაწერას იწყებს, შემდეგ კი ისევ იძინებს.

ბავშვობაში ძალიან უყვარდა ჯგუფი Queen და ფრედი მერკური, რომლის მეტსახელი იყო "პლუტო". ბაბუას პატივსაცემად დარქმეული სახელი "გურამი" არ მოსწონდა და მეგობრებმა, რაღა "პლუტო" დავუძახოთო და, გუფი შეარქვეს. "თან goofy ინგლისურად სულელს ნიშნავს..." აქვს კიდევ ერთი მეტსახელი - "ეშმაკის ფეხი", რომელიც Lemon Juice-ის ლიდერმა ნიკა კოჩაროვმა ორპედლიან ბასდოლზე (როგორც ამიხსნა ეს ძალიან რთულ მოწყობილობაა) დაკვრისთვის შეარქვა.

გუფის სპორტულ-თანამედროვე ჩაცმულობის სტილი აქვს, ძალიან სიმპათიური და საინტერესო ბიჭია. ის ყველას უყვარს და ძალიან ბევრი მეგობარი ჰყავს. მისი დახასიათება რამდენიმე ადამიანს ვთხოვე. აჩიკო გულედანმა თქვა, რომ ცეტი და მოუსვენარია. ბექა ჯაფარიძემ, ძალიან ბევრს ლაპარაკობს და მოძრაობსო. ყველაზე მეტად კი ბასა ჯანიკაშვილის დახასიათება მომეწონა: "გუფი არის ძალიან კარგი დრამერი, ის გრძნობს რიტმს, გრძნობს მუსიკას და, რაც მთავარია, როდესაც მას უყურებ, შეუძლებელია, არ აღფრთოვანდე მისი არტისტიზმით და საქმის სიყვარულით. ის ყოველთვის მზად არის, იყოს დრამერი და არასოდეს გაცვლის დრამს გიტარაზე, ბასზე ან კლავიშზე. გუფი ნამდვილი მუსიკოსია!"

სამსონ ლექავას სვეტი

# საუკეთესოთაგანი, მაგრამ განწირული, თუკი...



უკანასკნელ ხანს ძველი თბილისის ყველაზე თვალსაჩინო ფასეულობის ძეგლებიც კი გაუსაძლის მდგომარეობაში აღმოჩნდა. იწურება მათი გადარჩენის იმედიც, თუკი დაუყოვნებლივ არ გადაიდგმება რეალური და კონკრეტული ნაბიჯები როგორც მერიის, ისე კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მიერ, და თანაც, უმჭიდროესი კოორდინაციით. სხვა შემთხვევაში, თუ ასე გაგრძელდა, სრული საფუძველი გვექნება ვიფიქროთ, რომ, სამწუხაროდ, ვერც ერთი ეს დაწესებულება რიგიანად ვერ ასრულებს თავის ფუნქციას. არსებობს მათი ფიქციად ქცევის შესაძლებლობა. მერწმუნეთ, ამას მხოლოდ გულისტკივილით აღვნიშნავ და არასგზით ნიშნისმოგებით.

ამის ერთ-ერთი ყველაზე უმწვავესი მაგალითია სახლი არმაზისა და არარატის ქუჩების კუთხეში. ის, ფაქტობრივად, დანგრეულია და უკანასკნელ დღეებს ითვლის. როცა ამ შენობას უყურებ, გიჩნდება მძაფრი სურვილი, მიმართო პროტესტის რადიკალურ, უკიდურეს ფორმებს, თუმცა, იქნებ ჯერაც არ იყოს გვიან. იქნებ ხელისუფლებამ, ბოლოს და ბოლოს, იკისროს ამ შენობის მიხედვა და შექმნას პოზიტიური პრეცედენტი, ახლა მაინც დაამტკიცოს საკუთარი ქმედითუნარიანობა!

როგორც ვიცი, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ჩაფიქრებული აქვს ზემოაღნიშნული ძეგლის მიხედვა, მაგრამ ერთია სურვილი, ხოლო სრულიად სხვაა ამ განზრახვის რეალიზაცია.

ცოტა შორიდან დავიწყებ: მრავალი წლის წინათ, ჯერ კიდევ კომუნისტური მმართველობის ხანაში, იტალიაში გახლდით მეგობრულ, შეკრულ და გულისხმიერ ადამიანთა ჯგუფთან ერთად. მცირე დროის მანძილზე იმდენად დიდი შთაბეჭდილებებით დავიტვირთეთ, რომ ძალიან გაგვიჭირდა ნანახისა და აღქმულის გააზრება; ამასთან, ჯგუფში აღმოჩნდა ქართული ხალხური სიმღერის რამდენიმე კარგი მცოდნე. სპონტანურად შექმნილმა ჩვენმა კამერულმა გუნდმა სიმღერით შემოიარა მთელი იტალია. იქაურ, საოცრად გულისხმიერ ადამიანებთან ცოცხალი და ინტენსიური ურთიერთობის დამყარებას ამანაც დიდად შეუწყო ხელი. ჩვენი მასპინძლები დიდ სიხარულს გამოხატავდნენ ქართულ ჰანგთა აღქმისას. მათ ჰქონდათ სრულიად უტყუარი, უშუალო რეაქცია, როდესაც ისმენდნენ გურულ "ბატონებოს", მთიულურ სახალისოებსა თუ "შენ ხარ ვენახს", მაგრამ "სულიკოს" გაგონებისთანავე, მყისვე აღნიშნავდნენ - ესენი ქართველები არიანო (მოგეხსენებათ, ილიკო ქურხულმა ვარინკა წერეთლისეული "სულიკო" მთელ ევროპაში ძალზე პოპულარულად აქცია). მოკლედ, იმის თქმა მსურს, რომ იტალიის გრანდიოზული კულტურული მემკვიდრეობის ხილვასა და აღქმას თან ახლდა შემხვედრი "მოძრაობაც" - ჩვენი მცირე შესაძლებლობების მასშტაბით. უაღრესად მუსიკალურ იტალიელთათვის ქართული სიმღერის მოსმენა აღმაფრთოვანებელი იყო - გავიხსენებ თუნდაც ვენეციელ გონდოლიერთა რეაქციას "ოროველას" აჟღერებისას. რაღა გასაკვირია, რომ ასეთი "ორმხრივობა" გაცილებით შთამბეჭდავსა და დაუვიწყარს ხდიდა ჩვენს მოგზაურობას.

როდესაც თბილისში დავბრუნდით ესოდენ უხვი ინფორმაციით "აღვსილნი", უკანა გზაზე მოგვიხდა სწორედ არმაზისა და არარატის ქუჩათა კუთხეში მდებარე სახლთან გავლა. მაშინ ძველი თბილისი ასე უსაშველოდ დარბეული არ იყო. ამჟამად გაუგონარი და გულქვა სისასტიკით განადგურებული ამ სახლის გარემოცვა, ქუჩათა მთელი ქსელი, თვით მორფოლოგია განაშენიანებისა, ძირითადად შენარჩუნებული ჩანდა. და სწორედ იმხანად აღქმული რომის, ფლორენციის, ვენეციის, მილანისა და ვერონას შემდეგ მთელი სიმძაფრითა და სიღრმით შევიგრძენი, თუ რაოდენ დიდი და სრულიად განუმეორებელი ხატოვანება აქვს (თუ ჰქონდა?!) ძველ თბილისს: ზემოაღნიშნული სახლიც, მის მახლობლად მდებარე წმინდა გიორგის ეკლესიაც, ვიწრო ქუჩიდან გაშლილი, ძალიან სპეციფიკური ხედიც თავის განუყოფელ მთლიანობაში, უძლიერეს მხატვრულ ეფექტს ქმნიდა - სრულიად ცხადი იყო, რომ ძველი თბილისის ხუროთმოძღვრება - ესაა უნივერსალური და მართლაც უმაღლესი რანგის ფენომენი. იმ მომენტში ტრადიციული ქართული სიმღერის ძალა და ძველთბილისური სახლის ღირსეული სახე ჩვენი კულტურის სიმაღლის სინთეზურ გამოვლენად იქცა ჩემს ცნობიერებაში...

მოდი, კვლავ დავუბრუნდეთ უფრო კონკრეტულად მრავალგზის მოხსენიებულ შენობას, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის 50-70-იან წლებს ეკუთვნის, თუმცა, მეოცე საუკუნის დასაწყისშიც მან გარკვეული ცვლილება განიცადა. აქ ყველაფერი ჩინებული ხარისხისა იყო: დიდ იშვიათობად ქცეული კრამიტის გადახურვაც; ორივე ფასადის დამამშვენებელი, ერთმანეთისგან თვალსაჩინოდ განსხვავებული აივნებიც, რომელთაგან მართლაც ფანტასტიკური პანორამები იშლებოდა; ეზოს პირველხარისხოვანი მორთულობაც; მთლიანი პროპორციული სისტემაც; ინტერიერებიც და სხვა.

ხაზგასმითაა აღსანიშნავი, რომ ამ სახლს საგანგებოდ მიეძღვნა შესანიშნავი მოკლემეტრაჟიანი ფილმი, რომელიც ეკუთვნის კინორეჟისორ დავით ჩუბინიშვილს. ოპერატორია პაატა ჟღენტი, ხოლო წამყვანი - არქიტექტორი ნინო ბაგრატიონი, რომელმაც საგანგებოდ შეისწავლა ეს საცხოვრებელი. კინოსურათი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდმა დაუკვეთა TBC სტუდიას, როგორც ნაწილი მოკლემეტრაჟიანი ფილმების სერიისა "გასეირნება ძველ თბილისში". ამ პროექტში მონაწილეობდა პირველი არხი.

ფილმში, რომელიც 2000 წელსაა გადაღებული, დაუფარავად ითქვა მოსალოდნელი საშიშროების შესახებ, რაც შემზარავ რეალობად იქცა. მიუხედავად ასეთი სიტუაციისა, მაინც ვფიქრობ, რომ დღესაც კი გამოუვალი ვითარება არ არის. ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, თუ რამოდენა სიხარულის მომტანი აღმოჩნდებოდა ამ სახლის იმედგაცრუებული მოსახლეობისთვის მისი კვლავ აღდგენა. ბოლოს და ბოლოს, იქნებ სწორედ ეს შენობა ექცია, სამწუხაროდ, ძველი თბილისისადმი ყოვლად უგულისყურო ხელისუფლებას გაპარტახებული ქალაქის მიმართ თავისი დამოკიდებულების რადიკალურად შეცვლის მაგალითად. ეს ხომ მისი პირდაპირი მოვალეობაა!

**P.S.** წარმოდგენილი ფოტოსურათი ეკუთვნის მაია მანიას და ასახავს სახლის მდგომარეობას 2000 წლის მაისში.



დავით კოვზირიძის სვეტი

# რევოლუცია ევოლუციისთვის

## ფედერაცია ბოლომდე უნდა გაიწმინდოს!

ქართული ფეხბურთის მმართველი კანტორა უბოსოდ დარჩა და ახალ პატრონს ელის. რუსეთისგან განსხვავებით, აქ ამ ამბავმა ნაკლებად ჰარმონიულად ჩაიარა - კოლოსკოვმა ჰალალად შეირგო მთელი თავისი ეპოქა და არწივივით თავისუფალია, მერაბ ჟორდანია კი მეორედ აღმოჩნდა კაპეზეში. რაღაც ძველი კომბინაცია ამოუქექეს, თუმცა, მეეჭვება, რომ ეს იყო ნაღდი მიზეზი მისი არესტანტობისა. სავარაუდოდ, ხელისუფლებასთან ჭიდაობა არ აპატიეს.

უკვე წლებია მთელი საქართველო ლაპარაკობს, რომ ფედერაცია სუფთა არ არის, რომ იქ არასწორად იხარჯება ფული, რომელიც ფეხბურთს უნდა მოხმარებოდა, რომ მხოლოდ ჟორდანია არ არის დამნაშავე. დღეს ის დაჭერილია და მე სულაც არ მახარებს ვილაცის ციხეში ყოფნა. უმჯობესი იქნებოდა, თავისი ნებით, მშვიდად წასულიყო და მშვიდადვე გაესწორებინა ფინანსური ანგარიში ბოლო კაპიკამდე, მაგრამ მოხდა ის, რაც მოხდა და დახეთ, რას მიანიშნებს ამხანაგი ჩოლარია - არ გამოვრიცხავ, პრეზიდენტობაზე კენჭი ვიყაროო.

ფედერაცია ბოლომდე უნდა გაიწმინდოს! მარტო ჟორდანია არ უნდა იყოს პასუხისმგებელი იმაზე, რაზეც უამრავი ხალხი ითბობდა ხელს. ყველამ მშვენივრად ვიცით, რომ ამ ორგანიზაციის თანამშრომელთა უმეტესობა გასვრილია და კიდევ უფრო გაისვრება, თუ დროზე არ დაატოვებინებენ იქაურობას. რადგან: არც ერთ მათგანს ერთხელაც არ ამოუღია ხმა იმის საწინააღმდეგოდ, რაც ფედერაციაში ხდებოდა. რადგან ყველა კმაყოფილი ბრძანდებოდა საკუთარი კეთილდღეობით და ამ წერტილოვანი კეთილდღეობის ხარჯზე გაფარჩაკებული ქართული ფეხბურთის ამბავი არავის აღელვებდა.

დღეს არასტანდარტული მდგომარეობაა. საჭიროა რევოლუცია (ეს სიტყვა მეზიზღება, მაგრამ იძულებული ვარ გამოვიყენო), რათა ევოლუცია დაიწყოს. უნდა გაკეთდეს არჩევანი, რომელიც ჩვენს ფეხბურთს სამარცხვინო ტყლაპოდან ამოათრევს, დაბანს, მოაწესრიგებს და სწორ გზაზე დააყენებს. ამიტომ ერთი კარგად უნდა დავფიქრდეთ, არ ვიჩქაროთ, შევაფასოთ სიტუაცია და მერე გადავწყვიტოთ, ვინ ჩაუდგება სათავეში ქართული სოკერის გაპატიოსნების საქმეს. ჩვენ არ უნდა შეგვეშალოს! იმიტომ, რომ ამ შეცდომას ველარასდროს გამოვასწორებთ. იმიტომ, რომ ეს საკონტროლო გასროლა იქნება ხანდაზმული, ერთ დროს ძალიან მდიდარი, დღეს კი ლოგინად ჩავარდნილი ფეხბურთის მიმართულებით.

რეგლამენტის თანახმად, ახალი შეფი ორ თვეში უნდა დაინიშნოს. პროცედურა იგივე რჩება - ფედერაციის მოკავშირე 26 სუბიექტის წარმომადგენელმა უნდა გადაწყვიტოს, ვინ იქნება ეს ადამიანი. ამ წარმომადგენელთაგან ზოგს თურმე საერთოდ არ ჰქონია შეხება ფეხბურთთან, დანარჩენი დელეგატები კი ის ხალხია, ვინც აწ უკვე ძველ ფედერაციას იწონებდა. რატომ ირჩევდნენ ისინი ჟორდანიას? არაა მთლად რთული კითხვა. და ვის აირჩევენ მომავალ არჩევნებზე? სირთულის დონე იგივეა.

რა ვქნათ? აი, მართლაც რომ მძიმე შეკითხვა. ისევ ამ უცნობ და, როგორც ჩანს, არცთუ მთლად პატიოსან და პროფესიონალ ხალხს ვენდოთ? რა თქმა უნდა, არა, არა და არა! წარმოიდგინეთ, რომ ხართ რაღაც გაუგებარი ორგანიზაციის წარმომადგენელი. ვთქვათ, ლევან მამალაძის სახელობის ნაგავგადამამუშავებელი საამქროს (ფედერაციის თანამშრომელთათვის ფედერაცია სწორედ ამ რანგშია დაყვანილი) რიგითი მუშაკი ხმის მიცემის უფლებით. მოვიდა მორიგი არჩევნების დრო და გაიზარდა თქვენი, უფრო სწორად, თქვენი ხმის მნიშვნელობა (სხვა შემთხვევაში არავინ არაფრად გაგდებთ). ჰოდა, სულ ერთი არაა, ვინ უხელმძღვანელებს საამქროს ანუ რა მოხდება არჩევნების შემდეგ? ამიტომაც ერთადერთი ინტერესი გაქვთ - რომელი კანდიდატი გახეირებთ ყველაზე მეტად მანამ, სანამ მანდატს აღმართავთ. რაღაც აუქციონის მაგვარი იმართება და ამ აუქციონზე უკვე რამდენჯერმე გაიყიდა ქართული ფეხბურთი, იგივე ლევან მამალაძის სახელობის ნაგავგადამამუშავებელი საამქრო.

ამით იმის თქმა მსურს, რომ ეს სისტემა გახრწნილია, კარგს არაფერს მოგვიტანს და სასწრაფოდაა მოსაფიქრებელი რაიმე ახალი მეთოდი. ჯერ ერთი, პრეზიდენტობისთვის მებრძოლი კანდიდატები არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეფასდნენ წარსული დამსახურებებით, მთავრობასთან მეგობრობით, ეკონომიკური მდგომარეობით ან ლამაზი თვალებით. ერთადერთი კრიტერიუმი უნდა იყოს მრავალწლიანი პროგრამა, რომელშიც დაწვრილებით, ნაბიჯ-ნაბიჯ იქნება ჩამოყალიბებული, თუ სად როგორ გვიჭირს და რა უნდა გაკეთდეს, რომ აღარ გვიჭირდეს. ეს უნდა იყოს იურიდიულად გამართული, თანამედროვე მენეჯმენტით ზურგგამაგრებული პროექტი. თუ ამ გეგმის შესადგენად ვინმეს ორი თვე ეცოტავება, თქვას და შევცვალოთ არჩევნების ვადა, ვინაიდან ეს ის შემთხვევაა, როცა მოჩქარეს აუცილებლად მოუგვიანდება.

კანდიდატთა მიერ შედგენილი პროგრამა უნდა განიხილოს საგანგებოდ შედგენილმა კომისიამ, რომელშიც გაერთიანდებიან ეკონომისტები, იურისტები, მწვრთნელები, სპეციალისტები (ქართველი და უცხოელი), გულშემატკივრები, ჟურნალისტები. უვარგისი პროექტი და მისი ავტორი უნდა მოიკვეთონ, ხოლო დარჩენილებს შორის საუკეთესო (შესაბამისად, ახალი პრეზიდენტიც) უნდა გამოავლინოს ამ კომისიამ (რომლის ყველა წევრსაც ხმის მიცემის უფლება ექნება) და ზემოხსენებულ სუბიექტთა 26-მა ახალმა წარმომადგენელმა.

ამით კომისიის მუშაობა არ უნდა დამთავრდეს. ის პრეზიდენტის ნაბიჯებს მმართველობის პერიოდში ზედმიწევნით უნდა დააკვირდეს და საზოგადოებას ამცნოს, რამდენად ეფექტურად მუშაობს პროგრამა, რაიმე დარღვევები ხომ არ არის, ახალი პრობლემა ხომ არ გამოჩნდა (აუცილებლად გამოჩნდება) და როგორ შეიძლება მისი მოგვარება.

ასეთია ჩემი აზრი და მგონია, რომ მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი ქართულ ფეხბურთში შექმნილი არაადამიანური მდგომარეობის გამოსწორება. რეგლამენტისა და კანონების შეცვლაა ამისთვის საჭირო? შევცვალოთ, ბატონო, ამის მეტს რას ვაკეთებთ ქართველები. უმჯობესია თავიდანვე სწორი მიმართულებით ვიაროთ, ვიდრე მორიგი წარუმატებლობების, ბოთლების, სიბინძურის სეტყვისას დავიწყოთ ძებნა გამოსავლისა, რომელსაც, როგორც წესი, ვერ ან არ ვპოულობთ.

*მომავალ სამშაბათამდე*

ფეხბურთი

# "სან სიროზე" კოცონი დაანთეს

ინტერი **- მილანი 0:1 (0:2)**
ბაიერნი **- ჩელსი 3:2 (2:4)**

მილანში, "სან სიროს" სტადიონზე შეკრებილმა "ინტერის" გულშემატკივარებმა ველარ გაუძლეს თავისი საყვარელი გუნდის საცოდაობას და მინდორზე "პეტარდები" გადმოყარეს. ეს ამბავი მატჩის დამთავრებამდე 15 წუთით ადრე მოხდა. სტადიონი კვამლში გაეხვია და ბუნებრივია, რომ მატჩის არბიტრმა მარკუს მერკმა თამაში შეწყვიტა. 8-10 წუთის შემდეგ შეხვედრა განახლდა, მაგრამ ორ წუთში კვლავ შეწყდა.

კაცმა რომ თქვას, თამაშის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო, ამიტომ "პეტარდების" სროლას აზრი მაინცდამაინც არ ჰქონდა. "ინტერი" არ იყო ოთხი გოლის გამტანი, ამიტომ მისმა ფანებმა გადაწყვიტეს, შური სტადიონზე ეძიათ. გულშემატკივართა ამ საქციელს კი შეიძლება, უეფასგან სანქციები მოჰყვეს და "ინტერი" სამაგალითოდ დაისაჯოს.

რაც შეეხება თამაშს, ის უაღრესად დაძაბული გამოდგა. განსაკუთრებით მისი პირველი მესამედი. ანუ ვიდრე ანდრეი შევჩენკო ანგარიშს გახსნიდა, გუნდები ერთმანეთს არ ინდობდნენ. საკმარისია ითქვას, რომ 27-ე წუთზე უკვე 20 ჯარიმა იყო დაფიქსირებული და მსაჯმა ფეხბურთელებს სამი ყვითელი ბარათი უჩვენა და ტაიმის მიწურულს ალესანდრო ნესტაც გააფრთხილა. მეორე ნახევარში თითქოს ყველაფერი გამოსწორდა. გუნდები უხეშ თამაშს ერიდებოდნენ, მაგრამ მატჩს დამთავრება მაინც არ ეღირსა. საქმეში "პეტარდები" ჩაერთვნენ.



რაც შეეხება მეორე მეოთხედფინალს: მიუნხენის "ოლიმპიაშტადიონზე" ნამდვილი დრამა გათამაშდა. "ბაიერნს" ორი უპასუხო გოლი სჭირდებოდა ნახევარფინალში გასვლისთვის. გუნდმა უაღრესად შთამბეჭდავი ფეხბურთი აჩვენა, განსაკუთრებით მეორე ტაიმში. თამაში მოიგო კიდეც, მაგრამ გათამაშებას მაინც დაემშვიდობა. არადა, ფელიქს მაგათის გუნდი ახლოს იყო გამარჯვებასთან. მიხაელ ბალაკს, შვაინშტაიგერსა და კლაუდიო პიზაროს, რომელიც მაკაისთან ერთად საგანგებოდ ამ მატჩისთვის გამოვიდა მინდორზე, ხელსაყრელი მომენტები ჰქონდათ, მაგრამ მათი რეალიზება ველარ მოახერხეს. თითქმის უშეცდომოდ ითამაშა ლონდონელთა მეკარე პეტერ ჩეხმა.

ანგარიში კი ისევე, როგორც ლონდონში, "ჩელსიმ" გახსნა. ფრენკ ლამპარდის დარტყმული "ბაიერნის" მცველ ლუსიოს მოხვდა და ოლივერ კანის კარში შეგორდა. გერმანელთა შეტევებს 65-ე წუთამდე არ მოჰყოლია შედეგი, ვიდრე პიზარომ წონასწორობა არ აღადგინა. თამაშის დამთავრებამდე 10 წუთით ადრე დიდიე დროგბამ მეორედ აიღო ოლივერ კანის კარი და ამით პრაქტიკულად გადაწყვიტა კიდეც ნახევარფინალში გამსვლელის საკითხი. გერმანელებმა, როგორც სჩვევიათ, ბოლომდე იბრძოლეს და გერეროსა და შოლის გოლებით თამაში მაინც მოიგეს, თუმცა ნახევარფინალში ჟოზე მოურინიოს "ჩელსი" გავიდა.

ჭიდაობა

# ლუკა 2005

## კურტანიძემ ათენური წარუმატებლობის შემდეგ ჯავრი ოლიმპიურ ჩემპიონზე იყარა

პირველი გვერდიდან

ვიდრე ქართველ "თავისუფლებზე" ვიტყოდეთ, ევროპის ჩემპიონატის მასპინძლებზე პატარა ექსკურსი მოვიშველიოთ.

ბულგარეთი 1963 წლიდან დღემდე მოჭიდავეთა უმნიშვნელოვანეს ასპარეზობას მეცამეტედ მასპინძლობს. აქედან შვიდჯერ მსოფლიოს, ხოლო ხუთჯერ ევროპის ჩემპიონატებს. 2005 წელი ბულგარეთის საჭიდაო სამყაროსთვის იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ ეს ქვეყანა ევროპის სხვა სახელმწიფოებს შორის პირველია, რომელიც ერთბაშად თავისუფალი სტილით მოჭიდავე ქალთა და ვაჟთა და ბერძენ-რომაელთა ასპარეზობების ორგანიზატორად გვევლინება. მონაწილეობით კი 38 ქვეყნის 400-მდე ფალავანი მონაწილეობს, მათ შორის საქართველოს ორივე ნაკრები - "თავისუფლებისა" და ბერძენ-რომაელთა.

გუშინდელი დღე "თავისუფალთა" 60, 74 და 96 კილოგრამ წონით კატეგორიებს დაეთმო და ევროპულ ხალიჩაზეც შესაბამისად კობა კაკალაძე, დავით ახალმოსულიშვილი და ლუკა კურტანიძე გავიდნენ.

დავიწყოთ ცუდით, გავაგრძელოთ ცუდზე უკეთესით და დავასრულოთ კარგით. ცუდი ისაა, რომ კობა კაკალაძემ პირველივე შეხვედრაში რუმინელ პეტრუ ტოარჩესთან ორივე პერიოდი (1:3) (1:3) წააგო და იქვე დაასრულა ევროპის ჩემპიონატი. რუმინელს რომ მეორე შეხვედრაში ეყოჩაღა და ფინალამდე გაეკვლია გზა, კაკალაძე მესამე ადგილისთვის გააგრძელებდა ბრძოლას, მაგრამ...

შედარებით უკეთ იასპარეზა დავით ახალმოსულიშვილმა. მოლდოველი და იტალიელი მეტოქეები ისე დაამარცხა, რომ ქულაც არ დაანება, მაგრამ რამდენადაც კარგად დაიწყო იმდენად ცუდად დაასრულა. მესამე შეხვედრაში მასპინძელს, შემდგომ უკვე ევროპის ჩემპიონს ნიკოლაი პასლარს ორივე პერიოდი უქულოდ დაუთმო. ვინაიდან ბულგარელმა ფინალისკენ გააგრძელა გზა ახალმოსულიშვილს მდგომარეობის გამოსწორების შანსი რეპეშაჟში მიეცა ანუ მესამე ადგილისთვის ბრძოლა გააგრძელა, სადაც მას უკრაინელი ვოლოდიმირ სიროტინი ელოდა. ქართველისა და უკრაინელის შეხვედრა უკრაინელის შეტევებით დაიწყო და სლავმა მალე პირველი პერიოდი 4:1 მოიგო.

მეორე პერიოდში ქართველი გააქტიურდა, უკრაინელს ფეხში შეუვარდა, უკან გადაატრიალა და პირველი ქულაც აიღო. ახალმოსულიშვილმა ხელმეორედ სცადა იგივე ილეთით გასულიყო ფონს, მაგრამ ქართველის დაწყებული საქმე უკრაინელმა დააგვირგვინა და მსაჯმაც სამი ქულა სიროტინს მიაკუთვნა. ვიდრე ჩემპიონატის მთავარ მშვენებაზე ვიტყოდეთ, ერთი სიტყვით ახლებურ წესებსაც შევეხოთ. საქმე ისაა, რომ მსოფლიო საჭიდაო სამყარომ იმისთვის, რომ ჭიდაობას სანახაობრიობა, დინამიურობა შემატებოდა ახალი წლიდან ახალი წესები დანერგა, რაზეც საქართველოს ჩემპიონატის მსვლელობისას შეძლებისდაგვარად ვიუწყებოდით. მაგრამ ერთს კი შეგახსენებთ, იმ შემთხვევაში თუ ფალავანმა პირველი პერიოდი მოიგო, ხოლო მეორე წააგო, ანგარიში თანაბრდება (მაშინაც კი თუ ერთი პერიოდი მოგებულია ანგარიშით 5:0, ხოლო მეორე პერიოდი მინიმალური ანგარიშითაა წაგებული) და ინიშნება დამატებითი დრო, სადაც გამარჯვება რჩება იმას, ვინც პირველ ქულას აიღებს.

ლუკა კურტანიძე წესით და რიგით ევროპის ჩემპიონატზე არ უნდა ყოფილიყო. ყოველ შემთხვევაში, თებერვალში, როდესაც საქართველოს ჩემპიონატი მიმდინარეობდა, მსოფლიოს ორგზისა და ევროპის ოთხგზის ჩემპიონმა გვითხრა, რომ კონტინენტის პირველობას გამოვტოვებ და მსოფლიო ჩემპიონატისთვის მოვემზადებიო. ამის გამო ქართველმა ფალავანმა საქართველოს ჩემპიონატზეც არ იასპარეზა. არადა, საევროპისჩემპიონატო ნაკრები საქართველოს პირველობის შედეგების მიხედვით უნდა დაკომპლექტებულიყო. ანუ შვიდივე წონის ეროვნული ჩემპიონატის გამარჯვებული ვარნაში გაემგზავრებოდა. ასეც მოხდა ერთადერთი გამონაკლისის გარდა, რომელსაც კურტანიძესთან მივყავართ.

საქმე ისაა, რომ 96 კილოგრამ წონით კატეგორიაში საქართველოს ჩემპიონობა რუსეთიდან სამშობლოში დაბრუნებულმა გიორგი გოგშელიძემ მოიგო და შესაბამისად სწორედ მას ამზადებდნენ კიდეც საევროპოდ, მაგრამ... რუსეთის ჭიდაობის ფედერაციამ ქართველ ფალავანს ეგრეთ წოდებული "გათავისუფლების ფურცელი" არ მისცა, რაც იმას ნიშნავს, რომ გოგშელიძეს საქართველოს სახელით საერთაშორისო სარბიელზე ასპარეზობის უფლება არ აქვს. ამბობენ, ეს საკითხი წლის ბოლომდე მოგვარდებაო. მანამდე კი ისევ კურტანიძეს დავუბრუნდეთ.

ალბათ, ვინმეს ნაკლებად ეპარებოდა ეჭვი, რომ კურტანიძე ვარნაში ჩემპიონობას მოიპოვებდა. კურტანიძემ ისეთი კაცის დამარცხება შეძლო, რომელიც ათენში ოლიმპიური ჩემპიონი გახდა, ხოლო ერთი წლით ადრე რიგაში ევროპის ჩემპიონატზე ჩვენი ფალავანი დაამარცხა და შემდგომ ევროპის ჩემპიონის ტიტულიც მოიპოვა. საუბარია რუს ხაჯიმურად გაცალოვზე.

ევროპის ჩემპიონატის მშვენებაც სწორედ გაცალოვისა და კურტანიძის ნახევარფინალური დაპირისპირება იყო (მანამდე ქართველმა გერმანელი ნიკო გრაფი და ბელორუსი სერგეი პერნიკოვი იოლად დაამარცხა). არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ ორივე მათგანი ჩემპიონატის ყველაზე ტიტულოვანი მოჭიდავეა.

პირველი პერიოდი ისე დაიწყო, რომ ნერვიულობის საბაბი აშკარად მოგვეცა - გაცალოვმა 1:0 მოიგო. მეორე პერიოდიც, ფაქტობრივად იგივე სცენარით წარიმართა. მეტოქეები ერთმანეთის შეცდომაზე გამოჭერას ცდილობდნენ. ანუ თავად არ ქმნიდნენ ისეთ სიტუაციას, რომ ერთმანეთი რაიმე ფანდზე წამოეგოთ. მეორე პერიოდიც იგივე ანგარიშით დასრულდა, ოღონდ კურტანიძის სასარგებლოდ. აქედან გამომდინარე საჭირო გახდა მესამე, დამატებითი დროის დანიშვნა. ქართველი ფალავნის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ არ მოდუნდა და მინიმალური, თუმცა გადამწყვეტი ქულა აართვა რუსეთის სახელით მებრძოლ კავკასიელს.

კურტანიძე ფინალში გავიდა. ამ შემთხვევაში ქართველის მეტოქე წარმოშობით კოტ-დ`ივუარელი, ამჟამად კი საფრანგეთის სახელით მოასპარეზე ვინსენტ აკა აკესე გახლდათ, რომელიც წინდაწინვე განწირული იყო მარცხისთვის. მართალი გითხრათ, ფრანგთან ორთაბრძოლაში კურტანიძისგან მეტს ველოდით. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ქართველს თავის შეწუხება არ სურსო. ალბათ, ამიტომაც იყო, რომ კურტანიძე ორივე პერიოდში მინიმალურ ანგარიშს დასჯერდა. სანახაობრივად კი ფინალი არ ვარგოდა. ეს უფრო ძიძგილაობა იყო, ვიდრე ორთაბრძოლა, მაგრამ ფაქტია - ლუკა კურტანიძე ევროპის ხუთგზის ჩემპიონია.

რაგბი

# წამსვლელ-დამრჩენი ორ თამაშში გაირკვევა

პაატა თოთაძე

სამხრეთ აფრიკაში მყოფი საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებისთვის გადამწყვეტი დღეები დგება. დღეს და კვირას ჩვენს გუნდს ორი მატჩი ელის, რომელთაგან ერთ-ერთი აუცილებლად უნდა მოიგოს, რომ ელიტურ A ჯგუფში შეინარჩუნოს ადგილი.

ასეთ მდგომარეობამდე ქართველი ჭაბუკები ჯგუფურ ეტაპზე სამი მარცხის გამო მივიდნენ. კენჭისყრით პირველ ეტაპზე ქართველებს ისეთი მეტოქეები შეხვდათ, რომ ნათელი იყო, გუნდი ბოლო ოთხეულში მოხვდებოდა და ჯგუფში დასარჩენად მოუწევდა ბრძოლა.

პირველი მარცხი ჩვენმა გუნდმა ირლანდიის ნაკრებისგან იწვნია 16:0. ირლანდიელებთან ამ სხვაობით წაგებამ რაგბის გულშემატკივარს იმედი გაუჩინა, რომ დანარჩენ მატჩებში შესაძლებელი იყო რაიმე წარმატების მიღწევა, მაგრამ...

მეორე მატჩი გუნდმა საფრანგეთის ნაკრებთან ითამაშა და 48:0 წააგო. ეს იყო ქართველთა ყველაზე ცუდი თამაში ამ ტურნირზე. ჩვენებმა განსაკუთრებით პირველი ტაიმი ჩააგდეს - გუნდს ერთი შეტევაც კი არ განუხორციელებია. შესვენების შემდეგ მდგომარეობა ცოტათი გამოსწორდა, მაგრამ ისეთ გუნდთან ჭიდილში, როგორიც საფრანგეთია, ქართველებს წარმატების შანსი, რბილად რომ ვთქვათ, ნაკლებად აქვთ. ვერც შარლ-ედუარდ იაშვილი ათამაშდა ისე, როგორც მწვრთნელები ელოდნენ. პირველი ეტაპის დასკვნითი მატჩი ქართველებმა არგენტინასთან გამართეს. მანამდე არგენტინელებსაც ორივე მატჩი ჰქონდათ წაგებული - სამხრეთ აფრიკასთან და ავსტრალიასთან. სამაგიეროდ არ წააგეს მესამე - 26:6 მოუგეს საქართველოს ნაკრებს, პრემიალური ქულაც მოიპოვეს და ამის წყალობით გაასწრეს ირლანდიას. ანუ მანამდე აუტსაიდერი არგენტინა მე-5-მე-8 ადგილებისთვის მებრძოლთა შორის მოხვდა.



*გიორგი სოსელიამ და მისმა თანაგუნდელებმა არგენტინელებს ვერაფერი მოუხერხეს.*

ნაკრების მწვრთნელის ლევან მაისაშვილის თქმით, რომელსაც სამხრეთ აფრიკაში დავუკავშირდით, თამაში ამ ანგარიშით წასაგები არ იყო: "პრობლემები ჩვენვე შევუქმენით საკუთარ თავს და არა არგენტინელებმა. მეტოქემ ეს თამაში მოიგო ჩვენი შეცდომების წყალობით". პირველი ტაიმი 7:3 დასრულდა - მეტოქის ლელოს იაშვილის საჯარიმოთი ვუპასუხეთ. მეორე ტაიმში ქართველებმა ხელთ იგდეს უპირატესობა, მაგრამ არგენტინელებმა დაცვაში შესანიშნავად ითამაშეს და ქართველებს ლელო არ გაატანინეს. სამაგიეროდ, ქართველებმა გაატანინეს მათ უხეში შეცდომების წყალობით.

"ძალიან ბევრი შეცდომა დავუშვით. განსხვავება საქართველოსა და არგენტინის ნაკრებს შორის ის იყო, რომ მეტოქემ თავისი შანსი მაქსიმალურად გამოიყენა, ჩვენ კი ხან შეტევაში ვუშვებდით უაზრო შეცდომებს, ხან დაცვაში", - აღნიშნა მაისაშვილმა.

საქართველოს ნაკრებთან ერთად ბოლო ოთხეულში შოტლანდიის, ირლანდისა და იაპონიის ნაკრებები მოხვდნენ. პლეი-ოფის პირველ მატჩს (იგივე ნახევარფინალს) პატარა ბორჯღალოსნები დღეს გამართავენ შოტლანდიის ნაკრებთან. მოგების შემთხვევაში ქართველებს მე-9 ადგილისთვის ბრძოლის შანსი მიეცემათ, მარცხის შემთხვევაში კი ბოლო მატჩი მაინც უნდა მოიგონ, რომ 12-გუნდა ჩემპიონატში მე-11 ადგილი დაიკავონ და ჯგუფში ადგილი შეინარჩუნონ. შანსი იმისა, რომ ეს ვერ შეძლონ, არის, თანაც, არც ისე მცირე. რაგბის ტრადიციებიდან გამომდინარე, წყვილში ფავორიტი შოტლანდიაა. სქოთებმა ჯგუფში ორი მატჩი წააგეს - ინგლისთან 11:32 და უელსთან 12:44, რუმინეთს კი 8:7 მოუგეს.

მეორე წყვილში ალბათ ირლანდია იმარჯვებს. ასე რომ, ადვილი შესაძლებელია, გადამწყვეტი ბრძოლა სწორედ იაპონიასთან მოგვიხდეს, რომელიც ჩვენთან მატჩში ასევე ფავორიტად იქნება მიჩნეული. პრობლემებს ჩვენი ნაკრების თავკაცობას მოთამაშეთა ტრავმებიც უქმნის. ლევან მაისაშვილის თქმით, რამდენიმე მორაგბეს მცირე ტრავმა აქვს და მათი თამაში შოტლანდიის წინააღმდეგ სათუოა.

## ინფოთეკა

### კოული "არსენალში" დარჩენას აპირებს

გაზეთ "სანის" ცნობით, ლონდონის "არსენალის" მცველმა ეშლი კოულმა განაცხადა, რომ კლუბში დარჩენა უნდა. ეს განცხადება კოულმა მას შემდეგ გააკეთა, რაც გუნდის მთავარმა მწვრთნელმა არსენ ვენგერმა აღნიშნა, რომ ფეხბურთელის ხელფასი კვირაში 70 ათას გირვანქა სტერლინგამდე გაიზრდებოდა.

"ფეხბურთელმა არ იცის, რა ელის მომდევნო თამაშის დროს. ამიტომაც სანამ შემიძლია, მეტი უნდა მივიღო", - განაცხადა კოულმა.

### ფერდინანდს კლუბიდან წასვლა არ უნდა

ინგლისური მასობრივი საინფორმაციო წყაროების ცნობით, "მანჩესტერ იუნაიტედის" მცველმა რიო ფერდინანდმა განაცხადა, რომ საკუთარ მომავალს მხოლოდ ამ გუნდის შემადგენლობაში ხედავს - ფეხბურთელს "მანჩესტერთან" კონტრაქტის ვადის გაგრძელება სურს. ამით მან უარყო "ჩელსიში" მისი შესაძლო გადასვლის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია.

"კმაყოფილი ვარ იმით, რომ "მანჩესტერ იუნაიტედში" ვთამაშობ. აქ კიდევ დიდხანს მსურს დარჩენა. არსად გადასვლას არ ვაპირებ", - აღნიშნა მან.

26 წლის ფეხბურთელი "მანჩესტერ იუნაიტედმა" 2002 წლის ივლისში 29 მილიონ ევროდ შეიძინა "ლიდსისგან". მიმდინარე სეზონზე ფერდინანდმა პრემიერ-ლიგაში 25 მატჩი, ჩემპიონთა ლიგაში კი 5 მატჩი ჩაატარა.

### "ბარსელონა" სმითის შეძენითაა დაინტერესებული

ესპანური საფეხბურთო კლუბი "ბარსელონა" ინგლისის "მანჩესტერ იუნაიტედის" ფორვარდის ალან სმითის შეძენის შესაძლებლობას განიხილავს. ბრიტანული პრესის ცნობით, კატალონიელთა მთავარმა მწვრთნელმა ფრანკ რაიკაარდმა, გუნდში თავდამსხმელთა სიმრავლის მიუხედავად (ეტო`ო, რონალდინიო, მაქსი ლოპესი და ტრავმირებული ჰენრიკ ლარსონი), სმითის მიმართ დიდი ინტერესი გამოამჟღავნა. ვარაუდობენ, რომ "ბარსა" მზადაა, ახალგაზრდა ფეხბურთელში 15 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაიხადოს.

### "იუვენტუსი" იბრაგიმოვიჩს კონტრაქტის ვადას უგრძელებს

ტურინის "იუვენტუსმა" თავის შვედ თავდამსხმელს ზლატან იბრაგიმოვიჩს ერთი წლით შესთავაზა კონტრაქტის ვადის გაგრძელება. კლუბის ხელმძღვანელობა კმაყოფილია იტალიის ჩემპიონატზე ფეხბურთელის თამაშით. ზაფხულში "აიაქსიდან" "იუვენტუსში" 19 მილიონ ევროდ გადასულმა იბრაგიმოვიჩმა იტალიურ კლუბში 30 მატჩი ჩაატარა და 12 ბურთი გაიტანა. შვედის მიმდინარე კონტრაქტს 2008 წელს გასდის ვადა.

### კადაფი მზადაა, "ლივერპულს" ახალი სტადიონი აუშენოს

მოამარ კადაფიმ ოფიციალური განცხადება გააკეთა საფეხბურთო კლუბ "ლივერპულის" საკონტროლო პაკეტის ყიდვასთან დაკავშირებით.

ორი წლის წინათ ლიბიის ლიდერი უკვე შეეცადა ლეგენდარული გუნდის შეძენას, მაგრამ მის მიერ შეთავაზებული 200 მილიონი ევრო საკმარისი არ აღმოჩნდა დირექტორთა საბჭოს დასარწმუნებლად. ახლა კი კადაფის მიერ ნახსენები თანხა თითქმის ორჯერ გაიზარდა. აქციისთვის 200 მილიონი ევროს გარდა, ლიბიელი მილიარდერი მზადაა, კლუბს 120 მილიონ ევროდ ახალი სტადიონი აუშენოს.

### "ნიუკასლი" კლუივერტს ემშვიდობება

ინგლისური კლუბის "ნიუკასლის" ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რომ თავდამსხმელს პატრიკ კლუივერტს კონტრაქტი აღარ გაუგრძელოს. ფეხბურთელსა და გუნდს შორის მიმდინარე შეთანხმების თანახმად, კლუბის ხელმძღვანელობას უფლება ჰქონდა, ამ სეზონის ბოლოს ფეხბურთელისთვის კონტრაქტის ვადა კიდევ ორი წლით გაეგრძელებინა, თუმცა, ამაზე უარი თქვა. ამის გამო ამ ზაფხულს ჰოლანდიელი კლუბს შეიცვლის. მის მიმართ უკვე დიდი ინტერესი გამოამჟღავნეს ჰოლანდიის "აზ 67"-მა, თურქეთის "გალათასარაიმ" და "ფენერბახჩემ".

## საფეხბურთო გალერეა

# პელე: „ბრაზილიაში შესანიშნავი ხალხი ცხოვრობს!“

### პელე

***ედსონ არანტეს დო ნასიმენტო***

***დაიბადა*** *1940 წლის 23 ოქტომბერს*

*თავდამსხმელი*

***კლუბები:*** *"სანტოსი" (სანტოსი, ბრაზილია, 1956-1974). "კოსმოსი" (ნიუ-იორკი, აშშ, 1975-1977)*

***ტიტულები:*** *ბრაზილიის ჩემპიონი - 1968, ბრაზილიის თასი - 1961, 1962, 1963, 1964, 1965, 1968, სან-პაულუს შტატის ჩემპიონი - 1956, 1958, 1960, 1961, 1962, 1964, 1965, 1967, 1968, 1969, 1973, რიო-სან-პაულუს შტატის ჩემპიონი - 1968, ჩრდილოამერიკის ლიგის ჩემპიონი - 1977, ლიბერტადორესის თასის მფლობელი - 1962, 1963, საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელი - 1962, 1963, სან-პაულუს შტატის ჩემპიონატის ბომბარდირი - 1957 (17 გოლი), 1958 (58 გოლი), 1959 (45 გოლი), 1960 (33 გოლი), 1961 (47 გოლი), 1962 (37 გოლი), 1963 (22 გოლი), 1964 (34 გოლი), 1965 (49 გოლი), 1969 (26 გოლი), 1973 (11 გოლი), ბრაზილიის თასის გათამაშების ბომბარდირი - 1961 (7 გოლი), 1963 (8 გოლი), 1964 (7 გოლი), ლიბერტადორესის თასის გათამაშების ბომბარდირი - 1965 (8 გოლი), სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატის ბომბარდირი - 1959 (9 გოლი), მსოფლიოს ჩემპიონი - 1958, 1962, 1970, სამხრეთ ამერიკის ვიცე-ჩემპიონი - 1959, სამხრეთ ამერიკის საუკეთესო ფეხბურთელი ("ელ მუნდო", ვენესუელა) - 1973, მეოცე საუკუნის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი (ფიფა) - 2000, მეოცე საუკუნის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი (ფისსფ) - 2000, მეოცე საუკუნის სამხრეთ ამერიკის საუკეთესო ფეხბურთელი (ფისსფ) - 2000, მეოცე საუკუნის ბრაზილიის საუკეთესო ფეხბურთელი (ბფკ - ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაცია) - 2000, მეოცე საუკუნის მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენი (სოკ - საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი) - 2000, მეოცე საუკუნის ბრაზილიის საუკეთესო სპორტსმენი (ბოკ - ბრაზილიის ოლიმპიური კომიტეტი) - 2000*

*ბრაზილიის ნაკრებში ჩატარებულ 92 შეხვედრაში გაიტანა 77 გოლი კარიერის მანძილზე ჩატარებულ 1363 ოფიციალურ შეხვედრაში გაიტანა 1281 გოლი, "სანტოსის" ყველა დროის სიმბოლური ნაკრების წევრი (ჟურნალ "პლაკარის" 1982 და 1994 წლების გამოკითხვა), 1994-1998 წლებში ბრაზილიის სპორტის მინისტრი, ბრაზილიის ისტორიაში პირველი შავკანიანი მინისტრი, კარიერის მანძილზე შეასრულა 92 ჰეთ-თრიქი, 1956 წლის 7 სექტემბერს პირველი შეხვედრა ჩაატარა "სანტოსის" შემადგენლობაში. მისმა გუნდმა 7:1 მოიგო და პელემ ერთი გოლი გაიტანა. 1974 წლის 3 ოქტომბერს უკანასკნელად ითამაშა "სანტოსის" შემადგენლობაში.*







ლაშა გოდუაძე

მსოფლიო ფეხბურთის მეფე - პელე ავტობიოგრაფიის დაწერას აპირებს. ამის შესახებ ყველა დროის უდიდესმა ფეხბურთელმა ცოტა ხნის წინ განაცხადა.

64 წლის ედსონ არანტეს დო ნასიმენტო კვლავაც ყველაზე პოპულარულ ბრაზილიელად რჩება, მიუხედავად იმისა, რომ მისი ახალგაზრდა თანამემამულენი ბებერი კონტინენტის უძლიერეს კლუბებში ბრწყინავენ.

პელეს ფიფა-ს ოფიციალური ინტერნეტ-გვერდის ჟურნალისტები გაესაუბრნენ. "სანტოსის" ლეგენდამ საყვარელ თამაშზე, ფეხბურთელებსა და იმ მიზეზებზე ისაუბრა, რომელმაც რასიზმის წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლაში ფიფას კეთილი ნების ელჩად გახდომა გადააწყვეტინა.

**- მცირე ხნის წინ ფიფას ალმასრულებელი კომიტეტის სხდომას ესწრებოდით. თუ საიდუმლო არ არის, რა საკითხებზე ისაუბრეთ კომიტეტის წევრებმა?**

- თითქმის ყველა საკითხი, რომელიც განვიხილეთ, მნიშვნელოვანია. მე, ჩემი მხრივ, ყველანაირად ვცდილობ, ხელი შევუწყო კოლეგებს მართებული გადაწყვეტილების მიღებაში და სანამ ძალა შემწევს, საყვარელ საქმეს ვემსახურო. ვფიქრობ, მნიშვნელოვანი იყო იუნიორთა და ახალგაზრდული *(შესაბამისად, 17 და 19 წლამდელები - ლ.გ.)* მსოფლიო ჩემპიონატების შესახებ განხილული საკითხები. შევთანხმდით, რომ ამ ასაკის ფეხბურთელთა ტურნირებს ჩვენი კომიტეტი კიდევ დაუბრუნდება. განვიხილეთ მეოთხე მსაჯის საკითხიც. ბევრი თვლის, რომ ის სათანადოდ ვერ ეხმარება მთავარ მსაჯს, ხშირ შემთხვევაში ვერ აჩერებს გუნდების მწვრთნელებს, თუმცა, მე სხვა აზრის ვარ - მეოთხე მსაჯი აუცილებელია!

**- თქვენზე რომ ყოფილიყო დამოკიდებული, რომელ საფეხბურთო წესს შეცვლიდით?**

- შეცვლის რა გითხრათ, უფრო ახალ წესს დავნერგავდი: ის ფეხბურთელი, რომელსაც საჯარიმოს მისადგომებთან წააქცევენ, პირდაპირ კარში დაარტყამს ბურთს და თან ისე, რომ მეტოქეებმა ცოცხალი კედელი ვერ აღმართონ. ვთვლი, რომ ფეხბურთელი, როცა რამდენიმე მოწინააღმდეგეს გასცდება და მერე წესების დარღვევით შეაჩერებენ, ღირსია მეტოქე დასაჯოს. ესაა და ეს. მგონი, ამ ნოვაციით ფეხბურთის სანახაობრივი მხარე გაიზრდება და, რაც მთავარია, თამაში უფრო სუფთა გახდება.

**- არსებობს მოსაზრება, რომ თქვენს დროს ფეხბურთი გაცილებით ლამაზი და მიმზიდველი იყო, ვიდრე ახლა. ამბობენ, რომ დღეს ფეხბურთში დაცვითი სტილი დომინირებს...**

- მინდორზე არაფერი იცვლება. თუ გუნდებს კარგი ფეხბურთელები ჰყავთ, მაყურებელი სპექტაკლს იხილავს, წინააღმდეგ შემთხვევაში - არა. ვფიქრობ, სხვაობა ჩემი დროის და ახლანდელ ფეხბურთს შორის ისაა, რომ დღეს თავდამსხმელი უფრო დაცულია. ცხადია, ეს ყვითელი და წითელი ბარათების "დამსახურებაა". ხშირად შემინიშნავს, რომ მცველები ერიდებიან უკნიდან ფეხებში ვარდნას - გაფრთხილების და გაძევების ეშინიათ. ჩემ დროს კი სხვანაირად იყო - შესაძლოა, მეტოქეს ფეხი მოეტეხა, სანაცვლოდ კი არავის გაეფრთხილებინა. აღსანიშნავია ისიც, რომ სათამაშო სივრცე შეიზღუდა - დღეს ძალიან ბევრი რამაა დამოკიდებული თავად ფეხბურთელზე.

**- დღესდღეობით ვისი თამაში გხიბლავთ?**

- იცით, ძალიან ვერიდები ახლანდელ ფეხბურთელებზე საუბარს - წელს შეიძლება მოთამაშე ბრწყინავდეს, გაისად კი თვალიც ვერ მოჰკრა. თუმცა, ცხადია, გამონაკლისები არსებობს: ზინედინ ზიდანს ჩემს რჩეულთა შორის დაუფიქრებლად დავასახელებდი! საოცარია რონალდინიოც. ჩემი აზრით, ის ერთდროულად უძლიერესიცაა და ულამაზესიც. ის არც გამოკვეთილი ფორვარდია და არც გამთამაშებელი. უბრალოდ, ლიდერია. გოლებიც ბრწყინვალე სტილში გააქვს, მაგალითად, "ჩელსის" კარში შეგდებული ბურთი რად ღირს! რაც შეეხება ჩემს სამშობლოში მოთამაშეებს, უდავოდ ნიჭიერია რობინიო, რომელიც "სანტოსის" ვარსკვლავი გახლავთ. მას ბრწყინვალე მომავალი აქვს, თუმცა, სანამ ევროპაში ათამაშდება, სჯობს ბრაზილიის ჩემპიონატში კიდევ მცირე ხანს ითამაშოს.

**- რობინიომ "რეალთან" წინასწარი ხელშეკრულება უკვე გააფორმა...**

- მას მანამდე შევხვდი და ვუთხარი: "შვილო, მთელი ცხოვრება "სანტოსში" გავატარე და შენ ძალიან ნუ იჩქარებ, სამი-ოთხი წელიწადი კიდევ მოიცადე!" მან სხვანაირად გადაწყვიტა. გასაგებია, რომ ევროპულ კლუბებში ფეხბურთელები დიდ ფულს შოულობენ, მაგრამ ამის თაობაზე ძალიან პრინციპული ვარ - თუ სამშობლოში გიხდიან იმდენს, რომ ოჯახიც არჩინო და თავი ბედნიერად იგრძნო, არ უნდა მიატოვო კლუბი მხოლოდ იმისთვის, რომ უცხოეთში კიდევ უფრო მეტს გადაგიხდიან. თქვენც კარგად იცით, რომ ამ "უფრო მეტის" ძიებამ არაერთი ჩინებული მოთამაშე დაღუპა...

**- ბოლოდროინდელი გარიგებების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, "კორინთიანსი" ბრაზილიის უმდიდრესი კლუბია - გუნდი, ბრაზილიის კვალობაზე, საკმაოდ მდიდარია...**

- კარგია, თუ "კორინთიანსის" მხარდამხარ სხვა ძლიერი გუნდებიც გამოჩნდებიან. პირადად მე მხოლოდ მივესალმები ასეთ გუნდებს. სხვა საქმეა, როგორ დახარჯავენ ეს კლუბები ფულს. "კორინთიანსზე" ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ სატრანსფერო ბაზარზე კარგად იმუშავა - დიდი ფული დახარჯა, მაგრამ მისი შედეგები უკეთესის სურვილს ტოვებს. ალბათ, ესეც გამოსწორდება...

**- ბრაზილიის ჩემპიონატით თუ ხართ კმაყოფილი?**

- ბოლო ორი-სამი წელი მართლა კარგი პირველობები იყო, არაერთი იმედისმომცემი ფეხბურთელი გამოჩნდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბრაზილიის ჩემპიონატმა ნაკრებს კარგი მეკარეები, მცველები და ნახევარმცველები მოუძებნა...

**- წარსულში კი უდიდესი თავდამსხმელები: რონალდო, რონალდინიო, ადრიანო...**

- კომენტარისგან თავს შევიკავებ. მხოლოდ იმას გეტყვით, რომ ბრაზილიის ნაკრებს შესანიშნავი შანსი აქვს, გაისად კვლავ მოიგოს მსოფლიო ჩემპიონატი!

**- თქვენი აზრით, ვის შეუძლია მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონთა დამარცხება?**

- როცა ვამბობ, რომ ჩვენ მსოფლიო ჩემპიონობის შესანიშნავი შანსი გვაქვს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სხვა გუნდებს ანგარიშში არ გავუწიოთ. ეს ისეთი ტურნირია, შეიძლება ექვსი თამაში უმაღლეს დონეზე ჩაატარო და შემდეგ ერთმა მატჩმა ყველაფერი წყალში ჩაყაროს. ამის კარგი მაგალითია 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატი: ბრაზილიის ნაკრები ესპანეთში უძლიერესი იყო, მაგრამ იტალიასთან, ერთ-ერთ უსუსტეს მონაწილესთან დამარცხდა. ჩემი აზრით, წაგება მოწინააღმდეგის დაუფასებლობის ბრალი გახლდათ...

**- 1958 წელს ბრაზილიის ნაკრებმა, რომელშიც თქვენც თამაშობდით, შვედეთში გამართული მსოფლიო ჩემპიონატი მოიგო. მსგავსი რამ მას შემდეგ ვერავინ მოახერხა. ნუთუ ასე ძნელია სამხრეთამერიკული გუნდისთვის ევროპაში მოგება?**

- რა თქმა უნდა, ევროპელებთან სამხრეთ ამერიკაში თამაში უფრო ადვილია! არ ვიცი, რატომ, მაგრამ პირადად მე უცხოეთში თამაშს ყოველთვის სამშობლოში ბურთაობა მერჩივნა.

**- ფიფა დიდ ყურადღებას აქცევს რასიზმთან ბრძოლას. ამ საქმეში თქვენი წვლილის შეტანაც გადაგიწყვეტიათ...**

- რასიზმი საშინელი მოვლენაა, მით უმეტეს, ჩვენს საუკუნეში. პირადად მე შავკანიანობის გამო პრობლემა არ შემქმნია, მაგრამ ვიცი, რომ დღესდღეობით ფერადკანიანი ფეხბურთელები არცთუ იშვიათად აწყდებიან ამ პრობლემას. თუ რაიმეთი შევძლებ მათ დახმარებას, ძალ-ღონეს არ დავიშურებ. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე ფიფას დახმარება.

**- თუ არ ვცდებით, 1958 წელს, შვედეთში, ბრაზილია იყო ერთადერთი გუნდი, სადაც შავკანიანები თამაშობდნენ...**

- ზუსტად ვერ გეტყვით, მაგრამ, ვფიქრობ, მართალი ბრძანდებით. მაშინ 17 წლის ვიყავი და ჩემთვის ყველაფერი უცხო იყო. იცით, როცა შვედეთში ჩავფრინდით და სასტუმროში დავბინავდით, სხვა გუნდების ვარჯიშებზე წავედი და გარშემომყოფებს მხოლოდ ამას ვეკითხებოდი: "კი მაგრამ, სად არიან შავკანიანი ფეხბურთელები?"

**- ერთ-ერთ ადრინდელ ინტერვიუში განაცხადეთ, რომ მეოცე საუკუნის მიწურულს რომელიმე აფრიკული გუნდი აუცილებლად მოიგებდა მსოფლიო ჩემპიონატს. ასე არ მოხდა. საინტერესოა, თვლით თუ არა, რომ 2006 წელს შავი კონტინენტის წარმომადგენლის ტრიუმფს უნდა ველოდეთ?**

- დავიწყოთ იმით, რომ მსგავსი რამ არ მითქვამს, უბრალოდ, განვაცხადე, რომ აფრიკის რამდენიმე გუნდს ძალიან კარგი ფეხბურთელები ჰყავს და დიდი პოტენციალი აქვს. ესაა და ეს. რაც შეეხება 2006 წელს, ვფიქრობ, რომ აფრიკული გუნდები დიდი ტრიუმფისთვის ჯერ მზად არ არიან - გნებავთ ფინანსებით, გნებავთ ინფრასტრუქტურით, ევროპელებს და სამხრეთამერიკელებს კვლავ ჩამორჩებიან.

**- 2010 წელს სამხრეთ აფრიკა უმასპინძლებს მსოფლიო ჩემპიონატს. ამაზე რას იტყოდით?**

- აფრიკელთათვის ეს საუკეთესო შანსი იქნება!

**- არაა გამორიცხული, 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატს ბრაზილიამ უმასპინძლოს. თვლით თუ არა, რომ თქვენი სამშობლო ასეთი დიდი ტურნირის მისაღებად მზადაა?**

- 2010 წელი მართლაც ნაადრევი იქნებოდა, მაგრამ 2014 წლისთვის, ვფიქრობ, ბრაზილია ყველანაირად მზად იქნება მსოფლიო ჩემპიონატისთვის. სხვა თუ არაფერი, ამ შესანიშნავი ტურნირისთვის 1950 წლის შემდეგ არ გვიმასპინძლია.

**- "ესტადიო მარაკანაზე" რას იტყოდით, უმასპინძლებს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალს?**

- რატომაც არა! მართალია, ჯერ არ შეესაბამება სტანდარტებს, მაგრამ, მჯერა, 2014 წლისთვის სრულ მზადყოფნაში იქნება. მთავარი ერთი რამაა - ასეთი ტურნირისთვის ქვეყნის მოსამზადებლად ფინანსები უნდა მოინახოს, თუმცა, არა ხალხის ხარჯზე. თუ სახელმწიფო გადაწყვეტს, რომ გადასახადების გაზრდით მოიძიოს სათანადო თანხა, ხელისუფლების წინააღმდეგი ვიქნები. სხვათა შორის, ეკონომიკურად ისეთმა ძლიერმა ქვეყანამ, როგორიც ამერიკაა, 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატს კერძო დაფინანსების შედეგად უმასპინძლა. გასაგებად რომ ვთქვა, სპონსორები მოიზიდა...

**- ბრაზილიის ხელისუფლებით თუ ხართ კმაყოფილი?**

- ჯერჯერობით კი. ორიოდე კვირის წინ პრეზიდენტ ლულას ვესაუბრე და მისდამი კარგად განვეწყვე, თუმცა, ვიცი, რომ ეს ბევრს არ ნიშნავს. მთავარია, პრეზიდენტი და სხვა პოლიტიკოსები ერთ გუნდში იყვნენ, ქვეყნისთვის კარგი სურდეთ და საქმით დაამტკიცონ სამშობლოს სიყვარული.

**- დაბოლოს, ალბათ, ისიც შეიტყვეთ, უყვარს თუ არა ლულას ფეხბურთი...**

- თავგადაკლული გულშემატკივარია! ყოველთვის ვამბობდი, რომ ბრაზილიაში შესანიშნავი ხალხი ცხოვრობს, მაგრამ მთავრობა არ ვარგა. იმედი მაქვს, რომ ლულა და მისი გუნდი გამონაკლისი იქნება!


BRITISH AIRWAYS

მიიღეთ მონაწილეობა გაზეთ 24საათის და მისი პარტნიორი ავიაკომპანია ბრიტიშ ეარვეისის ვიქტორინაში და მოიგეთ ორი ბილეთი ლონდონის მიმართულებით!

ინფორმაცია ვიქტორინის მონაწილის შესახებ:

სახელი, გვარი

ასაკი

ტელეფონი

საკონტაქტო მისამართი

ელექტრონული ფოსტის მისამართი

1. კვირაში რამდენ რეისს ...

2. ...

3. ...

4. ...

5. ...

6. ...

7. ...

8. ...

9. ...

10. ...

World Traveller

Club World

BMED

GB




### დე ლა პენია შეიძლება "მანჩესტერ იუნაიტედში" ვიხილოთ

Sky Sports-ის ცნობით, "მანჩესტერ იუნაიტედი" დიდ ინტერესს ამჟღავნებს "ესპანიოლას" ნახევარმცველის ივან დე ლა პენიას მიმართ. გამოცემის ცნობით, ესპანეთის ეროვნული ნაკრების ფეხბურთელმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა კლუბის სკაუტებზე, რომელთაც სერ ალექს ფერგიუსონს ურჩიეს ამ ფეხბურთელის შეძენა.

### მოურინიო უეფას არ ემორჩილება

ლონდონის "ჩელსის" მთავარმა მწვრთნელმა ჟოზე მოურინიომ უარი თქვა, ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალური მატჩის წინ ("ჩელსი" - "ბაიერნი") პრესკონფერენციაზე გამოცხადებულიყო. სამაგიეროდ, შეხვედრაზე გაუშვა ერთ-ერთი მწვრთნელი რუი ფარია და თავდამსხმელი მიქაელ ფორსელი, ფეხბურთელი, რომელიც არ შედის გუნდის ძირითად შემადგენლობაში.

მოურინიოს საქციელით უკმაყოფილო დარჩა უეფას დელეგატი ვოლფგანგ აიხლერი: "სამწუხაროდ, ასეთი საქციელისთვის სასჯელი არ არსებობს. არ შეგვიძლია ვინმეს რამე დავაძალოთ. თუმცა, მოურინიოს მხრიდან უპატივცემულობის გამოხატვა უეფას ანგარიშში აუცილებლად იქნება მოხსენიებული", - განაცხადა დელეგატმა.

*მოამზადა ნინო ტიკარაძემ*

## TV-სპორტი

### ოთხშაბათი. 13 აპრილი

**НТВ+ФУТБОЛ**

12:00 თავისუფალი დარტყმა

12:20 ჩემპიონთა ლიგა. მეოთხედფინალი. "ბავარია" - "ჩელსი". საპასუხო მატჩი

14:15 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა

15:10 ინგლისის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა

16:05 თავისუფალი დარტყმა

16:20 ჩემპიონთა ლიგა. მეოთხედფინალი. "ინტერი" - "მილანი". საპასუხო მატჩი

18:15 ლიბერტადორესის თასი. მატჩების მიმოხილვა

18:45 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა

19:45 თავისუფალი დარტყმა

20:00 სახვალიო ტელეპროგრამა

20:05 ჰოლანდიის ჩემპიონატი. "აიაქსი" - "A3-67"

21:50 "FUTBOL MUNDIAL"

22:20 ჩემპიონთა ლიგა. მეოთხედფინალი. "იუვენტუსი" - "ლივერპული". საპასუხო მატჩი. პირდაპირი ტრანსლაცია

00:35 ჩემპიონთა ლიგა. მეოთხედფინალი. პსვ - "ლიონი". საპასუხო მატჩი

**НТВ+ПЛЮС**

10:00, 13:15, 16:10, 18:45, 21:00 პრესცენტრი

10:20, 21:15 "ქრონიკა"

10:25 "ჰარმონიის ფორმულა"

10:45 თავისუფალი ჭიდაობა. ევროპის ჩემპიონატი ბულგარეთში. ფინალები: 60კგ, 74კგ, 96კგ

12:15 "ვარსკვლავური სამშაბათი"

13:30 ჰოკეი. სტენლის თასის რეტროსპექტივა. 2001 წელი. მეოთხედფინალი. "BUFFALO SABRES" - "PITTSBURGH PENGUINS". მე-7 მატჩი

16:25 სინქრონული ცურვა. რუსეთის ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია

17:45 სპორტული ცეკვები. რუსეთის ჩემპიონატი ლათინოამერიკულ სიკვეიუში და მსოფლიო თასი პროფესიონალთა შორის IDU-ს ვერსიით

18:55 თავისუფალი ჭიდაობა. ევროპის ჩემპიონატი ბულგარეთში. ფინალები: 55კგ, 66კგ, 84კგ, 120კგ. პირდაპირი ტრანსლაცია

21:20 სახვალიო ტელეპროგრამა

21:30 ჩოგბურთი. "Masters Series" მონტე კარლოში

23:00 ცხენოსნობა. სტიპლჩეიზი. "Grand National" ლივერპულში

00:15 ახალი ამბები

00:30 სინქრონული ცურვა. რუსეთის ჩემპიონატი

**EUROSPORT**

10:30 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა

11:00 ფეხბურთი - ევროგოლები

12:00 მულტისპორტი - აი, მესმის!

12:30 წყალში ხტომა - ევროპის თასი შვედეთში

14:00 სადარბაზო ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. იბიცა

15:00 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა

16:00 სუმო. შეჯიბრება იაპონიაში

18:00 სადარბაზო ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. იბიცა

19:00 ტაიკვანდო. მსოფლიო ჩემპიონატი ესპანეთში. პირდაპირი ტრანსლაცია

21:00 მულტისპორტი - აი, მესმის!

21:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ახალი ზელანდია. მიმოხილვა

22:30 გოლფი. სპეციალური მიმოხილვა

00:00 აფროსნობა

00:30 მულტისპორტი ოთხშაბათობით

00:45 სუმო. შეჯიბრება იაპონიაში

01:45 ახალი ამბები

02:00 ფეხბურთი - უეფას თასი

03:00 მულტისპორტი - აი, მესმის!

## განდობის გზა და სიმბოლიზმი



*მასონთა დარბაზი ლონდონში*

მიუხედავად ყველას მიერ აღიარებული საიდუმლოებისა, მასონთა ინიციაციის რიტუალი მრავალგზის იყო აღწერილი. აქ მთავარი ისაა, რომ ადამიანი ორგვარად აღიქმება: პროფანი, ანუ ზიარებას მოკლებული ადამიანი და ზიარებული, ანუ მასონი. ინიციაციის რიტუალის საზრისი კი ისაა, რომ პროფანი უნდა მოკვდეს და მის მაგიერ მასონი დაიბადოს.

ამგვარ კონცეფციაში არაფერია ახალი: თვით ქრისტიანული ნათლობის არსიც ძველი კაცის სიკვდილსა და ახლის დაბადებაშია. ნათლობის სტიქიად კი წყალი იმიტომაა არჩეული (ერთ-ერთი თეოლოგიური თვალსაზრისით), რომ ერთდროულად შეიცავს სიცოცხლის საწყისსა და სიკვდილის საფრთხეს (თუნდაც წარღვნა გავიხსენოთ).

მაგრამ მასონთა რიტუალში სტიქია უკვე ერთი კი არა, ოთხია: განდობილმა უნდა გაიაროს გამოცდა მიწით, ჰაერით, წყლითა და ცეცხლით. ოღონდ აქ საქმე ეხება მხოლოდ რიტუალებს, ჭეშმარიტი ინიციაცია კი, როგორც მასონთა დიდი ლოჟის სახელმძღვანელო გვამცნობს, რიტუალურისგან განსხვავდება და მისტიკურად წარმოებს. მასონთა იდეოლოგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი ისაა, რომ აქ საკმაოდ მკვეთრად განასხვავებენ ერთმანეთისაგან სინამდვილესა და რიტუალს. სახელმძღვანელოში პირდაპირაა ნათქვამი: "მასონად კურთხევის რიტუალი მხოლოდ სპექტაკლია, რომელმაც უნდა მიანიშნოს ახლად განდობილს, როგორ უნდა მოიქცეს ცხოვრებაში, რა პრინციპებს უნდა მისდიოს, რომ სრულად დაეუფლოს საკუთარ შესაძლებლობებს".

ინიციაციის მიზანი ისაა, რომ მიიყვანოს პიროვნება შინაგანი განათლების მდგომარეობამდე, მისი "მეს" შიგნით დაფარული იდუმალი სინათლის აღქმამდე. მასონებისთვის ყოველთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი იყო სიტყვები "იქმენინ ნათელი!", რომლებიც ღმერთმა (მასონთა სიმბოლიკაში — უზენაესმა ხუროთმოძღვარმა) წარმოთქვა ქვეყნიერების შექმნისას. ამიტომ მასონები თავიანთ თავს "სინათლის შვილებად" მოიხსენიებენ.

მასონური ინიციაციის გზა, თავისი არსით, ინტუიციურია. მასში უმთავრესად სიმბოლოები გამოიყენება. მასონობაში შემსვლელმა სიმბოლოების აზრის გახსნით, ანალოგიებისა და მიახლოების გზით უნდა მიაღწიოს მდგომარეობას, როცა თავის ძმებს შინაგანად შეუერთდება და მათთან თანამზრახველობას იგრძნობს. სიმბოლოთა ინტერპრეტაციის მეთოდი საუკუნეების განმავლობაში გამოიყენებოდა, ეს ერთ-ერთი ყველაზე მოსახერხებელი გზაა რომ განცხადდეს და განხორციელდეს ადამიანებისა და იდეების კავშირი დროსა და სივრცეში. სიმბოლო პლასტიკური ნიშანია და ის სიტყვიერ ენაზე ბევრად უფრო ეფექტურია, რადგან კი არ ბატონობს ადამიანის გონებაზე, წინასწარ ინსტრუქციებს კი არ აძლევს მას, არამედ თავისუფლად ამოქმედებს. თუმცა ამასთან ერთად, იშლება ყოველი საზღვარი და სიმბოლოთა ინტერპრეტაცია ყოველგვარ ზომას კარგავს.

მაგალითისთვის მოვიყვანთ პირამიდის გამოსახულებას აშშ დოლარზე. გამოსახულება სრულიად ადეკვატურად ასახავს თავის არქეტიპს: ეს მართლაც პირამიდაა, მაგრამ აზრი, რომელსაც ის შეიცავს და შთააგონებს მნახველს უკვე უსასრულოდ დაშორებულია იმ აზრსა და გრძნობას, რომელიც ადამიანებს მისი პირველსაწყისი უნერგავდა. სიმბოლოების უკონტროლოდ მიშვებული ახსნა-განმარტება სრულიად ნებისმიერ საზრისებს მოიზიდავს ხოლმე და შეუმჩნევლად შორდება თავის პირველწყაროს.

თუ გავიხსენებთ მასონთა ასოციაციებში არაპროფესიონალთა გამარჯვებას, რომელიც XVII საუკუნიდან დაიწყო, და 1717 წელს წარმატებით დაგვირგვინდა, გასაგები ხდება, რომ, ერთი მხრივ, მასონთა რიტუალებსა და იდეოლოგიას მუდამ თანსდევს დილეტანტური სულისკვეთება, მეორე მხრივ კი ამგვარი მიდგომა საოცრად ელასტიური და სიცოცხლისუნარიანია.

ასეა თუ ისე, მასონური სიმბოლიკა ან რელიგიიდანაა აღებული, ან ალქიმიიდან და ასტროლოგიიდან. სიმბოლოები მხოლოდ გამოსახულებები და საგნები არაა: სიმბოლოთა რანგშია აყვანილი ლეგენდები, ჟესტები, სიტყვები. თვით ფორმულა "ქვეყნიერების უზენაესი ხუროთმოძღვარი" ღმერთის აღმნიშვნელი სიმბოლოა. აქ, შეიძლება ითქვას, ღმერთის ერთი ყველაზე უფრო თვალსაჩინო ატრიბუტია აღებული — ქვეყნიერების შემოქმედი — რომელსაც დაეთანხმება ყოველი ცალკეული მონოთეისტური რელიგიის წარმომადგენელი.

ძირითადი სიმბოლური ელემენტებიდან ყველაზე პოპულარულია:

1) რელიგიური სიმბოლოები:

**სამკუთხედი**: მანათობელი ასო დელტა, სამი წერტილი. აღნიშნავს ყოვლადწმინდა სამებას. სამი წერტილი ხშირად გამოიხატება იმის აღსანიშნავად, რომ რომელიმე აბრევიატურა ან სიტყვა საკუთრივ მასონური შინაარსისაა.

**სოლომონის ტაძარი**: მასში არსებული საგნები და მორთულობა.

**მანათობელი ვარსკვლავი**: შინაგანი განათლების სიმბოლო.

**მთავრული ასო G**: პირველი ასო ბერძნული სიტყვისა "გნოსის" — ცოდნა.

ასევე გამოიყენება რიცხვების სიმბოლიკა, რომელიც მასონებმა პითაგორელებისაგან ისესხეს.

2) ჰერმეტიკული სიმბოლოები:

**ოთხი სტიქია**: ცეცხლი, ჰაერი, წყალი და მიწა.

**დიდი შემოქმედების სამი ელემენტი**: გოგირდი, მარილი, ვერცხლისწყალი. აქედან, რა თქმა უნდა, ქიმიური თვალსაზრისით ელემენტი მხოლოდ ორია — გოგირდი და ვერცხლისწყალი.

**ფორმულა** VITRIOL: რომანულ ენებში სიტყვა შაბიამანს ნიშნავს, მაგრამ აქ ლათინური ფრაზის აბრევიატურაა — "შედი დედამიწის სიღრმეში და განწმენდილი იპოვი იდუმალ ქვას". ეს აბრევიატურა ეწერა ოთახში, სადაც ინიციაციას აწარმოებდნენ.

3) მასონთა ხელსაწყოები:

გონიო — გონების სიმართლე; ფარგალი — სიბრძნე; ხის ჩაქუჩი — მყარი ნება; მაკრატელი — კეთილგონიერება და საღი აზრი; შვეული — სამართლიანობა და პრინციპულობა; თარაზო — თანასწორობა; სახაზავი — სიზუსტე; ქაფჩა — ძმური სიყვარული.

რაც შეეხება წინსაფარს, რომელსაც მასონები სადღესასწაულო რიტუალებისას ატარებენ, ის მუდმივი დაუღალავი შრომის სიმბოლოა. მაგრამ ყველაზე დატვირთული ალბათ ეგრეთ წოდებული სამი დიადი ცეცხლის სიმბოლოა. იგულისხმება გაშლილი ბიბლია, რომელზედაც დასვენებულია გონიო და ფარგალი: ამ, თანამედროვე სიტყვებით რომ ვთქვათ, ინსტალაციას, ჩვეულებრივ, დიდი ოსტატის საკურთხეველზე დგამდნენ.

# მასონთა შეულამაზებელი ისტორია II

პროფესიული თავისუფალი ქვისმთლელები არასოდეს შემოიფარგლებოდნენ პრაქტიკული საქმიანობით. გარკვეული დრო ყოველთვის ეთმობოდა მჭვრეტელობით მოღვაწეობას. ამ სფეროში კი რელიგიური ინტერესი იყო უმთავრესი. თუ წარმართულ რომში მშენებელთა ყოველ კოლეგიას თავისი მფარველი ღვთაება ჰყავდა, შუა საუკუნეებში მასონთა ლოჟები განსაკუთრებულ პატივს სცემდნენ მფარველ წმინდანს. ამათგან კი ყველაზე პოპულარულები იყვნენ ე. წ. გვირგვინოსანი მოწამეები, რომელთა შესახებ წინა პუბლიკაციაში გვქონდა საუბარი. მაგრამ თავისუფალი მასონები, როგორც გვახსოვს, უმთავრესად ორ იოანეს — ნათლისმცემელსა და მოციქულს — ეთაყვანებოდნენ. ამ წმინდანებს ცენტრალური როლი ენიჭებოდათ მასონური ინიციაციის, ანუ განდობის რიტუალებში.

უნდა აღინიშნოს, რომ თავიდანვე მასონთა რელიგიური თვალსაზრისები სრულიად შეთანხმებული იყო გაბატონებული ეკლესიის, ანუ რომაული კათოლიციზმის მოთხოვნებთან. დღეს ზოგიერთი მკვლევარი ამტკიცებს, რომ შეინიშნებოდა მათი კავშირი ერეტიკულ ჯგუფებთან და არქაული წარმართობის თუ მანიქევლობის აღმსარებლებთან. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, როგორ ეპოქაში ცხოვრობდნენ მასონები: შუა საუკუნეების ევროპაში დუღდა და გადმოდუღდა იდეები — ტაძრებში ვხედავთ უცნაურ გამოსახულებებს, ტექსტებში კი საკმაოდ თავისუფალი ინტერპრეტაციები. შეიძლება დავსვათ საკითხი, თუ რატომ არ შეაჩვენა ეკლესიამ როგორც ერეტიკოსები დანტე ალიგიერი, მაისტერ ეკჰარტი, იაკობ ბემე. მაგრამ ერეტიკოსად არავის აღიარებდნენ, თუ ამისთვის არ იყო დამატებითი პირობები: ძირითადი დოგმატების აშკარა უარყოფა, ეკონომიკური ან პოლიტიკური ინტერესები და ა. შ. ასე რომ, შუა საუკუნეებში სრულიად ჩვეული რამ იყო კოცონზე ასული "ორთოდოქსიცა" და სიცოცხლის ბოლომდე არხეინად მოღვაწე "ერეტიკოსიც".

ამასთან ერთად, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ თავისუფალი ქვისმთლელების ერთადერთი დამახასიათებელი ნიშანი იყო ქვის ზედაპირზე ამოკვეთილი სიმბოლო. ეს სიმბოლოები პირველ მასონთა მსოფლმხედველობის ერთადერთი მოწმეებია, ამიტომაც მკვლევართა თვალსაზრისების სპექტრიც საკმაოდ ფართო შეიძლება აღმოჩნდეს. სინამდვილეში ამ ნიშნებისა და პრიმიტიული სკულპტურების მიამიტი ეროტიზმი სულაც არ ყოფილა ღვთის გმობა ან მკრეხელობა — სხვა თუ არაფერი, ეკლესიათა მშენებლობისას მასონები ყოველთვის შეკვეთას ასრულებდნენ და არავინ მისცემდა ღვთის სადიდებლად აგებული ტაძრის შეურაცხყოფის უფლებას. პირიქით, შუა საუკუნეებისთვის დამახსიათებელი მარტივი ზნეობის თანახმად, ეს ზედმეტად ნატურალისტური გამოსახულებები აღნიშნავდნენ ადამიანის სიმდაბლეს, მის უსასრულო დაშორებას ღვთისგან და მათ მნახველში სწორედ მორალური გრძნობის აღძვრა ევალებოდათ.

მასონთა საძმოების ადრეულ ქარტიებში წამდაუწუმ მეორდება ფრაზა: "თავისუფალი ქვისმთლელის უპირველესი მოვალეობაა ღვთისა და წმინდა ეკლესიის ერთგულება, ერესებისა და ცდომილებების თავიდან აცილება". ცნობილ მასონურ ძეგლში "სამეფო ხელნაწერი" ვკითხულობთ, რომ ინიციაციის რიტუალისას ოსტატი ამბობდა შემდეგს: "ახლა კი ვილოცოთ ყოვლისშემძლე ღვთისა და მისი ყოვლადწმინდა დედის, მარიამის მიმართ, რათა მათი შეწევნით ყოველგვარ გარემოებაში აღვასრულოთ მათი უწმინდესი დოგმატები, მსგავსად ჩვენი საზოგადოების სამკაულის, ოთხი გვირგვინოსანი მოწამისა".

მაგრამ ყოველივე ზემოთქმულში მნიშვნელოვანი ისაა, რომ დროთა განმავლობაში ქმედით, ანუ ოპერაციულ მასონობას თანდათანობით ენაცვლება ინტელექტუალური, მჭვრეტელობითი ანუ სპეკულაციური მასონობა.

ეს მიმდინარეობა კიდევ უფრო განვითარდა მაშინ, როცა საძმოებში ვიწრო პროფესიონალებთან ერთად გამოჩდნენ ე. წ. "დაშვებული მასონები". ეს იყვნენ პირები, რომლებიც არ ფლობდნენ მშენებლის ან ხუროთმოძღვრის პროფესიას. ასეთი ადამიანები, უმთავრესად, ნიჭიერი და ძლიერი ხასიათის მქონე პირები



*უძველესი მასონური გამოსახულებები ინგლისურ გოთურ ტაძარში*

მასონთა საძმოებისკენ სამი უმთავრესი მიზეზით მიისწრაფოდნენ:

1. თავისუფალ ქვისმთლელთა გაერთიანებები შუა საუკუნეებისთვის მეტად იშვიათი იურიდიული ორგანიზაციები იყო, სადაც თავისუფლებისა და დაცულობის შეგრძნება უპრეცედენტო ზომას აღწევდა.

2. მასონები მაღალი დონის პროფესიონალები იყვნენ და ტაძრებისა თუ მონასტრების მშენებლობისას ყოველთვის აწყდებოდნენ მათ პროფესიასთან უშუალოდ დაუკავშირებელ პრობლემებს. ეს ქმნიდა სხვა ყაიდის ადამიანებთა — ფილოსოფოსებთან, ალქიმიკოსებთან, ექიმებთან, მხატვრებთან, ღვთისმეტყველებთან — ურთიერთობისა და აზრთა გაზიარების აუცილებლობას.

3. მასონთა საძმოები ერთადერთი კანონიერი გაერთიანებები იყო, რომლებიც არ ყოფილან იურიდიულად მიმაგრებულნი რომელიმე ადგილს. მუდმივი უსაფრთხო მოგზაურობის იდეას შუა საუკუნეებშიც მრავალი მიმდევარი ჰყავდა.

რა თქმა უნდა, წევრთა პროფესიული და წოდებრივი სპექტრის გაფართოებას სხვა მრავალი მიზეზი ჰქონდა და ეს პროცესი საკმაოდ ადრე დაიწყო. უკვე "სამეფო ხელნაწერში" ვკითხულობთ, რომ არსებობენ "დიდგვაროვანი მოწაფეებიც". განსაკუთრებით საკვირველია, რომ XIV საუკუნიდან დიდგვაროვანი ფენის წარმომადგენლები ესწრაფოდნენ ხელოსანთა გაერთიანებაში ჩაწერას.

მაგრამ ეს გაკვირვება იმწამსვე გაგვივლის, თუ გამოვიკვლევთ, რა ხდება თავისუფალ ქვისმთლელთა კორპორაციებში ახალი დროის, ანუ XVII საუკუნის ზღურბლზე. ამ დროს საძმოებში წარმოიქმნება ორი ფენა: ერთი მხრივ, მაღალპროფესიული მშენებლები და ხუროთმოძღვრები, მეორე მხრივ კი "დაშვებული მასონები", ანუ ადამიანები, რომლებსაც პროფესიული ხელოვნების მაგიერ ჰქონდათ მხოლოდ ზოგადი განათლება და ინტელექტუალური ამბიციები. პირველები აშკარად ამჩნევდნენ, რომ ძველი სიმბოლიკა, რიტუალები, არქიტექტურული და სხვა მეტაფორები, ანუ ყოველივე ის, რაც საუკუნეების განმავლობაში ქმნიდა საზოგადოებათა პრესტიჟსა და უკვე ხსენებულ საიდუმლოების იერს, ახალ ეპოქაში უკვე ყავლი გაუვიდა. პროფესიონალებს სხვა, უფრო ღია და ყოველგვარი მისტიკისაგან დაცლილ საწყისებზე სურდათ გადასვლა, რათა უფრო ადვილად და უშუალოდ შესულიყვნენ ურთიერთობაში კლიენტებთან.

მაგრამ "დაშვებულ მასონებს" არ სურდათ ძველი სიმბოლიკისა და დახურულობის დათმობა: მათ, ვისაც პროფესიული უნარები არ გააჩნია, ყოველთვის სჭირდებათ გარეგნული ეფექტები. მომავალშიც ყოველთვის ასე იქნება: თავიანთი იდუმალებით მასონები უფრო ეფექტურად იცავდნენ თავს გარე ზემოქმედებისგან, ვიდრე თვითონ ახდენდნენ გავლენას სინამდვილეზე.

XVII საუკუნისთვის კორპორაციებში "დაშვებულ მასონთა" რიცხვი და მათი ძლიერება უკვე სჭარბობდა პროფესიონალებს. ასიოდე წლის განმავლობაში სიტყვა "ქვისმთლელი" თანდათანობით უბრალო მეტაფორად, რიტუალის ნაწილად გადაიქცა. ეს სხვა ქვეყნებზე ადრე სწორედ ინგლისში მოხდა. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ინგლისში თავისუფალ ქვისმთლელთა საძმოები ყველაზე დიდხანს მოქმედებდნენ და მათი სახელი საყოველთაოდ იყო ცნობილი. მათ პატივს სცემდნენ.

რაც შეეხება საფრანგეთს, აქ მშენებელთა კორპორაციებს სამეფო ხელისუფლება უფრო ბოროტად უყურებდა, რადგან ყოველთვის არსებობდა ეჭვი, რომ ამ დახურულ გარემოში განუწყვეტლივ მწიფდება შეთქმულებები და ყვავის თავისუფალი, სამეფო კონტროლს დაუქვემდებარებელი აზროვნება. საფრანგეთში ქვისმთლელთა გილდიებს ხშირად საგანგებო განჩინებით ანუ ორდონანსით კრძალავდნენ კიდეც: ეს მოხდა, მაგალითად, 1306, 1382, 1539 წლებში. ასევე მტრობდა ფრანგ მასონებს პარლამენტიც: 1501 და 1524 წლის დადგენილებებით მასონობა აიკრძალა. ამან საბოლოოდ მაინც ვერ ამოძირკვა საფრანგეთში ხელოსანთა თავისუფალი და კორპორაციული სულისკვეთება, მაგრამ ინგლისურისგან განსხვავებით, ფრანგული საძმოები უკვე ვეღარ ჩაითვლებოდნენ საერთო ძველი ტრადიციის დამცველებთან: მათი ყურადღების ცენტრში მხოლოდ საკუთარი ინტერესების დაცვა რჩებოდა.

მსგავსი ვითარება სუფევდა გერმანიაშიც: აქ ხელოსანთა თავისუფალ გაერთიანებას ხან ქალაქის არისტოკრატია უშლიდან ხელს, ხან — ადგილობრივი ფეოდალები, ხანაც თვით იმპერატორი.

ინგლისური დემოკრატიული ტრადიციები კი ხელოსნებს უფრო სწყალობდა: ჯერ კიდევ 1439 წელს შოტლანდიის მეფე ჯეიმს II-ის განჩინებით ინგლისელ მასონთა ლოჟების მემკვიდრეობით დიდ ოსტატებად დაინიშნენ სენ-კლერ დე როსლინის გვარის არისტოკრატები. ჯეიმს V-ის, მარიამ სტიუარტის მამის მმართველობისას კი დიდი ოსტატი სენ-კლერი სამეფო ხარჯზე გაემგზავრა იტალიაში. იქიდან ენთუზიაზმით აღსავსე დაბრუნდა, რადგან იტალიელი მასონები გაიცნო და შოტლანდიელებთან ერთ საერთაშორისო ლოჟაში შეაერთა ისინი. ლოჟა სამეფო ხელისუფლების ეგიდით მოღვაწეობდა.

ამის შემდეგ თავისუფალ ქვისმთლელთა ლოჟებში ერთმანეთს ეხამებოდა პროფესიული და შემოსული ელემენტები. მაგრამ დროთა განმავლობაში მეორის უპირატესობა სულ უფრო შესამჩნევი ხდებოდა. ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ 1717 წლის 24 ივნისს ზაფხულის წმ. იოანეს ეკლესიაში შეიკრიბნენ ოთხი ლონდონური ლოჟის წარმომადგენლები. ამ ლოჟებს ჩვენი გემოვნებისთვის მეტად სასაცილო სახელები ჰქონდათ: "ბატი და ტაფა", "გვირგვინი", "ვაშლის ხე", "თასი და ყურძენი". მაგრამ ეს ლონდონური ტავერნების სახელები იყო, სადაც თავისუფალ ქვისმთლელთა ხსენებული ლოჟები იკრიბებოდნენ ხოლმე სადღესასწაულოდ. 1717 წლის შეხვედრაზე გადაწყდა ლოჟათა გაერთიანება და ერთი დიდი ლონდონური ლოჟის ჩამოყალიბება.

დიდ ლონდონურ ლოჟაში უკვე საერთოდ აღარ იგრძნობოდა პროფესიული ელემენტი. იმ დღიდან მასონთა ატრიბუტებში მშენებელთა და ხუროთმოძღვართა დამახასიათებელი საგნები ცარიელ სიმბოლოებად იქცა. ცვლილება მართლაც რევოლუციური იყო: ოპერაციული ანუ ქმედითი მასონობა აღარ არსებობდა.

დიდი ლონდონური ლოჟის ოსტატად აირჩიეს **ენტონი სეიერი**. ზუსტად ერთ წელიწადში, 1718 წლის 24 ივნისიდან იგი **ჯორჯ პეინმა** შეცვალა. ამ უკანასკნელმა განკარგულება გასცა, შეეგროვებინათ ადრინდელ მასონურ გაერთიანებათა ყველა შემორჩენილი ქარტია და წესდება. ახალი წესდების შედგენა დაევალა შოტლანდიელ პასტორს, **ჯეიმს ანდერსონს**. ზოგიერთი ცნობის თანახმად, ეს მღვდელი საკმაოდ საშუალო გონების პატრონი იყო და ვერ გაართმევდა თავს ამ საპასუხისმგებლო და ძნელ საქმეს. როგორც ეტყობა, ძირითადი იდეები ეკუთვნოდა ლონდონური ლოჟის მესამე ოსტატს, **ჟან ტეოფილ დეზაგიულიეს** (1683 - 1744). ეს პიროვნება უკვე ნამდვილი მასონი იყო, ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით: წარმოშობით ფრანგი, ლა-როშელიდან, პროტესტანტი მღვდლის ვაჟი, ნანტის ედიქტის გაუქმების შემდეგ ინგლისში გაქცეული. ნანტის ედიქტი ფრანგ კათოლიკეთა და პროტესტანტთა შორის სისხლისღვრას კრძალავდა, მაგრამ პოლიტიკურ კლიმატს დიდი ხნით დათბობა არ სჩვევია ხოლმე. ჰუგენოტი დეზაგიულიე გულში ატარებდა კათოლიკური ეკლესიის მიმართ სიმწარეს. განათლება კი მეტად ფართო ჰქონდა: ფიზიკოსი, მათემატიკოსი, სამართლის დოქტორი, უელსის ჰერცოგის პირადი მოძღვარი, ინგლისის სამეფო საზოგადოების წევრი და **ისააკ ნიუტონის** მეგობარი იყო.

დეზაგიულიეს მიერ იყო შთაგონებული, მაგალითად, მასონთა მოვალეობების პირველი მუხლი, რომელიც ეხებოდა რელიგიასთან დამოკიდებულებას: "მასონი თვით თავისი მდგომარეობის თანახმად ემორჩილება მორალის კანონებს და, თუ კარგად ესმის მასონთა ხელოვნება, ვერ გახდება ვერც უგუნური ათეისტი და ვერც უზნეო უკეთური. თუმცა ძველ დროში, თითოეულ ქვეყანაში მასონები იძულებულნი იყვნენ, ეღიარებინათ ის რელიგია, რომელიც ამ ქვეყანაში არსებობდა, დამოუკიდებლად იმისაგან, რა რელიგია იყო ეს, ჩვენს დროში უფრო მართებულად მიჩნეულია, რომ მასონები ემორჩილებოდნენ იმ რელიგიას, რომლის მიმართ ადამიანები ეთანხმებიან ერთმანეთს. ამავე დროს, თითოეული ინარჩუნებს საკუთარ აზრს. ეს ნიშნავს, რომ მასონები უნდა იყვნენ პატიოსანი და ერთგული, გულწრფელი და ღირსეული ადამიანები, როგორიც არ უნდა იყოს ჩვენი რელიგიური სარწმუნოება და რა დოგმატებითაც არ უნდა განვსხვავდებოდეთ სხვა ადამიანებისაგან. ამგვარად, მასონობა იქცევა ერთიანობის ცენტრად და ადამიანთა შორის მეგობრობის საშუალებად, რომლის გარეშეც ადამიანები ერთმანეთისაგან მარადიულ გაუცხოებაში იქნებოდნენ".

როგორც ვხედავთ ეს რელიგიური შემწყნარებლობის ნამდვილი მანიფესტია. მაგრამ არ უნდა მოვტყუვდეთ: ამ ტექსტს ჯერ-ჯერობით არაფერი აქვს საერთო სინდისის თავისუფლებასთან. მასონთა პირველი წესდების ეს ფრაგმენტი მხოლოდ პასუხია კონკრეტულ ისტორიულ აუცილებლობაზე: რომ სხვადასხვა ქვეყნის თავისუფალი ქვისმთლელებისთვის ურთიერთობაში ხელი არ შეეშალა კათოლიკურ და ანგლიკანურ ეკლესიებს შორის არსებულ წინააღმდეგობას.

რაც შეეხება პოლიტიკურ და მოქალაქეობრივ მხარეს, მასონთა პირველ წესდებაში ეწერა შემდეგი: "მასონი თავისი სახელმწიფოს მშვიდობიანი ქვეშევრდომია და ემორჩილება სამოქალაქო ხელისუფლებას. მან არასოდეს უნდა მიიღოს მონაწილეობა ერის მშვიდობისა და ბედნიერების წინააღმდეგ რაიმე შეთქმულებაში".

*ნოდარ ლადარია*
*ლეილა ბეჟარაშვილი*



*დიდი ოსტატი ჟან ტეოფილ დეზაგიულიე*

სახელი ______________ მისამართი

გვარი ______________

ასაკი ______________ საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ______________

სიმაღლე ______________

1 ოჯახური მდგომარეობა :
დაქორწინებული
დაუქორწინებელი
გაყრილი
ქვრივი

2 შვილები: (თუ გყავთ)

3 პროფესია :

4 სამუშაო ადგილი (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

5 ადრე სად მუშაობდით? (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

6 სხვა რომელ ტელეშოუებში გაქვთ მონაწილეობა მიღებული, სად და როდის?

7 სხვა რომელ არასატელევიზიო კონკურსებში და შეჯიბრებებში მიგიღიათ მონაწილეობა სად და როდის?

8 თქვენი ინტერესები

9 თქვენი ჰობი

10 თქვენი საყვარელი გადაცემა და ტელეშოუები ?

11 როგორ დახარჯავდით 8000 ლარს ერთ დღეში ? (პასუხი: ერთ დღეში ვერ დავხარჯავ არ მიიღება)

12 როგორ გრძნობთ თავს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ? (ახსენით პასუხი)

13 როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი თავი გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაშის დროს ? (ახსენით პასუხი)

ჩემი ხელმოწერით ვადასტურებ, რომ მოწოდებული ინფორმაცია არის ზუსტი და რომ არც მე და არც ჩემი ოჯახის წევრი არ მუშაობს სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ში.

ხელმოწერა______________ თარიღი________

ანკეტა ხელმოწერის გარეშე არ მიიღება !



გადაცემა
# სუსტი რგოლი

## მოთამაშის ანკეტა

გეხერხებათ კროსვორდების ამოხსნა?

გიყვართ ინტელექტუალური თამაშები?

არ გეშინიათ, გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაში?

დაგვიკავშირდით, "რუსთავი 2" ექებს ერუდირებულ, თამამ, მონებამახსნილ კონკურსანტებს.

გადაცემაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა გქონდეთ მხოლოდ ზომადი განათლება, იუმორის გრძნობა და მოგების სურვილი.

[illegible]

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:
[illegible]

თქვენი ფოტოსურათი

გთხოვთ, დაამაგრეთ ნებისმიერი ზომის ფოტოსურათი, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გამოსახული, მაგრამ სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათის უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი. ფოტოსურათი გადაღებული უნდა იყოს ბოლო ორი წლის განმავლობაში.

## სკანვორდი

რომის ერთ-ერთი გორაკი



ზვიგენი ანუ ***

ხნიერი, ხანშიშესული

[illegible]

წინა სკანვორდის პასუხები: [illegible]

## TV პროგრამა

13 აპრილი

### რუსთავი - 2

**07.30** დილა **08.00** ჯეტიქსი **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** ხალხის პირისპირ **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 03.30** კურიერი **12.20** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **13.30** მხ. ფილმი "ერთი მუჭა დოლარისთვის" (გ) **15.25** ჩემპიონთა ლიგა. **18.30** პატრული **18.55** უცნობი **19.50** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **22.00** საფეხბურთო მიმოხილვა **22.45** ჩემპიონთა ლიგა. "იუვენტუსი" - "ლივერპული" **02.00** ჩემპიონთა ლიგა. "ეინდჰოვენი" - "ლიონი" **03.45** პატრული

### TV5

13 აპრილი **06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00, 02.00** (შვეიცარია), 02.30(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **06.30** შავი ყუთი. ჩელენჯერის აფეთქება. **08.30** ტელედილა. 11.05. გადაცემა: საოჯახო ფოტოები. **12.20** გადაცემა: წითელი ფარდა. **15.30** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **16.30** ანა. მხ. ფილმი. რეჟისორი პიერ კორალნიკი. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **20.25** ამხანაგებო, იყო და არა იყო რა, იყვნენ ფრანგი კომუნისტები. მხ. ფილმი. რეჟისორი ივ ჟელანი. **24.30** გადაცემა: ორმაგი მე. **03.00** რეიმონდ კლიბანსკი. ფილოსოფიიდან ცხოვრებამდე. დოკ. ფილმი. **04.20** სერიული დანაშაულებანი. ტელესერიალი.

### ЛЭТ

**09.00** პროგრამა "დილა" **11.00** "საბავშვო ხუთეული" **11.30, 16.45, 20.30** სტერეო-ნიუსი **11.54** პოპ-ათეული **12.30** სმს-ჩარტი **13.30** სტერეო-რეპი **14.00** ავტოპილოტი **15.00** სმს-ჩარტი **16.00** პოპ-ათეული **17.00** რეტრო **17.30** "საბავშვო ხუთეული" **18.00** სმს-ჩარტი **19.00** ლიტ. ვიქტორინა **20.00, 23.00** "ქალაქური" **21.00** რეტრო **21.15** პოპ-ათეული **22.00** სმს-ჩარტი **01.00** ავტოპილოტი

### პირველი არხი

**08.00** "ადრე" **22.00** დოკ. ფილმი "კოსმოსური ოდისეა" **11.00** სერ. "მემკვიდრე ლუნა" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმაციური ფილმი "რედვოლი" **12.45** ანიმ. სერიალი "პატარა კენგურუები" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერ. "მაქსიმო ჩემი სიყვარული" **15.00** "მთავარი" სომხურ ენაზე **15.20** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.30** რაციო - ლ. ბერძენიშვილი **16.30** დოკ. ფილმი "ჯვაროსნული ომების ხანა" **17.30** ვაკანსია **18.00** "მთავარი" რეგიონებიდან **18.30** სერ. "შერლი ჰოლმსი" **19.00** "ჰოლმარკი" - "კამელოტის ქალები" მე-2ს. **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერ. "მემკვიდრე ლუნა" **22.00** დოკ. ფილმი "ძველი ბერძენი გმირები" **23.00** ახალი პროექტი - "საქართველო და ევროპა" **23.30** კინოსამყარო "ნუ ტირი ლამაზო" (12) **02.10** საინფ. გამოშვება

### 202

**10.00** დებატები (განმ.) **12.00** მუსიკალურ-გასართობი გადაცემა "პროპაგანდა" **13.00** სერიალი "დიდი სახლი" (გან.) **14.00** მუს. გადაცემა "პროპაგანდა" **18.00** მუსიკა **22.00** სერიალი "დიდი სახლი" **23.00** დებატები 202-ზე

### მზე

**08.30** მუსიკა მზეზე **09.00** ტელეჟურნალი "ჰოლივუდი დღეს" **09.25** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "პოლიციელი ქალები" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **12.05** შემეცნებითი პროგრამა "სამყაროს უთვალავი ფერი" **13.05** "დიელი და პასკო" **14.15** არჩევანის ზღვარზე **15.10** შემეცნებითი პროგრამა "სამყაროს უთვალავი ფერი" **16.00** მუსიკა **16.05** "ველური მთვარე" **17.00, 19.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** "დიელი და პასკო" **18.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **19.05** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "პოლიციელი ქალები" **21.45** არჩევანის ზღვარზე **22.45** საფესტივალო ჩვენება. "თბილისური ამბები", "სანამ ანგელოზები დაბრუნდებიან", "ეთნოგრაფიული იმპროვიზაციები". **23.45** მხ. ფილმი "მოუხელთებელი მოწმე" (15) (უილიამ ჰარტი)

### მეორე არხი

**19.00** სერიალი "ცხელი ზაფხული" **19.50** "ბაბილინა" **20.05** მულტ. სერიალი "ჟაკ კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავლები" **20.30** დოკ. სერიალი "ცხოველი და მისი ტერიტორია" **20.55** დოკ. ფილმი "ბუდას ცხოვრება" **21.45** სპექტაკლი "სარკე"

### იმედი

**07.00** დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისთვის" **07.45** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.10** იმედის დილა **09.15** "ნუცას სკოლა" **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** სერიალი "ცხელი ძაღლი-1" **12.20, 14.40, 17.10, 01.40** იმედის მელოდიები **12.40, 16.25, 01.10** ტვ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი "კაპიტანი ნემო" (გ) 1-ლი ს. **15.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.20, 01.00** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.40** დოკ. სერიალი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" **17.25** არტ-ბულვარი **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.25** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** სერიალი "ცხელი ძაღლი-1" **22.55** "უცნობი საქართველო" **23.25** მხ. ფილმი "შეღწევა" (12) (ტ. ბერენჯერი)

### აჭარა

**08.00** მუსიკა **08.30** საინფორმაციო დაიჯესტი **09.00** სერიალი "ჩემი სამი და" (გან) **10.00** მუსიკა **10.20** "მოგზაური" **11.00** "სტარტი" **11.30** კომედია "კენგურუ ჯეიკი" **13.00** მხ. ფილმი "რეზერვაცია" **14.30, 17.30, 20.30** საინფორმაციო გამოშვება **14.50** ფანტასტიკა "განსაკუთრებული აზრი" **17.10** მუსიკა **17.55** მულტფილმი **18.30** საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" **18.55** მუსიკა **19.30** სერიალი "ჩემი სამი და" **21.05** მხ. ფილმი "შერეკილები " **23.00** დოკ. ფილმი "ისლამის ისტორია" მე-2 ნაწ. **00.00** საინფორმაციო დაიჯესტი **00.25** დრამა "პირადი ცხოვრება"

### ОРТ

**06.00** "Доброе утро". **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости **09.20, 21.30** Сериал **"ГИБЕЛЬ ИМПЕРИИ". 10.30, 18.40** Сериал **"КЛОН". 11.40** Дисней-клуб: "Лило и Стич". **12.20** Евгений Матвеев в фильме **"ЛЮБОВЬ ЗЕМНАЯ" 14.00** "Дэвид Копперфилд. Разоблаченная иллюзия". **14.30** "Угадай мелодию" **15.20** Многосерийный фильм **"ПО ТУ СТОРОНУ ВОЛКОВ". 16.20** "Пять вечеров". **17.30** Криминальная Россия. "Монстр из Старожилова". **19.50** Сериал **"НА УГЛУ, У ПАТРИАРШИХ". 21.00** Время. **22.40** Спецназ. "Дожить до рассвета". **23.30** Ночное "Время". **23.50** Теория невероятности. "Кризис среднего возраста". **00.30** Док. фильм "Оружие Второй мировой войны". **01.00** Том Хэнкс в комедии **"НИЧЕГО ОБЩЕГО".** Дэвид Баснер, сотрудник одного из самых известных рекламных агентств Чикаго, человек способный и обстоятельный, успешно продвигается по служебной лестнице. Да и женским вниманием он не обделен. Словом, у Дэвида все в порядке. Но в один прекрасный день весь этот привычный мир рушится. Его отец и мать решают расстаться после 34 лет супружества. И теперь Дэвид вынужден по 24 часа в сутки проводить с родителями, хотя, как выясняется, у них нет ничего общего... **03.20** Каспер Ван Дин в триллере **"ОХОТНИК".** Случайная встреча частного детектива Спирса со старым другом круто меняет его жизнь. Он узнает о том, что его бывшая возлюбленная Ким похищена одной из враждующих сторон в самый разгар русско-китайской мафиозной воины. Не желая ввязываться в бандитские разбороки, Спирс поначалу решает отказаться от мысли спасти девушку. Но чувства к ней до сих пор не остыли, и Спирс отправляется в Нью-Йорк, полный решимости вырвать любимую из рук негодяев. **04.50** Сериал **"МЕДИЦИНСКАЯ АКАДЕМИЯ".**

### НТВ

**06.00** "Сегодня утром". **09.05** Сериал **"СКОРАЯ ПОМОЩЬ". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00** "Сегодня" **10.20** Особо опасен! **10.50** Сериал **"КОСВЕННЫЕ УЛИКИ". 11.55** Сериал **"ЧЕЛОВЕК ВОЙНЫ". 13.35** Чистосердечное признание. **14.05** Худ. фильм **"ГОСУДАРСТВЕННАЯ ГРАНИЦА".** Фильм 5-й. **"ГОД СОРОК ПЕРВЫЙ". 2**-я с. **15.35** Игры разума. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.30** Сериал **"МОСКВА. ЦЕНТРАЛЬНЫЙ ОКРУГ". 18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Сериал **"ЧЕЛОВЕК ВОЙНЫ". 20.45** Сериал **"КОСВЕННЫЕ УЛИКИ". 21.50** Чрезвычайное происшествие. **22.40** Сериал **"ТАКСИСТКА-2". 23.50** Чрезвычайное происшествие. **00.15** Сериал **"ЧЕЛОВЕК ВОЙНЫ". 01.20** Сериал **"МОСКВА. ЦЕНТРАЛЬНЫЙ ОКРУГ". 02.20** Бильярд. **03.10** Сериал **"ФИЛАДЕЛЬФИЯ". 04.15** Сериал **"ЗА ГРАНЬЮ ВОЗМОЖНОГО". 05.10** Сериал **"ТАРЗАН".**

# თინეიჯერული სიტკბო

ქართული თინეიჯრული სპექტრი თანდათან მრავალფეროვანი ხდება. მოზარდების ერთფეროვან მასაში გარეგნობის, ჩაცმულობის, ვარცხნილობის და სურნელის მიხედვით სულ უფრო ცალსახად შეიძლება ცალკეული ტიპების გამოყოფა - რეპერები და პანკები, ბრჭყვიალა ტანსაცმლიანები და შავით მოსილები, სპორტულები და ქუსლიანები. სუნამოც, რომლის პრეზენტაციაც "ისი პარის" მაღაზიათა ქსელში გაიმართა, ერთ კონკრეტულ თინეიჯერულ კატეგორიაზე გათვლილი მგონია - იმ გოგონებზე, ბარბის სტილი რომ მოსწონთ, ბრჭყვიალა მაისურები და ნაქარგებიანი ჯინსის შარვლები აცვიათ, ჭრელი და მძივებიანი ჩანთები უჭირავთ. "ესკადას" "როქინ რიო" სწორედ ასეთი სტილის გოგონების დამაგვირგვინებელი აქსესუარია.

ეს თეორემა რომ გამოვიგონე, მალევე პრაქტიკად ქცეულიც ვნახე. რამდენიმე დღის წინ სამარშრუტო ტაქსში გოგონა ამოვიდა, რომელსაც თვლებიანი პატარა ჩანთა ეკიდა მხარზე, ჭრელი მაისური ეცვა და ძალიან ნაცნობ სურნელს აფრქვევდა. მეხსიერება დავძაბე და სურნელი ვიცანი: სწორედ ის იყო, პრეზენტაციაზე დაგემოვნებული თინეიჯერული სიტკბო.

ესკადას "როქინ რიო" სეზონური სუნამოა - გაზაფხული-ზაფხულის. თუ არ გახსოვთ, შეგახსენებთ, რომ სეზონური არომატების გამოშვების ტრადიციაც თავის დროზე "ესკადამ" დაამკვიდრა. არსებობს კიდევ ერთი ტრადიცია. "ესკადას" ზამთრის სურნელები ყოველთვის უფრო ძვირად ფასობს ხოლმე, ვიდრე გაზაფხულის. მაგალითად, ბოლო ზამთრის სუნამო იმდენად ძვირფასი იყო, რომ ფლაკონის ფსკერზე "სვაროვსკის" ბროლის თვლები იყო მიმოფანტული. ფასიც შესაბამისი იყო - თითქმის 400 დოლარამდე.

რაც შეეხება ზაფხულის სურნელებს, "ესკადას" შემოქმედებითი დირექტორი ბრაიან რენი მათ საკუთარი შეგრძნებების მიხედვით ადგენს. ზუსტად ასე - დაისვენებს მსოფლიოს რომელიმე ცნობილ კურორტზე და იქაურ აურას შემდეგ "ესკადას" ცნობილ ფლაკონში "ასხამს". შარშან ამ პრინციპით "იბიცა ჰიპი" შექმნა, წელს რიოს კარნავალის განწყობით მოიხიბლა და "როქინ რიო" გამოუვიდა.

უკვე ცხადია, თუ რა იგულისხმება ამ სათაურისა და სურნელის მიღმა: რიოს საოცნებო სანაპიროები, მხიარულება, ბოსა ნოვას ჰანგები, მზე და სამბა.

ცხადია, ძალიან ღრმად განვითარებული ფანტაზია უნდა ჰქონდეთ ქართველ თინეიჯერ გოგონებს, თბილისის ქუჩებში ისე რომ იგრძნონ თავი, როგორც რიოში, მაგრამ ბრაიან რენი სწორედ ამის მიღწევას ცდილობს.

იმდენი ვიძახეთ, სურნელი ტკბილი და შუშხუნააო, რომ ღირს კიდეც, ინგრედიენტებსაც გავეცნოთ და ვირწმუნოთ, რომ "როქინ რიო" მართლაც ეგზოტიკაა. მაშ ასე, ჯერ მანდარინი, ანანასი, პაპაია; მერე პინა კოლადა, შაქრის ლერწამი, ქოქოსის წვენი, ზღვის შხეფების არომატი და ბოლოს სანდალოზი და მუსკუსი.

საქართველოს საზღვრებს გარეთ კი, იქ, სადაც "ესკადას" სახელობითი მაღაზიებიცაა, "როქინ რიოს" კიდევ სხვა სიტკბოც ემატება - ტანსაცმლის კოლექციები და აქსესუარები. "ესკადას" გაზაფხული-ზაფხულის კოლექციაც ხომ ფერებისა და სტილის ნამდვილი ფოიერვერკია. თუ ყიდვა არა, თვალის გადავლება მაინც ღირს ვებ-გვერდზე: http://www/escada.com. იქვე, იმავე მისამართზე, სხვა მაცდუნებელ ამბავსაც წააწყდებით. "სიმენსის" და "როქინ რიოს" პარტნიორობა იქამდეც მისულა, რომ მაისიდან გასაყიდად გამოიტანენ ახალი სუნამოს შესაბამის მობილურ ტელეფონსაც SL65. მისი ნახვაც ღირს, განსაკუთრებით კი ბარბის ტიპის თინეიჯერებისთვის.




# ნეფერტიტის კინოკარიერის დასაწყისი



მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილი, იდუმალებით მოცული და სილამაზით განთქმული დედოფალი ნეფერტიტი მალე კინოხელოვნების მორიგი მუზა გახდება. რეჟისორი ჰიუ ჰადსონი ლეგენდარული დედოფლის შესახებ ფილმის გადაღებას ივნისში შეუდგება.

ფილმის ბიუჯეტი ამ ეტაპისთვის 100 მილიონ დოლარს შეადგენს, თუმცა ძველი ეგვიპტის დედაქალაქ ახეტატონის ასაშენებლად დამატებითი 15 მილიონი დოლარია საჭირო. კინო ქალაქს ეგვიპტეში ააშენებენ, ასეთი ხელგაშლილობა კი იმითაა გამართლებული, რომ გადაღებების დასრულების შემდეგ "ქალაქი" ეგვიპტელ ხალხს საჩუქრად გადაეცემა.

2005 წელს რეჟისორი ფილმის ერთი მესამედის გადაღებას გეგმავს. სამუშაოები კი კაიროდან 30 კილომეტრის დაშორებით ქალაქ მედინა ალ-იალამის ტერიტორიაზე, ე.წ. ოფშორულ ზონაშია დაგეგმილი. აქ უკვე აშენებულია უზარმაზარი პავილიონები და სტუდიები, რათა საუკუნის მორიგ პროექტად წოდებული ფილმი სრულ კომფორტში გადაიღონ. ეს გადაწყვეტილება ეგვიპტის მთავრობასაც ახარებს, რადგან აქამდე ყველა ფილმს ეგვიპტის შესახებ მაროკოში ან ტუნისში იღებდნენ და საკმაოდ სოლიდური თანხა, სწორედ, ამ ქვეყნების ბიუჯეტში ირიცხებოდა.

რეჟისორს ჯერჯერობით არ შეურჩევია მსახიობი ნეფერტიტის როლზე, რაც, ალბათ, საკმაოდ ძნელი იქნება, თუ გავითვალისწინებთ, რომ, გადმოცემის თანახმად, ეგვიპტელ დედოფალს ძალიან გრძელი და მოხდენილი ყელი ჰქონდა. ჰიუ ჰადსონი მაგალითად, ალბათ, უცნობი ოსტატის მიერ გამოქანდაკებულ ნეფერტიტის სახეს აიღებს, რომელიც ბერლინის მუზეუმში 1912 წლიდან ინახება.

რაც შეეხება რეჟისორს, მის მიერ გადაღებულ ფილმებს შორისაა: "ვოცნებობდი აფრიკაზე", "გრეისტოუკი: ლეგენდა ტარზანზე", "ლუმიერი და კომპანია" და სხვა.










## ტენდერი

საერთაშორისო მართლმადიდებლური ქრისტიანული მოწყალების ორგანიზაცია (IOCC) Hellenic Aid - YDAS-ის მიერ დაფინანსებული პროგრამის ფარგლებში აცხადებს ტენდერს **სამშენებლო/საინჟინრო კომპანიებისათვის** სასკოლო დაწესებულებებში აღდგენითი სამუშაოების ჩასატარებლად. სასკოლო დაწესებულებები მდებარეობს ქ. თბილისის ისნის რაიონში (4), სამცხე-ჯავახეთის რეგიონში (4), და გურიისა და სამეგრელოს რეგიონებში (4).

სკოლებისა და დაგეგმილი სამუშაოების, აგრეთვე ტენდერში მონაწილეობისათვის აუცილებელი დოკუმენტების ჩამონათვალისა და ნებისმიერი სხვა ინფორმაციისათვის გთხოვთ, მიმართოთ IOCC-ს თბილისის ოფისს შემდეგ მისამართზე:

ირ. აბაშიძის 20, ბინა N 4; ტელ. 22 56 88/25 19 98; საკონტაქტო პირი - დარეჯან ძოწენიძე

**წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2005 წლის 25 აპრილი, 14:00.**

## განცხადება: სს ნავთობის ეროვნული კომპანია "ს ა ქ ნ ა ვ თ ო ბ ი" აცხადებს კონკურსს

კომპანიის ემბლემის (ლოგოს) შემუშავების მიზნით. კონკურსში გამარჯვებული დაჯილდოვდება თანხით 1000 ლარის ოდენობით. ესკიზის მიღების ბოლო ვადაა 25 აპრილი. საკონკურსო პირობების შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ.კოსტავას N65 სს ნავთობის ეროვნული კომპანია "საქნავთობი"; საკონტაქტო პირი: ანტონ მძინარიშვილი TEL: 33-04-11 (899 28-87-29), **noc@saknavtobi.ge.**

## "საერთაშორისო სახლი" - "ახალი სკოლა" 2005 წლის სექტემბრისთვის აცხადებს კონკურსს შემდეგ ვაკანსიებზე:

1. მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი
2. მათემატიკის მასწავლებელი
3. ფიზიკის მასწავლებელი
4. გეოგრაფიის მასწავლებელი
5. საინფორმაციო ტექნოლოგიების მასწავლებელი
6. ინგლისური ენის მასწავლებელი
7. დაწყებითი კლასების მასწავლებელი (მათემატიკა, მშობლიური ენა)

**ყველა ზემოაღნიშნულ თანამდებობაზე მუშაობის მსურველებს მოეთხოვებათ:**

- სკოლის პედაგოგიური კონცეფციის გაზიარება
- საკუთარი პედაგოგიური კონცეფცია (150-300 ნაბეჭდი სიტყვა)
- რეზიუმე
- სასკოლო ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის მიღება
- ინგლისური ენის ცოდნა
- კომპიუტერული უნარ-ჩვევები

უპირატესობა მიენიჭებათ იმ კანდიდატებს ვისაც გავლილი აქვთ თანამედროვე სასწავლო-მეთოდური გადამზადების კურსები.

**განცხადებები გამოგზავნილ უნდა იქნას ელ.ფოსტით:**
**a_skola@yahoo.com**
ან შემდეგ მისამართზე: თბილისი, ბაგები 0162, წყნეთის გზატკ. N35.

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24

## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.